საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

Beijing 2008

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№187 (12562) 11 აგვისტო ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



# SOS! მსოფლიოს გასაგონად და დასანახად

»»» 2

საპროტესტო აქცია ოლიმპიურ სოფელთან

# ნინო!

სალუქვაძემ საქართველოს ბრინჯაო მოუტანა

ინტერვიუ პირველ მედალოსანთან

»»» 8-9

# გაიტანეთ ლელო საქართველოსთვის!

კვლავ მძიმე დღეები უდგას საქართველოს. რუსი აგრესორები ჯიუტად განაგრძობენ საქართველოს რაიონების დაბომბვას. მსოფლიო თანამეგობრობა, ჯერჯერობით, ხელშესახებ დახმარებას ვერ გვიწევს და მხოლოდ სიტყვიერი თანადგომით კმაყოფილდება. მათი საპროტესტო განცხადებები კი ვერაფერი ნუგეშია საქართველოს შვილებისთვის, რომლებიც რუსეთის იმპერიულ ამბიციებს ზვარაკად ეწირებიან.

დიდად არც მსოფლიო სპორტის მამებს მოუკლავთ თავი ჩვენი ტრაგედიის გამო, არადა, ისეთი მასშტაბური სპორტული ფორუმიდან, როგორიც ოლიმპიადაა, საქართველოს მხარდამჭერ სიტყვას სულ სხვა დატვირთვა და წონა ექნებოდა. სამწუხაროდ, მათი გაგებით, ოლიმპიური ქარტიის წესების დარღვევა, თურმე, უფრო მძიმე ტრაგედიაა, ვიდრე თავგასული აგრესორების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის ყოველდღიურად ბომბებით "დასაჩუქრება"...

ამ უმძიმეს ვითარებაში ძნელია, მოსთხოვო პეკინში წარგზავნილ ქართველ ოლიმპიელებს მხოლოდ სპორტულ ბატალიებზე ფიქრი. მათი გულები დღეს საქართველოშია და დიდწილად, ალბათ, ამის გამოძახილი იყო ჩვენი ძიუდოისტების მარცხიც. თუმცა სხვა გზა არ არის, გული უნდა გავიმაგროთ და სპორტულ არენაზეც დავამტკიცოთ, რომ გაუტეხელი და შეუდრეკელი ერი ვართ; რომ ჩვენი დაჩოქება და გათელვა არც ისე იოლია, როგორც ეს ჩვენს მტრებს ჰგონიათ. თქვენი საომარი და თქვენი ბრძოლის ველი დღეს პეკინშია, ჩვენო ძვირფასებო და, მოდით, თქვენი თავგანწირული ბრძოლით და გამარჯვებებით შვებისა და სიხარულის ცრემლიც მოჰგვარეთ ტრაგედიით ატირებულ საქართველოს!




გამოდით სპორტულ სარბიელზე და გაიტანეთ თქვენი გასატანი ლელო ჩვენი განამებული სამშობლოსთვის!

უფალი იყოს საქართველოს მფარველი!!!

*"ლელო" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აგრესორებთან უთანასწორო ბრძოლებში დაღუპული თანამოძმეების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მათ ოჯახებსა და სრულიად საქართველოს.*





# რატომ მიბომბავთ ქვეყანას, ასეთი რა დაგიშავეთ?!

კალაძეს ევროპა და რუსეთი ერთნაირად აღიზიანებს

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩინეთი | 6 | 2 | 0 | 8 |
| 2. კორეა | 3 | 2 | 0 | 5 |
| 3. აშშ | 2 | 2 | 4 | 8 |
| 4. ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 5. იტალია | 1 | 2 | 1 | 4 |
| 6. იაპონია | 1 | 0 | 2 | 3 |
| 7. ავსტრალია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 7. ესპანეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 7. ჰოლანდია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 10. ბრიტანეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 10. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 10. ტაილანდი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 13. რუსეთი | 0 | 3 | 1 | 4 |
| 14. საფრანგეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| 15. ჩრ. კორეა | 0 | 1 | 2 | 3 |
| 16. კუბა | 0 | 1 | 1 | 2 |
| 17. ავსტრია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 17. უნგრეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 17. შვედეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 17. თურქეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 17. ვიეტნამი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 17. ზიმბაბვე | 0 | 1 | 0 | 1 |
| 23. საქართველო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 23. ალჟირი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 23. არგენტინა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 23. ბელარუსი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 23. ხორვატია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 23. გერმანია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 23. ინდონეზია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 23. შვეიცარია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 23. ტაივანი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 23. გერმანია | 0 | 0 | 1 | 1 |

# კინაღამ პეკინი დავტოვეთ

## ქართველების შფოთიანი შაბათი ოლიმპიურ სოფელში



თენგიზ გაჩეჩილაძის, ნიკოლოზ ნეფარიძისა და ალექსანდრე კოტორაშვილის რეპორტაჟები პეკინიდან »»» 2-3, 10-11



# რატომ, რატომ?!

»»» 12

Beijing 2008

# SOS!!!

# მსოფლიოს გასაგონად და დასანახად

## საპროტესტო აქცია ოლიმპიურ სოფელთან

ნიკოლოზ ნეფარიძე, პეკინიდან

ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და ეს არც არის გასაკვირი. ოლიმპიური თამაშების პარალელურად, იბომბება საქართველოს ქალაქები და სოფლები, იხოცებიან უდანაშაულო ადამიანები, რომელთა შორის არიან ოლიმპიელთა ახლობლებიც. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! ეს არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე. აგრესია დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს. ასეთი იყო იმ საპროტესტო აქციის დედააზრი, რომელიც გუშინ საღამოს სახელდახელოდ გაიმართა ოლიმპიური სოფლის შესასვლელთან. საქართველოს ოლიმპიელებმა ანთებული სანთლებით გამოსახეს ყველა ენაზე გასაგები უბედურების მაუწყებელი სიტყვა - SOS! ჩვენმა სპორტსმენებმა და დელეგაციის სხვა წევრებმა ხელჩაკიდებულებმა შეკრეს მშვიდობის რკალი.

აქციამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. იქ სასწრაფოდ გაჩნდნენ მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო სააგენტოებისა თუ ტელევიზიების წარმომადგენლები, მათ შორის, რუსეთისაც. სიტყვით გამოვიდა ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე**, რომელმაც მთელი მსოფლიოს ხალხებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოთა მეთაურებს თხოვნით მიმართა, დაეხმარონ საქართველოს, ხმა აიმაღლონ იმ აგრესიის აღსაკვეთად, რაც საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება.



## 11 აგვისტო. ორშაბათი (13 მედალი)

| | |
|---|---|
| 04:00-07:30 | **ცხენოსნობა**. გუნდური. სამჭიდი (კროსი) |
| 04:00-07:30 | **ცხენოსნობა**. ინდივიდუალური. სამჭიდი (კროსი) |
| 04:30-06:00 | **ბალახის ჰოკეი**. კაცები. გერმანია-ჩინეთი (A ჯგუფი) |
| 05:00-05:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. B ჯგუფი |
| 05:00-06:30 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ყაზახეთი-საფრანგეთი (A ჯგუფი) |
| 05:00-06:45 | **კალათბურთი**. ქალები. ზელანდია-ესპანეთი (B ჯგუფი) |
| 05:00-09:00 | **სასტენდო სროლა**. ქალები. ტრაპი (სატრანშეო სტენდი). კვალიფიკაცია |
| 05:00-06:45 | **ტყვიის სროლა**. კაცები. პნევმატური შაშხანა. 10 მ. კვალიფიკაცია |
| 06:00-06:08 | **ცურვა**. 100 მ. გულაღმა. ქალები. 1/2 ფინალი |
| 06:00-06:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. C ჯგუფი |
| 06:00-07:30 | **ფრენბურთი**. ქალები. ალჟირი-სერბეთი (B ჯგუფი) |
| 06:00-07:30 | **ფარიკაობა**. ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. 1/32 ფინალი |
| 06:00-07:40 | **მშვილდოსნობა**. კაცები. გუნდური. 1/8 ფინალი |
| 06:00-08:00 | **ძალოსნობა**. კაცები. 62 კგ. (B ჯგუფი) |
| 06:00-09:30 | **ბადმინტონი**. ქალები (ერთეულები). 1/8 ფინალი |
| 06:00-09:30 | **ბადმინტონი**. ქალები (წყვილები). 1/4 ფინალი |
| 06:00-09:30 | **ბადმინტონი**. კაცები (ერთეულები). 1/16 ფინალი |
| 06:10-06:19 | **ცურვა**. 200 მ. თავისუფალი. კაცები. 1/2 ფინალი |
| 06:21-06:25 | **ცურვა**. 100 მ. ბატერფლაი. ქალები. ფინალი |
| 06:27-06:31 | **ცურვა**. 100 მ. ბრასი. მამაკაცები. ფინალი |
| 06:30-08:00 | **ბალახის ჰოკეი**. კაცები. პაკისტანი-ბრიტანეთი (B ჯგუფი) |
| 06:30-10:30 | **ჩოგბურთი**. კაცები. ერთეულები. I რაუნდი |
| 06:30-10:30 | **ჩოგბურთი**. ქალები. ერთეულები. I რაუნდი |
| 06:30-10:30 | **ჩოგბურთი**. კაცები. წყვილები. I რაუნდი |
| 06:30-10:30 | **ჩოგბურთი**. ქალები. წყვილები. I რაუნდი |
| 06:33-06:41 | **ცურვა**. 100 მ. ბრასი. ქალები. 1/2 ფინალი |
| 06:45-08:15 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ბრაზილია-უნგრეთი (B ჯგუფი) |
| 06:53-07:11 | **ცურვა**. 100 მ. გულაღმა. კაცები. 1/2 ფინალი |
| 07:00-07:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. A ჯგუფი |
| 07:15-09:00 | **კალათბურთი**. ქალები. ჩეხეთი-მალი (B ჯგუფი) |
| 07:24-07:30 | **ცურვა**. 400 მ. თავისუფალი. ქალები. ფინალი |
| 07:30-09:30 | **ფარიკაობა**. ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. 1/16 ფინალი |
| 07:33-07:39 | **ცურვა**. 4x100 მ. თავისუფალი ესტაფეტა. მამაკაცები. ფინალი |
| 07:40-09:20 | **მშვილდოსნობა**. კაცები. გუნდური. 1/4 ფინალი |
| 08:00-08:20 | **ტყვიის სროლა**. კაცები. პნევმატური შაშხანა. 10 მ. ფინალი |
| 08:00-08:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. E ჯგუფი |
| 08:00-09:30 | **ფრენბურთი**. ქალები. ყაზახეთი-იტალია (B ჯგუფი) |
| 08:00-12:30 | **ძიუდო**. ქალები. -57 კგ. წინასწარი/მანუგეშებელი |
| 08:00-12:30 | **ძიუდო**. კაცები. -73 კგ. წინასწარი/მანუგეშებელი |
| 08:30-10:00 | **ფრენბურთი**. ქალები. აშშ-კუბა (A ჯგუფი) |
| 08:30-10:00 | **ძალოსნობა**. ქალები. 58 კგ. (B ჯგუფი) |
| 09:00 | **წყალბურთი**. ქალები. უნგრეთი-ჰოლანდია (B ჯგუფი) |
| 09:00 | **აფროსნობა**. კაცები. ვინდსერფერი „RS:X". I რბოლა |
| 09:00 | **აფროსნობა**. ქალები. ვინდსერფერი „RS:X". I რბოლა |
| 09:00 | **აფროსნობა**. „49-ე". IV რბოლა |
| 09:00 | **აფროსნობა**. კაცები. „470". I რბოლა |
| 09:00 | **აფროსნობა**. ქალები. „470". I რბოლა |
| 09:00 | **აფროსნობა**. „ფინი". V რბოლა |
| 09:00 | **აფროსნობა**. ქალები. „ინგლინგი". V რბოლა |
| 09:00-09:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. C ჯგუფი |
| 09:30-10:30 | **ფარიკაობა**. ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. 1/8 ფინალი |
| 09:30-11:00 | **კრივი**. 57 კგ. 1/16 ფინალი |
| 10:00-10:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. A ჯგუფი |
| 10:00-11:30 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ანგოლა-ნორვეგია (A ჯგუფი) |
| 10:00 | **აფროსნობა**. კაცები. ვინდსერფერი „RS:X". II რბოლა |
| 10:00 | **აფროსნობა**. ქალები. ვინდსერფერი „RS:X". II რბოლა |
| 10:00 | **აფროსნობა**. „49-ე". V რბოლა |
| 10:00 | **აფროსნობა**. კაცები. „470". II რბოლა |
| 10:00 | **აფროსნობა**. ქალები. „470". II რბოლა |
| 10:00 | **აფროსნობა**. „ფინი". VI რბოლა |
| 10:20 | **წყალბურთი**. ქალები. რუსეთი-იტალია (A ჯგუფი) |
| 10:30-11:00 | **ფარიკაობა**. ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. 1/4 ფინალი |
| 10:30-11:25 | **წყალში ხტომა**. კაცები. 10 მ. სინქრონული ხტომები. ფინალი |
| 10:30-12:00 | **ფრენბურთი**. ქალები. ბრაზილია-რუსეთი (B ჯგუფი) |
| 10:30-12:15 | **კალათბურთი**. ქალები. კორეა-რუსეთი (A ჯგუფი) |
| 11:00-11:40 | **ნიჩბოსნობა (ბაიდარები და კანოე, სლალომი)**. C1. კაცები. I ცდა |
| 11:00-11:45 | **სასტენდო სროლა**. ქალები. ტრაპი (სატრანშეო სტენდი). ფინალი |
| 11:00 | **აფროსნობა**. ქალები. „ინგლინგი". VI რბოლა |
| 11:00 | **აფროსნობა**. „49-ე". VI რბოლა |
| 11:01-12:30 | **კრივი**. 60 კგ. 1/16 ფინალი |
| 11:30-12:10 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ერთადგილიანი (წყვილი ნიჩბით). ქალები. მანუგეშებელი |
| 11:30-13:10 | **ძალოსნობა**. ქალები. 58 კგ. (A ჯგუფი) |
| 11:40 | **წყალბურთი**. ქალები. საბერძნეთი-ავსტრალია (B ჯგუფი) |
| 11:45-13:15 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. კორეა-გერმანია (B ჯგუფი) |
| 11:50-12:42 | **ნიჩბოსნობა (ბაიდარები და კანოე, სლალომი)**. K1. კაცები. I ცდა |
| 12:00-12:50 | **მშვილდოსნობა**. კაცები. გუნდური. 1/2 ფინალი |
| 12:10-12:50 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ერთადგილიანი (წყვილი ნიჩბით). კაცები. მანუგეშებელი |
| 12:45-14:30 | **კალათბურთი**. ქალები. ლატვია-ბელარუსი (A ჯგუფი) |
| 12:50-13:10 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ორადგილიანი (თითო ნიჩბით). ქალები. მანუგეშებელი |
| 12:55-13:20 | **მშვილდოსნობა**. კაცები. გუნდური. მე-3 ადგილისთვის |
| 13:00 | **წყალბურთი**. ქალები. აშშ-ჩინეთი (A ჯგუფი) |
| 13:00-13:40 | **ნიჩბოსნობა (ბაიდარები და კანოე, სლალომი)**. C1. კაცები. II ცდა |
| 13:00-19:00 | **ჩოგბურთი**. კაცები. ერთეულები. I რაუნდი |
| 13:00-19:00 | **ჩოგბურთი**. ქალები. ერთეულები. I რაუნდი |
| 13:00-19:00 | **ჩოგბურთი**. კაცები. წყვილები. I რაუნდი |
| 13:00-19:00 | **ჩოგბურთი**. ქალები. წყვილები. I რაუნდი |
| 13:10-13:20 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ორადგილიანი (თითო ნიჩბით). კაცები. მანუგეშებელი |
| 13:20-13:40 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ორადგილიანი (წყვილი ნიჩბით). ქალები. მანუგეშებელი |
| 13:25-13:50 | **მშვილდოსნობა**. კაცები. გუნდური. ფინალი |
| 13:40-13:50 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ორადგილიანი (წყვილი ნიჩბით). კაცები. მანუგეშებელი |
| 13:50-14:00 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ოთხადგილიანი. კაცები. მანუგეშებელი |
| 13:50-14:42 | **ნიჩბოსნობა (ბაიდარები და კანოე, სლალომი)**. K1. კაცები. II ცდა |
| 14:00-14:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. E ჯგუფი |
| 14:00-15:30 | **ბალახის ჰოკეი**. კაცები. კორეა-ზელანდია (A ჯგუფი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -57 კგ. მანუგეშებელი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -57 კგ. მანუგეშებელი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -57 კგ. ჯგუფი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -57 კგ. ჯგუფი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -73 კგ. მანუგეშებელი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -73 კგ. მანუგეშებელი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -73 კგ. ჯგუფი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -73 კგ. ჯგუფი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -57 კგ. მე-3 ადგილისთვის A |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -57 კგ. მე-3 ადგილისთვის B |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -73 კგ. მე-3 ადგილისთვის A |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -73 კგ. მე-3 ადგილისთვის B |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -57 კგ. ფინალი |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -73 კგ. ფინალი |
| 14:30-15:04 | **ცურვა**. 200 მ. თავისუფალი. ქალები. წინასწარი |
| 14:30-16:00 | **ბალახის ჰოკეი**. კაცები. ავსტრალია-კანადა (B ჯგუფი) |
| 14:30-18:00 | **ბადმინტონი**. ქალები (ერთეულები). 1/8 ფინალი |
| 14:30-18:00 | **ბადმინტონი**. ქალები (წყვილები). 1/4 ფინალი |
| 14:30-18:00 | **ბადმინტონი**. კაცები (ერთეულები). 1/16 ფინალი |
| 15:00-15:30 | **ფარიკაობა**. ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. I ნახევარფინალი |
| 15:00-15:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. C ჯგუფი |
| 15:00-16:30 | **კრივი**. 57 კგ. 1/16 ფინალი |
| 15:00-16:30 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ჩინეთი-რუმინეთი (A ჯგუფი) |
| 15:00-16:40 | **ძალოსნობა**. კაცები. 62 კგ. (A ჯგუფი) |
| 15:08-15:31 | **ცურვა**. 200 მ. ბატერფლაი. კაცები. წინასწარი |
| 15:30-16:00 | **ფარიკაობა**. ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. II ნახევარფინალი |
| 15:36-16:08 | **ცურვა**. 200 მ. კომპლექსური. ქალები. წინასწარი |
| 16:00-16:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. C ჯგუფი |
| 16:00-17:30 | **ფრენბურთი**. ქალები. ჩინეთი-პოლონეთი (A ჯგუფი) |
| 16:00-17:45 | **კალათბურთი**. ქალები. ჩინეთი-აშშ (B ჯგუფი) |
| 16:10-16:40 | **ფარიკაობა**. ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. მე-3 ადგილისთვის |
| 16:30-18:00 | **ბალახის ჰოკეი**. კაცები. ესპანეთი-ბელგია (A ჯგუფი) |
| 16:31-18:00 | **კრივი**. 60 კგ. 1/16 ფინალი |
| 16:40-17:10 | **ფარიკაობა**. ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. ფინალი |
| 16:45-18:15 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-რუსეთი (B ჯგუფი) |
| 17:00-17:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. E ჯგუფი |
| 17:00-18:30 | **ბალახის ჰოკეი**. კაცები. ჰოლანდია-ს. აფრიკა (B ჯგუფი) |
| 18:00-18:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. B ჯგუფი |
| 18:00-19:30 | **ფრენბურთი**. ქალები. იაპონია-ვენესუელა (A ჯგუფი) |
| 18:15-20:00 | **კალათბურთი**. ქალები. ავსტრალია-ბრაზილია (A ჯგუფი) |
| 19:00-19:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. E ჯგუფი |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი;
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
შალვა ბიბილაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# კინაღამ პეკინი დავტოვეთ...

## შფოთიანი საღამო ოლიმპიურ სოფელში

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
პეკინიდან

შაბათის გვიანი საღამოა. მდუმარედ მიმოდიან ჩვენები ოლიმპიურ სოფელში სპორტსმენთა დიდი ჯგუფი მოლზე წამონოლილა, ზოგან ორ-ორი თუ სამ-სამი ქართველი შეკრებილა და მძიმედ საუბრობენ. ცხადია, რაზეც. და უცებ ამტყდარი ჩოჩქოლი, ყველა მითითებულ ადგილზე იკრიბება. ცხადდება ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილება - „საქართველო ოლიმპიურ თამაშებს ტოვებს და შინ ბრუნდება, უკან წასაყვანად თვითმფრინავი უკვე გამოფრინდა. კვირას 16 საათზე ვტოვებთ პეკინს.“

დაგვერწმუნეთ, ის, რაც ჩვენს დელეგაციაში ამის შემდეგ ხდებოდა, ძნელია გადმოსცე სიტყვებით. ეს სიზმარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხადს. განცხადების მოსმენის შემდეგ ჩამოვარდა, მართლაც რომ, სამარისებური სიჩუმე. მხოლოდ ჩვენი მშვილდოსანი **ხათუნა ნარიმანიძე** არღვევს დუმილს. „მე დღეს ვიბრძოლე, მეოთხე ადგილზე გავედი წინასწარ შეჯიბრებაში. მეძლევა შესაძლებლობა, მოვიპოვო მედალი, რატომ მართმევთ ამ შანსს?“ ისევ დუმილი, ოღონდ მცირედით, პასუხი: „დღეს ქვეყანას ასე სჭირდება!“

კვირას, დილით, სადაც კი გამოვჩნდით, თანაგრძნობით გვეგებებოდნენ ჩვენი კოლეგები. ჩვენს ბიჭებს მოსვენებას არ აძლევენ, პრესცენტრში თუ პრესლოჟაში. განსაკუთრებით ტელევიზიები აქტიურობენ. ძიუდოს დარბაზში, პრესლოჟისკენ მიმავლებს პირველები წინ გადაგვეღობნენ ებრაელი ჟურნალისტები. ერთმა მათგანმა „ლელოც“ კი მოიხსენია თბილად. ნუკრი ნეფარიძე დაიმარტოხელეს, გაუგრძელდათ საუბარი, არადა, ვჩქარობთ, სადაცაა კედელაშვილს გამოიძახებენ ტატამზე. ამ სპორტსმენის წინალამინდელ თავგადასავალს შეჯიბრების მიმოხილვაში გაეცნობით, ამიტომ აქ დროს აღარ წაგართმევთ.


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დღეს ჩვენები პეკინში ბევრს ლაპარაკობენ განწყობაზე. ცხადია, ცუდი გაგებით. თუმცა იყო დადებითიც, ერთსულოვანი, ოლიმპიურ მედლებზე ორიენტირებული. მაგრამ იყო... იყო პეკინში ჩამოსვლამდე, იყო თამაშების საზეიმო გახსნამდეც, მაგრამ აღარ იყო შემდეგ. განწყობის თეორია მსოფლიოში დიმიტრი უზნაძეზე უკეთ არავის შეუსწავლია და დაუმუშავებია მეცნიერულად. ამ თეორიას სპორტის აკადემიაში ასწავლიდნენ ფსიქოლოგები სტუდენტებს, რომლებიც დღეს მწვრთნელები არიან და თუ რას ნიშნავს განწყობა სპორტში, განსაკუთრებით წინასასტარტო, მათ ყველაზე უკეთ იციან. მაგრამ სად არის ის რეცეპტი, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციაში აამაღლებს სპორტსმენის მოტივაციას? რეცეპტი მწვრთნელშია, ფსიქოლოგშია, ექიმშია, გარემოშია, ვითარებაშია. სამწუხაროდ, ახლა თვით ის ადამიანებიც აღარ არიან ჩვეულ განწყობაზე, ვისაც სპორტსმენების დამოძლვრა ევალებათ. მაშ რა ვქნათ? რაღა ბედენაა პეკინში დარჩენა და ოლიმპიურ ტურნირებში ასპარეზობა?. არა, საკითხის ასე დასმა ნამდვილად არ შეიძლება. თუ დავრჩით, უნდა ვიომოთ კიდეც, მშვიდობიან ბრძოლის ველზე ხელების ჩამოყრის უფლება არავის აქვს, გინდა შეგირდი იყოს და გინდა - ოსტატი. უნდა ვიომოთ, ჩვენ ხომ ისეთ წინაპართა შვილები ვართ, ბოლომდე ბრძოლა რომ სჩვევოდათ.

კვირას პეკინში ნინო სალუქვაძემ საქართველოს სპორტსმენებიდან პირველმა მოიპოვა მედალი - ბრინჯაო. აი, რა უნდა გახდეს სტიმული სხვებისთვის. რა, ნინო არ განიცდის? განიცდის და მერე როგორ, შვილების დარდი აფორიაქებს, მაგრამ გამონახა ძალა საკუთარ თავში და იბრძოლა, ისე იბრძოლა, როგორც სჩვევია და მისი მიზანი მხოლოდ მოვალეობის მოხდა სულაც არ ყოფილა.

ოლიმპიადაზე ბევრ დელეგაციას ახლავს ფსიქოლოგები, ხელოვნების გამოჩენილი მუშაკები - ტონუსის, განწყობის ასამაღლებლად. თანაც, ისეთ ქვეყნებს, არანაირი სხვა დარდი რომ არ უმძიმებთ სულსა და გულს. ოლიმპიადაზე თავის გამოჩენა მხოლოდ სპორტსმენის ღირსება ხომ არ არის, ქვეყნის ავტორიტეტია.

პრესცენტრში, საწერ მაგიდასთან, რუსულად მოსაუბრე კოლეგა დაგვადგა თავს...

„ფოთელი ვარ, იქ დავიბადე. ახლა რუმინეთში ვცხოვრობ. გავიგე მოკრივეები არიან ფოთიდან, ძალიან მინდა ვნახო.“ ვუთხარით, ვინც იყვნენ, გაუხარდა. საღამოს ჰქონდა ბრძოლა კახაბერ ჟვანიას.

კვირას წვიმიანი დღე იყო პეკინში. შესაბამისად ჩავიცვით და ქუდიც დავიხურეთ, ყველამ ერთნაირი - წარწერით „ჯორჯია“ (სხვა, უბრალოდ, არ წამოგვიღია). ზოგს ასეთივე წარწერიანი მაისურიც გვაცვია. ეს კი საკმარისია, საერთო ყურადღების ცენტრში მოხვდე. შინიდან გამოსული ვერც ქუდს გადააგდებ, მით უმეტეს, ვერც მაისურს გაიხდი. არადა, შენი საქმეც ხომ უნდა გააკეთო. კოლეგებისგან თავდასაცავად ქართველი ჟურნალისტები, რომელთაგან უმეტესობა ფლობს ინგლისურს, იძულებული ხდებიან, უცხოელ მასმედიელებს მოკლედ უთხრან: „არ ვლაპარაკობ ინგლისურად“ და გაეცალონ. მეტწილად ჭრის ეს ხერხი, მაგრამ თუ გამოგიჭირეს, შენს მტერს, ვილა მოგასვენებს...

ისევ განწყობას დავუბრუნდებით და აი, რატომ: ჩვენს დელეგაციაში საერთო გულგატეხილობა და იმედის გაცრუება უკვე ძვირად გვიჯდება - აგებენ ბიჭები. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. აი, ახლა ერთი თბილისელი კოლეგა ამბობს: მწვრთნელებმა არაობიექტურ მსაჯებზე, განწყობის დაკარგვაზე დაიწყეს ყურადღების გადატანა და ამით ხსნიან ჩავარდნებს. რა გვეასპარეზებაო, - გაიგონებთ აქ ზოგჯერ. რა ვქნათ, ჟურნალისტებიც ვართ ჩვენი ქვეყნის შვილები და პატრიოტები, იქნებ ჩვენც არ „გვეწერება“, მაგრამ ვცდილობთ, მოვალენი ვართ ჩვენი მისია შევასრულოთ. დღეს, ვინც პეკინში ვიმყოფებით, ყველამ უნდა გამოიჩინოს მხნეობა და იცოდეს, რომ სწორედ ასეთ ვითარებაში უფრო ღირებულია მსოფლიოს თვალში ოლიმპიური მედლის მოპოვება.

ძიუდო

# იმედგაცრუების ორი დღე

**ნიკოლოზ ნეფარიძე,**
პეკინიდან

## დღე პირველი

ქართული დელეგაციის უკლებლივ ყველა წევრი ფიქრით და გულით თბილისშია და არ ეოლიმპიადება, მაგრამ რას იზამ, სპორტსმენთა საქმეც ის არის, რომ ასპარეზობებში გვასახელონ, ჩვენ კი, ჟურნალისტებმა, გვინდა თუ არა, ოლიმპიადის პერიპეტიები მკითხველს სრულად მივაწოდოთ. 9 აგვისტოს, ოლიმპიური მედლების გათამაშების პირველ დღეს, ბრძოლებში ჩაერთვნენ - ძიუდოისტი **ნესტორ ხერგიანი**, მშვილდოსნები - **ხათუნა ნარიმანიძე** და **ქრისტინე ესებუა**, ტანმოვარჯიშე **ილია გიორგაძე**, და პლაჟბურთელები - **გეორ-გია** და **საქა-რთველო**. ამათგან, ყველაზე მეტად, ათენის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსან ხერგიანის გვეიმედებოდა, თუმცა პირველ დღეს ყველაზე უკეთ ხათუნა ნარიმანიძე გამოვიდა.

სატრანსპორტო პრობლემის გამო, ნესტორის პირველ ბრძოლას ძლივს მივუსწარით. ხერგიანი კარგად იყო მომზადებული - ყველა ასე ამბობდა, ამიტომ, ფრანგ **დმიტრი დრაგინთან** დაპირისპირებას იმედით ველოდით...

მაგრამ დაიწყო ორთაბრძოლა და გამოჩნდა, რომ შედარებით ახალგაზრდა ფრანგი უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა. დრაგინი იუკოთი დაწინაურდა, შემდეგ იპასიურა, რისთვისაც ორჯერ გააფრთხილეს. ამის მერე, ნესტორმა ილეთი შეასრულა, მაყურებელი იუკოს მინიჭებას ითხოვდა, ერთ-ერთი მსაჯიც ამ აზრზე იყო... თუმცა მცირე თათბირის შემდეგ მსაჯებმა ქართველს ილეთი არ შეუფასეს. შემდეგ იყო დრაგინის გდება, რომელიც გამარჯვებისა გამოდგა. ფრანგმა ძიუდოისტმა ნესტორი მესამე შეხვედრაში მესამედ დაამარცხა.


ხერგიანისა და დრაგინის ორთაბრძოლა

აქ უკვე დრაგინის ფანები გავხდით: ფრანგს ნახევარფინალში უნდა გაელწია, რათა ხერგიანს მედლისთვის ბრძოლა გაეგრძელებინა. დმიტრიმ პირნათლად შეასრულა მისია: ჯერ ებრაელ **გელ იეკუტიელს** მოუგო, ხოლო შემდეგ, ჩვენი აპლოდისმენტების თანხლებით, რუსეთის წარმომადგენელი **რუსლან კიშმახოვი** დაამარცხა.

ახლა, ჯერი ნესტორზე იყო. „რეპეშაჟის“ პირველ წრეში მას იეკუტიელი უნდა დაემარცხებინა. ქართველმა ძიუდოისტმა ვერც მეორე შანსი გამოიყენა. ის თავიდანვე პასიურობისთვის გააფრთხილეს. მისი უფანტაზიო შეტევები მეტოქემ იოლად მოიგერია. ხერგიანი დამარცხდა და ოლიმპიურ თამაშებს დაემშვიდობა.

**ხერგიანი:** *„არსად მინახავს ასეთი ცუდი მსაჯობა. ჩემი მარცხი მათი ბრალია“.*

მსაჯობით უკმაყოფილო იყო ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელიც**: *„ძალიან ცუდი მსაჯობაა. ნესტორი პირველ ორთაბრძოლაშიც დაჩაგრეს და „რეპეშაჟშიც“, სადაც გაფრთხილება ტყუილუბრალოდ მისცეს, ხოლო მეტოქე არაფრით გააფრთხილეს. თავად ხერგიანი ბრწყინვალედ იყო მომზადებული და გასამარჯვებლად ცდა არ დაუკლია“.*

ოლიმპიადის ჩემპიონი კი კორეელი **მინ ჰო ჩოი** გახდა, რომელმაც ფინალში იპონით დაამარცხა ავსტრიელი **ლუდვიგ პაიშერი**. ბრინჯაო ჰოლანდიელ **ჰუქსსა** და უზბეკ **სობიროვს** ერგო.

## დღე მეორე

მეორე დღეს, 66 კგ წონით კატეგორიაში, **ზაზა კედელაშვილს** უნდა ეჭიდავა. მან არ იცოდა ღამის ამბები, რაც ოლიმპიურ სოფელში ქართველ სპორტსმენებს გადახდათ. იყო იმედი, რომ კედელაშვილი ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ... წარმოიდგინეთ, ძიუდოისტმა წინა დღით საქართველოში რუსეთის აგრესიის შედეგად მეგობრების დალუპვის ამბავი გაიგო, ხოლო შუაღამით მას გამოუცხადეს, რომ ოლიმპიადაზე აღარ იასპარეზებდა. ზაზას ისედაც წონის დაკლება სჭირდებოდა და შინ დაბრუნების გადაწყვეტილების შემდეგ მან სითხე და საკვები მიიღო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ოლიმპიადაზე ვრჩებოდით, თუმცა დილის 7 საათამდე კედელაშვილს სამ კილოგრამამდე ჰქონდა დასაკლები - აწონამდე რამდენიმე საათში! ასე რომ, ჩვენს ძიუდოისტს არც უძინია და დილით ზედმეტადაც დაიტვირთა თავი. ზაზამ წონაში კი დაიკლო, მაგრამ საჭიდაოდ აშკარად არ იყო მზად...

თავიდან, უნგრელ **მიკლოშ უნგვარისთან** დაპირისპირებაში კედელაშვილი კოკათი დაწინაურდა, მაგრამ მალევე გამოელია ძალა და პასიურობისთვის გაფრთხილება მიიღო. დამატებითი დროისთვის მას ენერგია, უბრალოდ, აღარ დარჩა, ამიტომ ერთ ეპიზოდში თავისსავე წამოწყებულ ილეთზე წამოეგო და იპონზე დაეცა.

მეორე შეხვედრაში უნგვარი რუს **გადანოვთან** დამარცხდა. ამით კედელაშვილისთვის პეკინის ოლიმპიადა დასრულდა. ლამის ოთხი წლის თავდაუზოგავი შრომა ასე ერთ ღამეში ჩაიყარა წყალში.

ოლიმპიური ჩემპიონი, ისევე როგორც ათენში, იაპონელი **მასატო უჩიშიბა** გახდა, რომელმაც დრამატულ ფინალში ფრანგი **ბენჟამენ დარბელე** დაამარცხა. ბრინჯაოს პრიზიორები კუბელი **იორდანის არანსუბია** და ჩრდილოკორეელი **პაკ ჩოლ მინი** გახდნენ.

დღეს, 73 კგ წონით კატეგორიაში **დავით ქევხიშვილი** იასპარეზებს. მისი პირველი მეტოქე მოლდოველი **სერგიუ ტომაა**. გამარჯვების შემთხვევაში დავითი ალჟირელ **მერიჯასა** და ბელარუს **სემიონოვს** შორის გამარჯვებულს შეხვდება. ქევხიშვილის პირველი ბრძოლა, პირველ ტატამზე, რიგით მერვეა. ის საქართველოს დროით დილის 9 საათსა და 30 წუთზე მოუწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008





ცურვა

# ფელპსმა ოქროების შეგროვება დაიწყო

## წყლის კუბში ორი მსოფლიო რეკორდი დამყარდა



ამერიკელმა **მაიკლ ფელპსმა** წარმატებით დაიწყო ლეგენდარული თანამემამულის **მარკ სპიტცის** "მუდმივ" რეკორდზე იერიში. 23 წლის ფენომენმა პირველი დისციპლინა მოიგო და თანაც როგორ! 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ფელპსმა თავისივე მსოფლიო რეკორდი 1.41 წამით (!) გააუმჯობესა და ახლა უკვე შვიდგზის ოლიმპიურ ჩემპიონად მოიხსენიება.

მაიკლის მთავარ კონკურენტად კიდევ ერთი ამერიკელი **რაიან ლოხტე** მიიჩნეოდა, მაგრამ მათ ბრძოლაში აქტიურად ჩაერია უნგრელი **ლასლო ჩეხი**, რომელიც 50 მეტრის შემდეგ ლიდერობდა კიდეც დისტანციას. 150-მეტრიან ნიშნულზე უკვე ლოხტე დაწინაურდა, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ეს დროებითი წარმატება იყო. დისტანციის ბოლო ნაწილში, თავისუფალი სტილით ცურვისას ფელპსმა არანორმალური სიჩქარე განავითარა და როგორც გითხარით, ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ლოხტეს, რომელიც კარგა ხანი მეორე პოზიციას ინარჩუნებდა, ბოლო 50 მეტრზე ჩეხმა გაუსწრო და ამერიკელს ბრინჯაოთი მოუწია დაკმაყოფილება. სხვათა შორის, ლასლომ ამ გაცურვით ევროპის რეკორდი დაამყარა, რომელიც ამიერიდან 4 წუთსა და 6.16 წამს უდრის.

პეკინის თამაშების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ფელპსი ამბობდა, რომ ყველაზე რთული სწორედ კომპლექსურ ცურვაში 400 მეტრი დისტანცია იქნებოდა, მაგრამ ამერიკელმა პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა და ასეთი რამ განაცხადა - ადრენალინის დიდი დოზა მივიღე და იმედია, მომდევნო გაცურვების შემდეგაც იმავეს ვიგრძნობ. ფელპსს წინ კიდევ შვიდი დისციპლინა ელის და თუ სპიცის რეკორდის დამხობა სურს, დარჩენილი ყველა გაცურვა უნდა მოიგოს.

■ ■ ■

ეს იყო ერთადერთი დისციპლინა, რომელშიც ამერიკელებმა გამარჯვებას მიაღწიეს, დანარჩენ სამ ფინალში მათ ხელი მოეცარათ.

მედლების მომდევნო კომპლექტი ასევე 400 მეტრზე, ოღონდ თავისუფალი სტილით ცურვაში გათამაშდა. აქ რამდენიმე ძლიერმა მოცურავემ მოიყარა თავი. ესენი იყვნენ: ლეგენდარული ავსტრალიელი **გრანტ ჰეკეტი**, ვინც ამ დისციპლინაში ათენის თამაშის ვერცხლის მედალს ფლობდა, ამერიკელი **ლარსენ იენსენი**, რუსი **იური პრილუკოვი** და, რა თქმა უნდა, კორეელი ამომავალი (თუ უკვე ამოსული) ვარსკვლავი, მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის ოქროსმედალოსანი **ტაეხვან პარკი**.

"წყლის კუბში" (ასე ჰქვია პეკინის საწყლოსნო კომპლექსს) შეკრებილმა მაყურებელმა აზიური დაპირისპირება იხილა, თუმცა მანამდე ძალიან მაღალი ტემპი აიღო ვეტერანმა **გრანტ ჰეკეტმა**, რომელიც მსოფლიო რეკორდის გრაფიკით ცურავდა და დისტანციას ლიდერობდა. მდგომარეობა 150 მეტრის შემდეგ შეიცვალა. პარკი დაწინაურდა და ლიდერობა ფინიშამდე შეინარჩუნა.

პატარა სასწაული მოახდინა ჩინელმა **ლინ ჟანგმა**. ფინიშამდე 50 მეტრით ადრე, მასპინძელი მხოლოდ მეექვსე იყო და კორეელთან თითქმის 2 წამს აგებდა, მაგრამ ისე მოუმატა, რომ კინაღამ ოქროს მედალს გამოჰკრა ხელი. საბოლოოდ, ჟენგმა პარკთან 58 მეასედი წამი წააგო. მესამე ადგილი იენსენს ერგო, რომელსაც კვალიფიკაციაზე საუკეთესო დრო ჰქონდა ნაჩვენები.

რაც შეეხება ჰეკეტს, მან ტემპს ვერ გაუძლო და ფინიშზე მეექვსე მივიდა, რუსების მთავარი იმედი **პრილუკოვი** კი მეშვიდე პოზიციას დასჯერდა.

■ ■ ■

გუშინ ორი მედალი ქალებმა გაითამაშეს და აქაც ფინალებს მსოფლიო რეკორდის გარეშე არ ჩაუვლია.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სამი გამოკვეთილი ფავორიტი იყო - მსოფლიო რეკორდის მფლობელი, ამერიკელი **კეტი ჰოფი**, ზიმბაბველი **კრისტი ქოვენთრი** და ავსტრალიელი **სტეფანი რაისი**.

ფავორიტად მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი ჰოფი სახელდებოდა, მაგრამ არც დანარჩენი ორი მოცურავის ჩამოწერა იქნებოდა მართებული. რაისი 200 მეტრზე კომპლექსურში ფლობს მსოფლიო რეკორდს, ქოვენთრი კი ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია, ოღონდ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში.

ფინალმა დაგვანახვა, რომ ჰოფი არ არის ოპტიმალურ ფორმაში. არც ერთ საშუალედო ნიშნულზე ის მესამე ადგილზე ზემოთ არ ასულა, 200 მეტრის შემდეგ კი საერთოდ მეხუთე პოზიციაზე იყო. ასე რომ, ოქროსთვის ბრძოლა რაისსა და ქოვენთრის შორის გაიმართა. ქოვენთრიმ ბრწყინვალედ გაიარა დისტანციის ის ნაწილი, სადაც სპორტსმენები გულაღმა ცურავდნენ და ზიმბაბველი პირველ ადგილზე გადავიდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი წარმატება იყო. ავსტრალიელი დამაჯერებლად აკონტროლებდა სიტუაციას და საბოლოოდ, ჰოფის რეკორდი 1.67 წამით (!) გააუმჯობესა.

თუ სასწაული არ მოხდა, რაისი 200 მეტრ კომპლექსურსაც მოიგებს. სხვათა შორის, აქამდე 20 წლის მოცურავეს არც ერთ დიდ ტურნირზე არ ჰქონდა მოპოვებული ოქროს მედალი.

■ ■ ■

შეიძლება ვინმეს მოულოდნელად ეჩვენოს ქალების 4x100 მეტრზე ესტაფეტაში ჰოლანდიური კვარტეტის გამარჯვება, მაგრამ ვინც არ იცის (ან არ ახსოვს), ვეტყვით, რომ "ნარინჯისფერმა" ოთხეულმა ამა წლის მარტში სწორედ ამ დისციპლინაში დაამყარა მსოფლიო რეკორდი.

ჰოლანდიელთაგან სტარტი **ინგე დეკერმა** აიღო და შეიძლება ითქვას, რომ მან ჩააგდო თავისი წილი 100 მეტრი, რადგან მეშვიდე დრო აჩვენა, სამაგიეროდ, ესტაფეტის მეორე ეტაპის შემდეგ ჰოლანდია მეორე იყო, ბოლო 200 მეტრი კი ამ გუნდმა ლიდერის რანგში იცურა და ათენის თამაშებისა და 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი ოქროთი შეცვალა.

ძალიან ცუდად გამოვიდა ავსტრალიის ნაკრები. ეს გუნდი ბრინჯაოს მედლის მოპოვებას 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდის მფლობელს **ლიზბეტ ტრიკეტს** უნდა უმადლოდეს, რომელიც ბოლო ეტაპზე ცურავდა და რომელმაც ესტაფეტის 32 მონაწილიდან საუკეთესო დრო აჩვენა - 52.34 წამი.

■ ■ ■

გუშინვე გაიმართა ნახევარფინალური გაცურვები 100 მეტრზე ბრასში. პირველ ნახევარფინალში ახალი ოლიმპიური რეკორდი დამყარდა. თავი გამოიჩინა ნორვეგიელმა **ალექსანდერ დალე ოენმა** - მან დისტანცია 59.16 წამში დაფარა. მისმა მთავარმა კონკურენტმა, იაპონელმა **კოსუკე ნაკაჯიმამ** ფინალში გასასვლელად 59.55 წამი იკმარა. ეჭვი არავის ეპარება, რომ ამ დისციპლინაში ოქროს მედალს სწორედ ეს ორი მოცურავე გაითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### ცურვა

#### 400 მ. კომპლექსური

**მამაკაცები**

1. მაიკლ ფელპსი (აშშ) - 4:03.84 (მსოფლიო რეკორდი); 2. ლასლო ჩეხი (უნგ) - 4:06.16; 3. რაიან ლოხტე (აშშ) - 4:08.09; 4. ალესიო ბოჯატო (იტა) - 4:12.16; 5. ლუკა მარინი (იტა) - 4:12.47; 6. გერგო კიში (უნგ) - 4:12.84; 7. ბრაიან ჯონსი (კან) - 4:13.38; 8. ტიაგო პერეირა (ბრა) - 4:15.40.

#### 400 მ. თავისუფალი

**მამაკაცები**

1. ტაეხვონ პარკი (კორ) - 3:41.86; 2. ლინ ჟანგი (ჩინ) - 3:42.44; 3. ლარსენ იენსენი (აშშ) - 3:42.78; 4. პეტერ ვანდერკააი (აშშ) - 3:43.11; 5. უსამა მელული (ტუნ) - 3:43.45; 6. გრანტ ჰეკეტი (ავსტრა) - 3:43.84; 7. იური პრილუკოვი (რუს) - 3:43.97; 8. ნიკიტა ლობინცევი (რუს) - 3:48.29.

#### 400 მ. კომპლექსური

**ქალები**

1. სტეფანი რაისი (ავსტრა) - 4:29.45 (მსოფლიო რეკორდი); 2. კირსტი ქოვენთრი (ზიმ) - 4:29.89; 3. კეტი ჰოფი (აშშ) - 4:31.71; 4. ელიზაბეტ ბისელი (აშშ) - 4:34.24; 5. ალესია ფილიპი (იტა) - 4:34.34; 6. ჰანა მილი (ბრიტ) - 4:39.44; 7. იანა მარტინოვა (რუს) - 4:40.04; 8. სიუანსიუ ლი (ჩინ) - 4:42.13.

#### 4x100 მ. თავისუფალი

**ქალები**

1. ჰოლანდია (ინგე დეკერი, რანომი კრომოვიჯოჯო, ფემკე ჰეემსკერკი, მარლენ ფელდჰუისი) - 3:33.76 (ოლიმპიური რეკორდი); 2. აშშ (ნატალი კაფლინი, ლეისი ნიმაიერი, კარა ლინ ჯოისი, დარა ტორესი) - 3:34.33; 3. ავსტრალია (კეიტ კემპბელი, ალის მილსი, მელანი შლანგერი, ლისბეტ ტრიკეტი) - 3:35.05; 4. ჩინეთი - 3:35.64; 5. გერმანია - 3:36.85; 6. საფრანგეთი - 3:37.68; 7. ბრიტანეთი - 3:38.18; 8. კანადა - 3:38.32.

### ძალოსნობა

#### ქალები. 48 კგ

| | |
|---|---|
| 1. სიესია ჩენი (ჩინ) | 212 კგ (95+117) |
| 2. სიბელ ოზქანი (თურ) | 199 კგ (88+111) |
| 3. ვეი-ლინ ჩენი (ტაივ) | 196 კგ (84+112) |

#### ქალები. 53 კგ

| | |
|---|---|
| 1. პ. იაროენრატანატარაკუნი (ტაილ) | 221 (95+126) |
| 2. ჟიპენე იოონი (კორ) | 213 (94+119) |
| 3. ნასტასია ნოვიკავა (ბლრ) | 213 (95+118) |

#### კაცები. 56 კგ

| | |
|---|---|
| 1. კინგჭუან ლონგი (ჩინ) | 292 (132+160) |
| 2. ან ტუან ჰოანგი (ვიეტ) | 290 (130+160) |
| 3. ე. ი. ირავანი (ინდონეზ) | 288 (130+158) |

### ველოსპორტი

#### ჯგუფური რბოლა

**მამაკაცები**

| | |
|---|---|
| 1. სამუელ სანჩესი (ესპ) | 6:23.49 |
| 2. დავიდე რებელინი (იტა) | იგივე დრო |
| 3. ფაბიან კანჩელარა (შვეიც) | ი. დ. |
| 4. ალექსანდრ კოლობნევი (რუს) | ი. დ |
| 5. ენდი შლეკი (ლუქ) | ი. დ. |
| 6. მაიკლ როჯერსი (ავსტრა) | ი. დ. |
| 7. სანტიაგო ბოტერო (კოლ) | +0:12 |
| 8. მარიო აერტსი (ბელ) | +0:12 |
| 9. მაიკლ ბერი (კან) | +0:16 |
| 10. რობერტ გესინკი (ჰოლ) | +0:18 |
| 13. ალეხანდრო ვალვერდე (ესპ) | +0:22 |
| 15. კეიდელ ევანსი (ავსტრა) | +0:22 |
| 18. პაოლო ბეტინი (იტა) | +0:35 |
| 40. ჯორჯ ჰინკეპი (აშშ) | +2:36 |
| 43. ფრენკ შლეკი (ლუქ) | +2:38 |
| 49. კარლოს სასტრე (ესპ) | +7:17 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 1. ნიკოლ კუკი (ბრიტ) | 3:32.24 |
| 2. ემა იოჰანსონი (შვედ) | იგივე დრო |
| 3. ტატიანა გუდერცო (იტა) | ი. დ. |
| 4. კრისტიან სიოდერი (ავსტრია) | +0:04 |
| 5. ლინდა სერუპი (დან) | +0:09 |
| 6. მარიან ფოსი (ჰოლ) | +0:21 |

### წყალში ხტომა

#### ქალები. 3 მ. სინქრონული

1. გოუ/ვუ (ჩინ) - 343.50; 2. პახალინა/პოზდნიაკოვა (რუს) - 323.61; 3. კოტციანი/ფიშერი (გერ) - 318.90; 4. ბრაიანტი/რიტენჰაუსი (აშშ) - 314.40; 5. კოული/სტრეტონი (ავსტრა) - 311.34; 6. ბატკი/დალაპე (იტა) - 296.70.

### ფარიკაობა

#### ქალები. ხმალი

**I წრე**

**გონსალეს პოსო (კუბ)**-ტურე (სენ) 15:7; **ნავარო (ესპ)**- ლარიოსი (მექ) 15:4; **პუნდიკი (უკრ)**-დუ პლოოი (ს. აფრ) 15:7; **ბუიდოსო (გერ)**-კლუტიე (კან) 15:2; **ვიჩკოვსკა (პოლ)**-ბირნი (ირლ) 15:8; **სასენი (კან)**-ვუდი (ს. აფრ) 15:2; **ბესბესი (ტუნ)**-შეტი (ს. აფრ) 15:2.

**1/16 ფინალი**

**კიმი (კორ)**-ვერნი (საფ) 15:14; **ნადი (უნგ)**-ტუაია (საფ) 15:13; **ხარლანი (უკრ)**-მარხოკა (იტა) 15:8; **დიაჩენკო (რუს)**-ჰისაგაე (იაპ) 15:10; **ხომროვა (უკრ)**-სოხა (პოლ) 15:11; **ბიანკო (იტა)**-იუანი (ჩინ) 15:12; **ბაო (ჩინ)**-ჩოვი (ჰ-კონგი) 15:5; **იოუვიაკი (პოლ)**-ბენიტესი (ვენ) 15:11; **ოვჩინიკოვა (კან)**-ლი (კორ) 15:13; **ბესბესი (ტუნ)**-პერუსი (საფ) 15:11; **ზაგუნისი (აშშ)**-სასენი (კან) 15:10; **ვიეჩკოვსკა (პოლ)**-ნეჩაევა (რუს) 15:12; **ტანი (ჩინ)**-ბუიდოსო (გერ) 15:6; **ველიკაია (რუს)**-პუნდიკი (უკრ) 15:7; **იაკობსონი (აშშ)**-გონსელეს პოსო (კუბ) 15:11; **უორდი (აშშ)**-ნავარო (ესპ) 15:7.

**1/8 ფინალი**

**იაკობსონი (აშშ)**-ხარლანი (უკრ) 15:13; **ველიკაია (რუს)**-ბიანკო (იტა) 15:6; **ბაო (ჩინ)**-ვიეჩკოვსკა (პოლ) 15:6; **ბესბესი (ტუნ)**-ოვჩინიკოვა (კან) 15:12; **ტანი (ჩინ)**-კიმი (კორ) 15:8; **ზაგუნისი (აშშ)**-იოუვიაკი (პოლ) 15:13; **ხომროვა (უკრ)**-დიაჩენკო (რუს) 15:14; **უორდი (აშშ)**-ნადი (უნგ) 15:5.

**1/4 ფინალი**

**იაკობსონი (აშშ)**-ხომროვა (უკრ) 15:11; **ველიკაია (რუს)**-ტანი (ჩინ) 15:9; **ზაგუნისი (აშშ)**-ბაო (ჩინ) 15:9; **უორდი (აშშ)**-ბესბესი (ტუნ) 15:14.

**1/2 ფინალი**

**იაკობსონი (აშშ)**-ველიკაია (რუს) 15:11; **ზაგუნისი (აშშ)**-უორდი (აშშ) 15:11.

**მე-3 ადგილისთვის**

**უორდი (აშშ)**-ველიკაია (რუს) 15:14.

**ფინალი**

**იაკობსონი (აშშ)**-ზაგუნისი (აშშ) 15:8.

#### კაცები. დაშნა

**1/32 ფინალი**

**ნოვოსიოლოვი (ესტ)**-ნაბილი (ეგვ) 15:8; **ჟანე (საფ)**-კაჩიურინი (ყირ) 15:14; **ინოსტროსა (ჩილ)**-ნიშიდა (იაპ) 15:11; **მოტიკა (პოლ)**-რამი (მარ) 15:11; **კიმი (კორ)**-მადუმა (ს. აფრ) 15:12; **ნიკიშინი (უკრ)**-ვუდი (ს. აფრ) 15:7; **ტორკილდსენი (ნორ)**-მეიხასი (ვენ) 15:11; **ლი (ჩინ)**-ვირჩიოხი (პოლ) 15:11; **ვიდეირა (პორ)**-ტორენტი (ს. აფრ) 15:10.

**1/16 ფინალი**

**აბახო (ესპ)**-კიმი (კორ) 15:14; **ვერვილენი (ჰოლ)**- ვანგი (ჩინ) 15:10; **რობეირი (საფ)**-ავდეევი (რუს) 15:11; **ჩუმაკი (უკრ)**-ლიმარდო გასკონი (ჩინ) 15:13; **ტიხომიროვი (კან)**-ხვოროსტი (უკრ) 15:11; **იინი (ჩინ)**-კულჩარი (უნგ) 15:9; **ბოჩკო (უნგ)**-როტა (იტა) 11:10; **ჟ. ჟანე (საფ)**-ნოვოსიოლოვი (ესტ) 15:14; **კონფალონიერი (იტა)**-ტოკიტა (პოლ) 15:10; **იმრე (უნგ)**-კიმი (კორ) 15:14; **კაუტერი (შვეიც)**-ნიკიშინი (უკრ) 15:12; **ტალიარიოლი (იტა)**-ტორკილდსენი (ნორ) 15:10; **ჟინ სუნი (კორ)**-ლი (ჩინ) 15:6; **ფ. ჟანე (საფ)**-კელსი (აშშ) 15:11; **ჟავროტნიაკი (პოლ)**-ვიდეირა (პორ) 15:9; **ფერნანდეს ბრისენიო (ვენ)**-ინოსტროსა (ჩილ) 15:11.

**1/8 ფინალი**

**აბახო (ესპ)**-ჟ. ჟანე (საფ) 15:9; **ვერვილენი (ჰოლ)**-კაუტერი (შვეიც) 15:13; **ჟინ სუნი (კორ)**-ჩუმაკი (უკრ) 15:6; **ჟავროტნიაკი (პოლ)**-იინი (ჩინ) 15:13; **კონფალონიერი (იტა)**-იმრე (უნგ) 15:9; **ტალიარიოლი (იტა)**-რობეირი (საფ) 15:11; **ფ. ჟანე (საფ)**-ტიხომიროვი (კან) 15:7; **ბოჩკო (უნგ)**-ფერნანდეს ბრისენიო (ვენ) 15:9.

**1/4 ფინალი**

**აბახო (ესპ)**-კონფალონიერი (იტა) 15:13; **ტალიარიოლი (იტა)**-ვერვილენი (ჰოლ) 15:11; **ფ. ჟანე (საფ)**-ჟინ სუნი (კორ) 15:11; **ბოჩკო (უნგ)**-ჟავროტნიაკი (პოლ) 15:8.

**1/2 ფინალი**

**ფ. ჟანე (საფ)**-ბოჩკო (უნგ) 15:12; **ტალიარიოლი (იტა)**-აბახო (ესპ) 15:12.

**მე-3 ადგილისთვის**

**აბახო (ესპ)**-ბოჩკო (უნგ) 8:7.

**ფინალი**

**ტალიარიოლი (იტა)**-ფ. ჟანე (საფ) 15:9.

Beijing 2008

ოლიმპიური ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# ჯგუფური რბოლა

## სანჩესმა ვარსკვლავებში გაიბრწყინა

საგზაო-საკონტროლო ველომრბოლელთა პროგრამა კაცების ჯგუფური რბოლით დაიწყო. 245-კილომეტრიან დისტანციაზე 143 სპორტსმენი მონაწილეობდა. შემადგენლობა ვარსკვლავური იყო. აქ იყვნენ ცოტა ხნის წინ დასრულებული "ტურ დე ფრანსის" გმირები - ფრანგული მარათონის ესპანელი ჩემპიონი **კარლოს სასტრე**, ლუქსემბურგელი ძმები **შლეკები**, ავსტრალიელი **კედელ ევანსი** და ა. შ.

ტრასა ძალიან რთული აღმოჩნდა. ტემპერატურა 26 გრადუსი იყო, ჰაერის ტენიანობა კი 94 პროცენტს აღწევდა. ამის გამო ფინიშზე მხოლოდ 90-მა ველომრბოლმა შეძლო მისვლა.

სტარტამდე ყველა ელოდა, რომ ეს რბოლა იტალიელი **პაოლო ბეტინისა** და ესპანელი **ალეხანდრო ვალვერდეს** ორთაბრძოლად გადაიქცეოდა. მართლაც, ოქროსთვის სწორედ იტალია და ესპანეთი დაუპირისპირდა ერთმანეთს, ოღონდ მთავარი მოქმედი პირები სხვები იყვნენ - **სამუელ სანჩესი** და **დავიდე რებელინი**, რომელსაც იმ დღეს 37 წელი შეუსრულდა.

რბოლის დაწყებიდან მე-5 კილომეტრზე, პელოტონს ბოლივიელი **ორასიო გალიარდო** და ჩილელი **პატრისიო ალმონისადა** გაექცნენ. ერთი პერიოდი, მთავარ ჯგუფთან მათი უპირატესობა 11 წუთსაც კი შეადგენდა. მოგვიანებით დუეტს 25-კაციანი ჯგუფი წამოეწია, სადაც რამდენიმე ფავორიტიც ერია: სასტრე, **კიმ კირხენი, იენს ფოხტი, რომან კრეიციგერი**...

ეს ჯგუფი 150 კილომეტრი ლიდერობდა. ერთხანს პელოტონთან უპირატესობა 6 წუთს შეადგენდა, მაგრამ გაქცეულებს მაინც დაეწივნენ და ისინი ძირითად ჯგუფში ჩაიკარგნენ.

დისტანციის ბოლოს შეტევა "ვუელტას" ორგზის ჩემპიონმა, რუსმა **დენის მენშოვმა** წამოიწყო, მაგრამ ბუნებრივია, მის იერიშს სხვები უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ. რუსს სასწრაფოდ გამოეკიდნენ კედელ ევანსი და მას დანარჩენებიც მიჰყვნენ: სანჩესი, რებელინი, **ენდი შლეკი** და ავსტრალიელი **მაიკლ როჯერსი**. მალე ამ ჯგუფს შვეიცარიელი **ფაბიო კანჩელარაც** შეუერთდა.

უმცროსმა შლეკმა რამდენჯერმე სცადა გაქცევა და მისმა მორიგმა აქტიურობამ ის გამოიწვია, რომ ბოლო აღმართზე ლუქსემბურგელი სანჩესთან და რებელინთან ერთად დაწინაურდა. მათ 15 წამით ჩამორჩებოდნენ რუსი **კოლობნევი**, კანჩელარა და დროზე რბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მაიკლ როჯერსი. სწორედ ამ უკანასკნელის ძალისხმევით მოხერხდა ის, რომ ლიდერთა სამეული ექვსეულად გადაიქცა და ამ ჯგუფმა მედლების ბედი ბოლო 500 მეტრზე გადაწყვიტა. ექვსეულში საუკეთესო ფინიშიორი კოლობნევი იყო, მაგრამ საბოლოო სპურტი მან ძალიან ადრე (ფინიშამდე 250 მეტრი რჩებოდა) დაიწყო, ტემპს ველარ გაუძლო და რუსს გვერდი აუარეს სანჩესმა, რებელინმა და კანჩელარამ.



სრული კრახი განიცადა "ტურ დე ფრანსის" ჩემპიონმა კარლოს სასტრემ. ის გამარჯვებულს 7.17 წუთით ჩამორჩა და 49-ე ადგილზე გავიდა.

ცოტა რამ ახალი ჩემპიონის შესახებ. აქამდე სამუელ სანჩესი განსაკუთრებული წარმატებებით ვერ დაიკვეხნიდა. მის აქტივში იყო მე-3 ადგილი 2007 წლის "ვუელტაზე". შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდურ რბოლაში მე-7 ადგილი დაიკავა, ერთი წლის წინ კი მეოთხე იყო. სანჩესი წლევანდელ "ტურ დე ფრანსზეც" მონაწილეობდა და საერთო ჩათვლაში მე-7 ადგილზე გავიდა - გამარჯვებულ სასტრესთან 6.25 წუთი წააგო.

სანჩესის გამარჯვება ისტორიულია - აქამდე ესპანეთს, ოლიმპიადების ისტორიაში, გუნდურ რბოლაში ოქროს მედალი არასოდეს მოუგია.

■ ■ ■

თუ კაცებს სიცხე და ტენიანობა აწუხებდათ, ქალების გუნდური რბოლის დროს წვიმა ერთი წამითაც არ შეწყვეტილა. 66 მონაწილეს 140 კილომეტრი უნდა გაევლო. ველომრბოლებმა ნელ ტემპში დაიწყეს, გაქცევას არავინ ცდილობდა და ყველაზე საინტერესო სანახავი ის იყო, დისტანციის დროს როგორ მიირთმევდნენ ისინი ფუნთუშებსა და სასმელს.

ცოტათი გასაკვირი ჩანდა პელოტონის სათავეში 49 წლის **ჟანი ლონგოს** გამოჩენა. ლეგენდარული ფრანგისთვის ეს რიგით მეშვიდე ოლიმპიადაა. 1996 წელს, ატლანტას თამაშებზე, ოქრო მოიპოვა, მაგრამ აქ მას სათვალავში არავინ აგდებდა. ლონგოს შემთხვევაში ყველაზე აქტუალურია ლოზუნგი - "მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება".

რბოლა ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე გამოცოცხლდა, როცა რუსი **ნატალია ბოიარსკაია** გაიქცა და მალე მისმა უპირატესობამ წუთზე მეტი შეადგინა. ასე გრძელდებოდა 20 კილომეტრის განმავლობაში. ნელ-ნელა რუსმა სიჩქარეს უკლო და ბოლოს პელოტონში ჩაიკარგა.

ოქროს მედლის მფლობელი დისტანციის ბოლო 200 მეტრზე გადაწყდა. ბრწყინვალე სპურტი განახორციელა ბრიტანელმა **ნიკოლ კუკმა**, რომელიც ცოტა ხანში მილოცვებს იღებდა. 25 წლის ველომრბოლმა კარიერაში პირველად მიაღწია ასეთ დიდ წარმატებას.

ჟანი ლონგოს რაც შეეხება, ის ფინიშზე 24-ე იყო. გამარჯვებულს არც ისე ბევრით - 33 წამით ჩამორჩა.

ფარიკაობა

# ამერიკული პოდიუმი





ამერიკის ნაკრების სრული ტრიუმფით დასრულდა ქალებში ხმლით ინდივიდუალური ასპარეზობა.

ფარიკაობის პროგრამის პირველი დისციპლინა დიდი სენსაციებით დაიწყო. პირველივე წრეში გამოეთიშნენ ბრძოლას მსოფლიოს ჩემპიონი, რუსი **ელენა ნეჩაევა** და მსოფლიოს მერვე ნომერი, ფრანგი **ლეონორ პერუსი**. ათენის თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, ჩინელმა **ტან სიუმ** კი მეოთხედფინალში შეწყვიტა ბრძოლა.

ამან კიდევ უფრო გაუადვილა საქმე ამერიკელებს, რომელთა შორის იყო მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი **მარიელ ზაგუნისი** და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **ბეკა უორდი**.

ერთ-ერთი ნახევარფინალური წყვილი სწორედ ამ მოფარიკავეებმა შეადგინეს. ნაადრევ ფინალად მონათლული დაპირისპირება ზაგუნისმა 15:11 მოიგო. *"ეს იყო ჩემს კარიერაში ყველაზე რთული ბრძოლა"*, - თქვა შეხვედრის შემდეგ ზაგუნისმა. მეორე ნახევარფინალიდან კი კიდევ ერთმა ამერიკელმა **სადა იაკობსონმა** გააღწია.

ამჯერად ზაგუნისმა მეორე ამერიკული დერბი გაცილებით იოლად მოიგო და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. უორდმა კი მესამე ადგილისთვის შეხვედრაში გაიმარჯვა და პოდიუმი მთლიანად ამერიკული გახდა.

მაშ ასე, ამერიკელი ქალების ოთხი წლის წინ დაწყებული დომინირება გრძელდება. არადა, ათენის თამაშებამდე აშშ-ის მოფარიკავე ქალებს ოლიმპიადაზე საერთოდ არ ჰქონდათ მოგებული მედალი.

■ ■ ■

იტალიელმა **მატეო ტალიარიოლმა** 40-წლიანი შესვენების შემდეგ თავის ქვეყანას ოლიმპიური ოქრო დაუბრუნა დაშნით ინდივიდუალურ ასპარეზობაში.

მოხმალავე ქალთა ტურნირის მსგავსად, აქაც სენსაციები ვიხილეთ. პირველივე წრეში ჩინელ **იინ ლიანჩის** ემსხვერპლა მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, უნგრელი **კრისტიან კულჩარი**. 1/16 ფინალში დაასრულა ბრძოლა ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ჟერომ ჟანემ**, ხოლო მსოფლიოს პირველი ნომერი, ვენესუელელი **სილვიო ფერნანდეს ბრისენიო** მეოთხედფინალის მიღმა დარჩა.

სამაგიეროდ ივაჟკაცა ჟერომ ჟანეს უმცროსმა ძმამ, **ფაბრისმა**. მსოფლიო კლასიფიკაციის მე-40 მოფარიკავისგან ფინალში გასვლას არავინ ელოდა, ამიტომაც ტალიარიოლთან მარცხის გამო, ახალგაზრდა ფრანგი დიდად არ განაწყენებულა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**





### ძიუდო

#### კაცები. -60 კგ

##### I წრე

**ალექსანდისი (საბ)**-დ'აკინო (ავსტრა) იპონი; **ჰოუკსი (ჰოლ)**-უილი (კან) იუკო; **გედეს სანჩესი (ვენ)**-ტეხოვი (ლიტ) იპონი; **უილიამს-მიურეი (აშშ)**-ჰიროაკა (იაპ) კოკა; **ჩოი (კორ)**-ალბარასინი (არგ) იპონი; **ახონზადე (ირან)**-დრაკსიჩი (სლოვენ) ვაზარი; **კიშმახოვი (რუს)**-ხუსროფი (იემ) იუკო; **ლიუ (ჩინ)**-უტარბაევი (ყაზ) კოკა; **დრაგინი (საფ)**-ხერგიანი (საქ) ვაზარი; **იეკუტიელი (ისრ)**-ჰაშბაატარი (მონ) იუკო; **კიმი (ჩრ. კორ)**-ნორბერტი (მაკ) იპონი; **დავთიანი (სომ)**-პიკერი (კუბ) ვაზარი; **პაიშერი (ავსტრია)**-აჰმადი (მარ) იპონი; **ფალონი (ბრიტ)**-სიკარდი (მონაკო) იპონი; **სობიროვი (უზბ)**-რებაჰი (ალჟ) იპონი; **პეტრიკოვი (ჩეხ)**-ლოურენსო (ბრა) იუკო.

##### 1/8 ფინალი

**ჰოუკსი (ჰოლ)**-ალექსანდისი (საბ) კოკა; **დრაგინი (საფ)**-იეკუტიელი (ისრ) იპონი; **გედეს სანჩესი (ვენ)**-უილიამს-მიურეი (აშშ) იპონი; **სობიროვი (უზბ)**-პეტრიკოვი (ჩეხ) კოკა; **ჩოი (კორ)**-ახონზადე (ირან) იპონი; **კიშმახოვი (რუს)**-ლიუ (ჩინ) იუკო; **კიმი (კორ)**-დავთიანი (სომ) იუკო; **პაიშერი (ავსტრია)**-ფალონი (ბრიტ) კოკა.

##### 1/4 ფინალი

**დრაგინი (საფ)**-კიშმახოვი (რუს) კოკა; **ჰოუკსი (ჰოლ)**-გედეს სანჩესი (ვენ); **ჩოი (კორ)**-სობიროვი (უზბ) იპონი; **პაიშერი (ავსტრია)**-კიმი (კორ) იუკო.

##### 1/2 ფინალი

**ჩოი (კორ)**-ჰოუკსი (ჰოლ) იპონი; **პაიშერი (ავსტრია)**-დრაგინი (საფ) იპონი.

##### მე-3 ადგილისთვის

**სობიროვი (უზბ)**-დრაგინი (საფ) კოკა; **ჰოუკსი (ჰოლ)**-იეკუტიელი (ისრ) იპონი.

##### ფინალი

**ჩოი (კორ)**-პაიშერი (ავსტრია) იპონი.

#### ქალები. -48 კგ

##### I წრე

**ტანი (იაპ)**-მაცუმოტო (აშშ) იუკო; **ლუსნიკოვა (უკრ)**-მ'ბარკი (ტუნ) ვაზარი; **ჩერნოვიჩკი (უნგ)**-მენეზენი (ბრა) იპონი; **ჰორმიგო (პორ)**-დევი (ინდოეთი) იპონი; **მუსა (ალჟ)**-ილენდუ (გაბ) იუკო; **ბერმოი (კუბ)**-მირანდა (ეკვ) იპონი; **ნურგაზინა (ყაზ)**-ცოსინე (საფ) იპონი.

##### 1/8 ფინალი

**პარეტო (არგ)**-დეი (ავსტრა) იპონი; **ტანი (იაპ)**-ვუ (ჩინ) ვაზარი; **კიმი (კორ)**-ლუსნიკოვა (უკრ) ვაზარი; **დუმიტრუ (რუმ)**-ჩერნოვიჩკი (უნგ) ვაზარი; **ნურგაზინა (ყაზ)**-უელოგო (ბ-ფასო) იპონი; **პაკი (ჩრ. კორ)**-ჰორმიგო (პორ) ვაზარი; **ბერმოი (კუბ)**-ბოგდანოვა (რუს); **ბაშინი (გერ)**-მუსა (ალჟ) ვაზარი.

##### 1/4 ფინალი

**ტანი (იაპ)**-პარეტო (არგ) შიდო; **ბერმოი (კუბ)**-ბაშინი (გერ) შიდო; **დუმიტრუ (რუმ)**-კიმი (კორ) იპონი; **პაკი (ჩრ. კორ)**-ნურგაზინა (ყაზ) იუკო.

##### 1/2 ფინალი

**დუმიტრუ (რუმ)**-ტანი (იაპ) კოკა; **ბერმოი (კუბ)**-პაკი (ჩრ. კორ) იპონი.

##### მე-3 ადგილისთვის

**პარეტო (არგ)**-პაკი (ჩრ. კორ) ვაზარი; **ტანი (იაპ)**-ბოგდანოვა (რუს) იპონი.

##### ფინალი

**დუმიტრუ (რუმ)**-ბერმოი (კუბ) იპონი.

#### კაცები. -66 კგ

##### 1/16 ფინალი

**დიასი (პორ)**-ორტის ფლორესი (ვენ) ვაზარი; **დერლი (ბრა)**-კიმი (კორ) კოკა; **გადანოვი (რუს)**-გასიმოვი (აზე); **უჩიშიბა (იაპ)**-ჟასინტო ხიმენესი (დომ) იპონი; **მირესმაეირი (ირან)**-ადამეცი (პოლ) კოკა; **კასალე (იტა)**-ნოვოია (ჩილ) იპონი; **პაკი (კორ)**-ნურმუჰამედოვი (თურქმენ) იპონი; **მეჰმედოვიჩი (კან)**-იბანიესი (ეკვ) იუკო; **დარბელე (საფ)**-რგუიგი (მარ) იპონი; **შარიპოვი (უზბ)**-პენიასი (ესპ) იპონი; **ტაკატა (აშშ)**-ცინტირიდისი (აშშ) იუკო; **ელმონტი (ჰოლ)**-მადეირა (მოზ) იპონი; **არენსიბია (კუბ)**-გარსია გონსალესი (ანდ) იპონი; **ელ-ჰადი (ეგვ)**-ნაზარიანი (სომ) შიდო; **უნგვარი (უნგ)**-კედელაშვილი (საქ) იპონი; **ბენამადი (ალჟ)**-ბრაუნი (ავსტრა) იპონი.

##### 1/8 ფინალი

**პაკი (კორ)**-კასალე (იტა); **უჩიშიბა (იაპ)**-მირესმაეირი (ირან) იუკო; **შარიპოვი (უზბ)**-ბენამადი (ალჟ) შიდო; **დიასი (პორ)**-დერლი (ბრა) ვაზარი; **გადანოვი (რუს)**-უნგვარი (უნგ) შუი; **ტაკატა (აშშ)**-ელმონტი (ჰოლ) შიდო; **არენსიბია (კუბ)**-ელ-ჰადი (ეგვ) კოკა; **დარბელე (საფ)**-მეჰმედოვიჩი (კან) კოკა.

##### 1/4 ფინალი

**უჩიშიბა (იაპ)**-შარიპოვი (უზბ) ვაზარი; **პაკი (კორ)**-დიასი (პორ) კოკა; **არენსიბია (კუბ)**-ტაკატა (აშშ) ჩუი; **დარბელე (საფ)**-გადანოვი (რუს) იპონი.

##### 1/2 ფინალი

**დარბელე (საფ)**-პაკი (კორ) ვაზარი; **უჩიშიბა (იაპ)**-არენსიბია (კუბ) იუკო.

##### მე-3 ადგილისთვის

**არენსიბია (კუბ)**-გადანოვი (რუს) იუკო; **პაკი (კორ)**-შარიპოვი (უზბ) ვაზარი.

##### ფინალი

**უჩიშიბა (იაპ)**-დარბელე (საფ) იპონი.

#### ქალები. -52 კგ.

##### I წრე

**ანი (კორ)**-მესტრესი (კუბ) ვაზარი; **ჰეილენი (ბელ)**-და რისა (საფ) კოკა; **ტარანგული (გერ)**-ჯურაევა (უზბ) იპონი; **კარასკოსა (ესპ)**-მუნხბაატარი (მონ) ვაზარი; **გარსია (დომ)**-ფერნანდესი (ბრა) ჩუი; **ჰადადი (ალჟ)**-მიულერი (ლუქ) ვაზარი.

##### 1/8 ფინალი

**კალიევა (ყაზ)**-შიჰი (ტაილ) იუკო; **მონტერიუ (პორ)**-ხარიტონოვა (რუს) ვაზარი; **ანი (ჩრ. კორ)**-ველასკესი (ვენ); **ჰეილენი (ბელ)**-რაიდერი (ავსტრა) იპონი; **ნაკამურა (იაპ)**-ტარანგული (გერ) შიდო; **სიანი (ჩინ)**-კარასკოსა (ესპ) იპონი; **კიმი (კორ)**-გარსია (დომ) იპონი; **ჰადადი (ალჟ)**-დიედიუ (სენ) იუკო.

##### 1/4 ფინალი

**სიანი (ჩინ)**-მონტერიუ (პორ) იპონი; **ანი (ჩრ. კორ)**-კალიევა (ყაზ) ვაზარი; **ჰადადი (ალჟ)**-კიმი (კორ) ვაზარი; **ნაკამურა (იაპ)**-ჰეილენი (ბელ) კოკა.

##### 1/2 ფინალი

**ანი (ჩრ. კორ)**-ნაკამურა (იაპ) შიდო; **სიანი (ჩინ)**-ჰადადი (ალჟ) ჰანსოკუ-მაკე.

##### მე-3 ადგილისთვის

**ჰადადი (ალჟ)**-კალიევა (ყაზ) ვაზარი; **ნაკამურა (იაპ)**-კიმი (კორ) ვაზარი.

##### ფინალი

**სიანი (ჩინ)**-ანი (ჩრ. კორ) იუკო

# Beijing 2008

ოლიმპიური ბიბლიოთეკა



## მშვილდოსნობა

### ქალები. გუნდური

**1/8 ფინალი**

იაპონია-კოლუმბია 206:199; იტალია-ტაივანი 215:211.

**1/4 ფინალი**

**კორეა**-იტალია 231:217; **საფრანგეთი**-პოლონეთი 218:211; **ჩინეთი**-ინდოეთი 211:206; **ბრიტანეთი**-იაპონია 201:196.

**1/2 ფინალი**

**კორეა**-საფრანგეთი 213:184; **ჩინეთი**-ბრიტანეთი 208:202.

**მე-3 ადგილისთვის**

**საფრანგეთი** (არნოლდი, დოდემონი, შუპი)-ბრიტანეთი 202:201.

**ფინალი**

**კორეა** (იოო, იუნი, პარკი)-ჩინეთი (ჩენი, გუო, ჟანგი) 224-215.

## ტყვიის სროლა

### პნევმატური შაშხანა

**ქალები. 10 მ**

| | |
|---|---|
| 1. კატერინა ემონსი (ჩეხ) | 503.5 |
| 2. ლიუბოვ გალკინა (რუს) | 502.1 |
| 3. სნეჟანა პიეჩიჩი (ხორ) | 500.9 |

### პნევმატური პისტოლეტი

**კაცები. 10 მ**

| | |
|---|---|
| 1. ვეი პანგი (ჩინ) | 688.2 |
| 2. იონ ჟინი (კორ) | 684.5 |
| 3. იონ-სუ კიმი (კორ) | 683 |

### პნევმატური პისტოლეტი

**ქალები. 10 მ**

| | |
|---|---|
| 1. ვენჟუნ გუო (ჩინ) | 492.3 |
| 2. ნატალია პადერინა (რუს) | 489.1 |
| 3. ნინო სალუქვაძე (საქ) | 487.4 |

### ტრაპი (სატრანშეო სტენდი)

**კაცები**

| | |
|---|---|
| 1. დავიდ კოსტელეცკი (ჩეხ) | 146 |
| 2. ჯოვანი პელიელო (იტა) | 143 |
| 3. ალექსეი ალიპოვი (რუს) | 142 |

## ჩოგბურთი

### კაცები. ერთეულები

**1/32 ფინალი**

**ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 8)**-კრის გუჩიონე (ავსტრა) 6:3, 7:6(3); **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 12)**-პენგ სუნი (ჩინ) 6:4, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:4, 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)**-სინიუან იუ (ჩინ) 6:1, 6:2; **გილერმო კანიასი (არგ)**-ფრედერიკ ნიმაიერი (კან) 3:6, 4:2 ნიმაიერის უარი.

### ქალები. ერთეულები

**1/32 ფინალი**

**ფრაენჩესკა სკიავონე (იტა)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:4, 6:2; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-მარტა დომახოვსკა (პოლ) 6:3, 6:4; **სამანტა სტოსური (ავსტრა)**-სარა ერანი (იტა) 6:3, 6:2; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)**-სელიმა სფარი (ტუნ) 6:4, 6:1.

*წვიმის გამო, 10 აგვისტოს დაგეგმილი 46 მატჩის ნაცვლად, მხოლოდ 9 შეხვედრის დასრულება მოხერხდა.*

## მშვილდოსნობა

### ქალები

**წინასწარი რაუნდი**

1. **სუნ-ჰიუნ პარკი** (კორ) - 673; 2. **ოკ-ჰი იუნი** (კორ) 667; 3. **ჰიუნ-იუნ იოო** (კორ) - 664; 4. **ხათუნა ნარიმანიძე** (საქ) - 663; 5. **უნ-სილ ხვონი** (ჩრ. კორ) - 656; 6. **შუ ჩი იუანი** (ტაივ) - 652... 17. **ქრისტინე ესებუა** (საქ) - 643.

### კაცები

**წინასწარი რაუნდი**

1. **ხუან რენე სერანო** (მექ) - 679; 2. **მანგალ სინხ ჩამპია** (ინდოეთი) - 678; 3. **ვიქტორ რუბანი** (უკრ) - 678; 4. **კიუნ-მო პარკი** (კორ) - 676; 5. **ვან ხალმიზამი** (მალ) - 674; 6. **ბალინიმა ცირესპილოვი** (რუს) - 671.

## წყალბურთი

### კაცები

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-კანადა | 16:6 |
| უნგრეთი-ჩერნოგორია | 10:10 |
| ავსტრალია-საბერძნეთი | 12:8 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-გერმანია | 11:7 |
| ხორვატია-იტალია | 11:7 |
| აშშ-ჩინეთი | 8:4 |

ფრენბურთი

# რუსეთმა ნაგებით დაიწყო




ფრენბურთელთა ტურნირში პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. ქალთა შორის შეჯიბრებაში ყველაზე მეტად საყურადღებო პოტენციური ფავორიტების - იტალია-რუსეთისა და პოლონეთ-კუბის დაპირისპირება იყო.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ იტალიელმა ფრენბურთელებმა რუსებს მშვენიერი გაკვეთილი ჩაუტარეს. აძური სათამაშოდ კარგად ორგანიზებული, გამარჯვებისთვის შემართული გამოვიდა, რაც ხშირ შემთხვევაში ძალიან ბევრს ნიშნავს, კონკრეტულად რუსების გუნდის წინააღმდეგ თამაშისას და მეტოქე ოთხ სეტში დაამარცხა 25:20, 17:25, 25:16, 25:23.

იტალიელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანად **ნადია ჩენოტი და სერენა ორტოლანი** ირჯებოდნენ. ისევ შეუდარებელი იყო გუნდის ვეტერანი, იტალიის ფრენბურთელთა ნაკრების "სიმბოლო" **ფრანჩესკა პიჩინინი**. *"ჩვენ კარგად მოვემზადეთ როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. შესაბამისად, თამაშიც უკეთ გამოგვივიდა, ვიდრე რუსებს,"* - თქვა მატჩის შემდეგ იტალიის ნაკრების კაპიტანმა **ელეონორა ლო ბიანკომ.**

აღსანიშნავია, რომ ოჯახური პრობლემების გამო იტალიელებს წამყვანი მოთამაშე **ტაისმარი აგუერო** აკლდათ.

*"მიუხედავად იმისა, რომ აგუეროს სერიოზული პრობლემები აქვს და ამას მთელი გუნდი განიცდის, მაინც შევძელით მაქსიმალურად კონცენტრირება. მოთამაშეები ახლა მხოლოდ თამაშზე, ბრძოლაზე ფიქრობენ,"*-დასძინა აძურის დამრიგებელმა **მასიმო ბარბოლინიმ.**

რუსთა ლიდერმა **კატია გამოვამ** კი ცუდი თამაში დილაადრიან მატჩის გამართვას დააბრალა (შეხვედრა თბილისის დროით დილის 6 საათზე დაიწყო):

*"ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ბევრი ელემენტარული, ბავშვური შეცდომა დავუშვით. თამაშის დილაადრიან გამართვამ ჩვენს გუნდზე ცუდად იმოქმედა. რეგრესი აშკარა იყო."*

ასეა თუ ისე, რუსებმა პირველი შეხვედრა წააგეს და ახლა მეორე მატჩში კიდევ უფრო მძიმე გამოცდა ელით. მეტოქე ამჯერად B ჯგუფისა და ოლიმპიადის უმთავრესი ფავორიტი ბრაზილიის ნაკრები იქნება, რომელმაც პირველ ტურში ალჟირის გუნდთან წაივარჯიშა 25:11, 25:11, 25:10. ამავე ჯგუფში სერბებმა ყაზახეთის ნაკრებს სძლიეს 3:1(25:21, 25:17, 23:25, 25:21).

A ჯგუფის ცენტრალურ შეხვედრად პოლონეთისა და კუბის ნაკრები გუნდების მატჩი შეიძლება მივიჩნიოთ. პოლონელებმა ალმავლობით მხოლოდ პირველი სეტის ჩატარება შეძლეს. ძირითადად გუნდის ლიდერი **მალგოჟეტა გლინკა** გამოირჩეოდა. თუმცა მალე კუბელთა მძიმე არტილერია - **უიმილკა რუისი** და **როსირ კალდერონი** ამოქმედდა. შედეგად კუბელებმა პირველ სეტში განცდილი მარცხის შემდეგ 21:25, მატჩში გარდატეხის შეტანა შეძლეს და ზედიზედ სამი სეტი მოიგეს 25:17, 25:20, 25:17.

*"პირველ სეტში ყველაფერი კარგად გამოგვდიოდა. მერე რა დაგვემართა, არ ვიცი. მოწინააღმდეგის შეტევების მოგერიება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო,"*-თქვა პოლონელთა გუნდის კაპიტანმა **მილენა როსნერმა.**

მისგან განსხვავებით სიხარულს ვერ მალავდა კუბელთა გუნდის თავი **უიმილკა რუისი:** "დასაწყისში ძალიან გაგვიჭირდა. ბედნიერები ვართ, რადგან ოლიმპიადაზე პირველი შეხვედრის მოგება ნებისმიერი დონის გუნდთან რთულია."

ამავე ჯგუფში, **ლოგან ტომის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით აშშ-ის ნაკრებმა იაპონიას სძლია ოთხ სეტში 25:20, 20:25, 25:20, 25:21. მასპინძელთა ნაკრებმა კი ვენესუელასთან წაივარჯიშა 3:0 (25:13, 25:13,25:18).

მოულოდნელი არაფერი მომხდარა ვაჟთა შორის შეჯიბრებაში. ფავორიტებმა - იტალიამ, ბრაზილიამ, აშშ-მ და რუსეთმა თავიანთი შეხვედრები ფაქტობრივად უპრობლემოდ მოიგეს.

ყველაზე საინტერესო მაინც აშშ-ის და ვენესუელის დაპირისპირება გამოდგა. ამერიკელებმა პირველი ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით 25:18, 25:18 მოიგეს და როგორც ჩანს, თავს დამშვიდების უფლება მისცეს. სამხრეთამერიკელებმა ამით კარგად ისარგებლეს, შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს და ანგარიში სეტებში გაქვითეს - 25:22, 25:21. ბოლო სეტში ამერიკელები მარცხს გადაურჩნენ, ძალების მობილიზება მოახერხეს და 15:10 გაიმარჯვეს.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფებიდან შემდეგ ეტაპზე ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი გადის.

**ბესიკ ჯანგაავაძე**

## ფეხბურთი

### კაცები

**A ჯგუფი**

**არგენტინა-ავსტრალია 1:0**

**არგენტინა:** უსტარი, გარაი, მონსონი, საბალეტა, გაგო, ფასიო, ლავეცი (87. სოსა), რიკელმე, მასკერანო, მესი (90+3. აკოსტა), აგუერო (61. დი მარია).

**ავსტრალია:** ფედერისი, ნორტი, მილიგენი, სპირანოვიჩი, კილკენი, მუსიალიკი, ტომპსონი (72. რუკავიცა), კარნი, ზადკოვიჩი, ტროისი (65. ბრიჯი), სელესკი (81. მაკლენანი).

**გოლი:** 1:0 ლავეცი (76)

**კოტ დ'ივუარი-სერბეთი 4:2**

**კოტ დ'ივუარი:** ანგბანი, ვავა, დიარასუბა, ანგუა, კულიბალი, კალუ (87. კამბუ), კონე, ბაგაიოკო, ჟერვინიო, ნ'გოსანი (38. ჯა ჯეჯე), ს. სისე (82. მურა-კომენანი).

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, იოვანოვიჩი, კასარი, რაიკოვიჩი, სმილიანიჩი, ტოშიჩი, ფეისა (61. ტადიჩი), მრდაკოვიჩი (76. რაკიჩი), ჟივკოვიჩი (82. გულანი), ტომოვიჩი, ტოშიჩი.

**გოლები:** 1:0 ს. სისე (3), 1:1 მრდაკოვიჩი (16), 2:1 რაიკოვიჩი (24-საკ. კარში), 3:1 კალუ (70), 3:2 რაკიჩი (90), 4:2 ჟერვინიო (90+3)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. კოტ დ'ივუარი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 3. ავსტრალია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4. სერბეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 0 |

**B ჯგუფი**

**ნიგერია-იაპონია 2:1**

**ნიგერია:** ვანზეკინი, ოკონკვო, აპამი, ადელეი, კაიტა, ობინა (77. ეკპო), ისააკი (73. ოგბუკე), ოკორონკვო, აჯილორე, ადეფემი, ოდემვინგი (62. ანიჩებე).

**იაპონია:** ნიშიკავა, ჰოსოგაი (75. კაჯიამა), მიზუმოტო, მორიშიგე, უშიდა, ჰონდა, ტანიგუჩი, იასუდა, კაგავა (63. ოკაზაკი), ჰონდა, ლი (63. ტოიოდა).

**გოლები:** 1:0 ობინა (58), 2:0 ანიჩებე (74), 2:1 ტოიოდა (79)

**აშშ-ჰოლანდია 2:2**

**აშშ:** გუზანი, ვინი, ოროსკო, ბრედლი, ედუ, ჰოლდენი, ადუ (80. ფილჰაბერი), როჯერსი (65. ატიდორი), პარხორსტი, კლიესტანი, მაკბრაიდი.

**ჰოლანდია:** ვერმეერი, ჰუივერლონი, მარსელისი (75. მაკაი), იალიენსი, დე გუსმანი, ემანუელსონი, ბაბელ ი, მადურო, დრენტე (75. სიბონი), ბეერენსი (69. იონგ-ა-პინი), ბაკალი.

**გოლები:** 0:1 ბაბელი (16), 1:1 კლიესტანი (64), 2:1 ალტიდორი (72), 2:2 სიბონი (90+3)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. ნიგერია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ჰოლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**C ჯგუფი**

**ბრაზილია-ზელანდია 5:0**

**ბრაზილია:** რენანი, რაფინია (66. ილსინიო), ალექს სილვა, ერნანდესი, მარსელო, ანდერსონი, ლუკასი, პატო (72. ტაიგუ ნევეში), რონალდინიო, ბრენო, დიეგო (72. რაფაელ სობისი).

**ზელანდია:** სპუნი, სკოტი (63. ელენსონი), ჰოგი, პეევერლეი, ნელსონი, ბოქსალი, ელიოტი, ჰენდერსონი, კილენი (46. დრეიპერი), ბროკი, ვან როოიენი (46. ჯენკინსი).

**გოლები:** 1:0 ანდერსონი (3), 2:0 პატო (34), 3:0 რონალდინიო (55), 4:0 რონალდინიო (61-პენ), 5:0 რაფაელ სობისი (90+3)

**ბელგია-ჩინეთი 2:0**

**ბელგია:** ბეილი, ლე როოვერი, ვერმაელენი, პოკონიოლი (90. მულგმო), დე მული, ჰარუნი, მირალა (84. ოდიჯა-ოფოე), ვერტონგენი, მარტენსი (78. ვანდენ ბორე), სიმაესი, დემბელე.

**ჩინეთი:** კიუ, ტანი, ფენგი, იუანი, ლი, ჟოუ, ჟენგი, გაო (46. დონგი), კუი (59. ჩენი), ჟიანი, ჟაო (82. ვანი).

**გოლი:** 1:0 დემბელე (8), 2:0 მირალა (80)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. ბელგია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 3. ჩინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 4. ზელანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |

**D ჯგუფი**

**კამერუნი-ჰონდურასი 1:0**

**კამერუნი:** ტინიემბი, გომსი (57. ნკულუ), ბიკეი, სონგი, მბია, სონგოო, ბეკამენგა, ბებე (54. ნგალი), ბებეი, შეიჯუ (75. ოლე), ენამი.

**ჰონდურასი:** ერნანდესი, არსუ, მოლინა, კაბალიერო, ნორალესი (48. მორალესი), მარტინესი, პადილია (82. ბერნანდესი), პავონი (52. ლოპესი), ნუნიესი, კლაროსი, ტომასი.

**გოლი:** 1:0 მბია (74)

**იტალია-კორეა 3:0**

**იტალია:** ვივიანო, მოტა, ნოჩერინო, სიგარინი, კრიშიტო, მონტოლივო, როკი (58. აკუაფრესკა), ჯოვინკო (77. აბატე), როსი (82. დესენა), კოდა, ბოკეტი.

**კორეა:** სუნ-რიონ იუნი, ხვან-ჰუნ შინი, დონ-იინ კიმი, მინ-სუ კანი, ჟინ-კიუ კიმი, იანგუენ.ო (86. იან-ჩეოლ ჩო), იუნ-ვუ კიმი (46. ჩუნიონ ლი), იან-როკ შინი (46. ჟი-ჰუნ ბაეკი), ჩუიან ჰარკი, სუნ-ეუნ კი, კეონ-ჰო ლი.

**გოლები:** 1:0 როსი (15), 2:0 როკი (31), 3:0 მონტოლივო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. კამერუნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. კორეა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 4. ჰონდურასი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

## ბადმინტონი

### ქალები (ერთეულები)

**1/32 ფინალი**

**მარია იულიანტი (ინდონეზია)**-ჯულიან შენკი (გერ) 18:21 , 21:13 , 22:20; **იოანა მარტინესი (ესპ)**-ერინ კეროლი (ავსტრა) 21:9 , 21:16; **ერიკო ჰიროშე (იაპ)**-რაგნა ბიორგ ინგოლფსდოტირი (ისლ) 21:6 , 19:7 უარი; **ლარისა გრიგა (უკრ)**-აგნეს ალეგრინი (იტა) 21:15 , 21:11; **ანა რაისი (კან)**-ევა ლი (აშშ) 21:15 , 19:21 , 21:19; **ჯანინ ჩიკონინი (შვეიც)**-ანა მოურა (პორ) 21:9 , 21:13; **ოლგა კონონი (ბლრ)**-აიინ სინი (სინ) 21:19 , 21:12; **ჰადია ჰოსნი (ეგვ)**-დეიანირა ანგულო (მექ) 21:18 , 7:21 , 21:14; **პეტია ნედელჩევა (ბულ)**-სარა პერსონი (შვედ) 21:10 , 21:10; **ნგოკ ლი (ვიეტ)**-ტილინი იაიასინგე (შრი) 21:13 , 21:12; **კრისტინა ლუდიკოვა (ჩეხ)**-გრეის დანიელი (ნიგ) 21:13 , 21:8; **ნოელ შლო მაგი (ირლ)**-კატი ტოლმოფი (ესტ) 18:21 , 21:18 , 21:19; **ჟაეიუნ იუნი (კორ)**-კამილა აუგუსტინი (პოლ) 21:15 , 21:5; **საინა ნეჰვალი (ინდოეთი)**-ელა კარაჩკოვა (რუს) 21:9 , 21:8; **ტრეისი ჰალამი (ბრიტ)**-პუი იინ იიპი (ჰ-კონგი) 21:15 , 21:17.

**1/16 ფინალი**

**ჟაეიუნ იუნი (კორ)**-ნოელ შლო მაგი (ირლ) 21:12 , 21:14; **ერიკო ჰიროშე (იაპ)**-ნგოკ ლი (ვიეტ) 21:7 , 21:12; **ჰონგიან პი (საფ)**-კლაუდია რივერო (პერ) 21:6 , 21:9; **საინა ნეჰვალი (ინდოეთი)**-ლარისა გრიგა (უკრ) 21:18 , 21:10; **ნინ ჟანგი (ჩინ)**-სალაკიიტ პონსანა (ტაილ) 21:23 , 21:17 , 21:7; **ტინე რასმუსენი (დან)**-აკვილე სტაპუსაიტიტე (ლიტ) 21:6 , 21:8; **მარია იულიანტი (ინდონეზია)**-იოანა მარტინესი (ესპ) 21:9 , 21:14; **ჩენ ვანგი (ჰ-კონგ)**-ევა სლადეკოვა (სლოვაკ) 21:7 , 21:8; **ლან ლუ (ჩინ)**-კარენ კუნ ფოოო (მაუ) 21:3 , 7:1 ფოს უარი; **მიუ ჩუ ვონი (მალაიზ)**-კერი ლი ჰარინგტონი (ს. აფრ) 21:4 , 21:4; **ოლგა კონონი (ბლრ)**-მაია ტვრდი (სლოვენ) 21:17 , 21:14; **ანა რაისი (კან)**-ჯანინ ჩიკონინი (შვეიც) 21:10 , 21:13; **ტრეისი ჰალამი (ბრიტ)**-კრისტინა ლუდიკოვა (ჩეხ) 21:18 , 21:13; **სინგფანგ სიუ (ჩინ)**-შაო-ჩიე ჩენგი (ტაივ) 21:1 , 21:9; **ჰუაივენ სი (გერ)**-ანუ ნიემინენი (ფინ) 21:17 , 21:8; **პეტია ნედელჩევა (ბულ)**-ჰადია ჰოსნი (ეგვ) 21:7 , 21:4; .

### ქალები (წყვილები)

**1/8 ფინალი**

**იანი/ჟანგი (ჩინ)**-ლილიანა/მარისა (ინდონ) 21:19 , 21:15; **მაედა/სუეტსუნა (იაპ)**-ლუისი/ტანაკა (ავსტრა) 21:4 , 21:8; **იანი/ლი (სინ)**-ლი/მანგკალაკირი (აშშ) 21:12 , 21:12; **ჰ. ლი/კ. ლი (კორ)**-ჩინი/ვონი (მალაიზ) 21:14 , 21:19; **ვეი/ჟანგი (ჩინ)**-ემსი/კელოგი (ბრიტ) 21:19 , 21:13; **დუ/ჰა (ჩინ)**-ჰა/კიმი (კორ) 21:11 , 16:21 , 21:15; **ოგურა/შიოტა (იაპ)**-იული/კრისტიანსენი (დან) 18:21 , 21:14 , 21:18; **ჩენგი/მიენი (ტაივ)**-ბოტსი/ედვარდსი (ს. აფრ) 21:6 , 21:12.

### კაცები (ერთეულები)

**1/32 ფინალი**

**პრჟემისლავ ვახა (პოლ)**-რაულ მუსტი (ესტ) 21:14 , 21:15; **მარკ ცვიბლერი (გერ)**-სკოტ ევანსი (ირლ) 21:18 , 18:21 , 21:19; **იუჰსინ ჰსიე (ტაივ)**-კავეჰ მეჰრაბი (ირან) 21:16 , 21:12; **ვილე ლანგი (ფინ)**-ვლადისლავ დრუჟჩენკო (უკრ) 21:12 , 21:19; **ენდრიუ სმიტი (ბრიტ)**-პეტრ კუკალი (ჩეხ) 10:21 , 21:12 , 21:15; **კესტუტის ნავიცკასი (ლიტ)**-პაბლო ალბანი (ესპ) 23:21 , 12:21 , 21:9; **ერვინ კელჰოფნერი (საფ)**-სტიუარტ გომესი (ავსტრა) 19:21 , 22:20 , 21:15; სუნგხვან პარკი (კორ)-ენდრიუ დაბეკა (კან) 21:11 , 21:11; **ანუპ შრიდარი (ინდოეთი)**-მარკო ვასკონსელოსი (პორ) 21:16 , 21:14.

## ხელბურთი

### ქალები

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-ანგოლა | 32:21 |
| რუმინეთი-ყაზახეთი | 31:19 |
| ნორვეგია-ჩინეთი | 30:23 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-შვედეთი | 30:24 |
| რუსეთი-კორეა | 29:29 |
| გერმანია-ბრაზილია | 24:22 |

### კაცები

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ხორვატია-ესპანეთი | 31:29 |
| საფრანგეთი-ბრაზილია | 34:26 |
| პოლონეთი-ჩინეთი | 33:19 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ისლანდია | 31:33 |
| გერმანია-კორეა | 27:23 |
| დანია-ეგვიპტე | 23:23 |

## ბალახის ჰოკეი

### ქალები

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჩინეთი-ესპანეთი | 3:0 |
| ავსტრალია-კორეა | 5:4 |
| ჰოლანდია-ს. აფრიკა | 6:0 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იაპონია-ზელანდია | 2:1 |
| არგენტინა-აშშ | 2:2 |
| გერმანია-ბრიტანეთი | 5:1 |

# Beijing 2008

ტყვიის სროლა

# ჩეხები კარგად ისვრიან



ტყვიის სროლაში პირველი ოქროს მედალი ქალებმა პნევმატური შაშხანით სროლაში გაითამაშეს. აქ ყველაფერი კანონზომიერად დასრულდა. წლევანდელი სეზონის ლიდერმა, ჩეხმა **კატერინა ემონსმა** ძალიან დამაჯერებლად იასპარეზა და ოთხი წლის წინ ათენში მოპოვებულ ბრინჯაოს მედალს ოქროც დაუმატა.

ემონსმა გამარჯვება ოლიმპიური რეკორდით მოიპოვა - 503.5 ქულა დააგროვა და 1.5-ით გააუმჯობესა ჩინელი **დუ ლის** ათენის თამაშებზე იყო დამყარებული მეორე რეკორდი. სხვათა შორის, დუ პეკინში შეეცადა ტიტულის შენარჩუნებას, მაგრამ ძალიან ცუდად გამოვიდა და რვა ფინალისტს შორის მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ზემოთ ვთქვით, რომ ჩეხი მსროლელი ამ სეზონის ლიდერი იყო. წელს ემონსმა პეკინში გამართული მსოფლიოს თასი მოიგო და ყველას მიანიშნა, რომ ოლიმპიადის ფავორიტი იქნებოდა.

ოლიმპიადის მოგებით ემონსმა თავისი მედლების კოლექცია სრულად შეავსო: ჩეხი 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონი იყო, შარშან კი ევროპის ოქროს მედალს დაეუფლა.

■ ■ ■

დუ ლის ცუდი გამოსვლის შემდეგ ჩინელი გულშემატკივრები **ვეი პანგმა** გაახარა, რომელსაც 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში მეტოქეებზე უდიდესი უპირატესობა ჰქონდა.

პანგი სულ რაღაც 22 წლის გახლავთ და მიუხედავად ამისა, სასროლეთზე ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ახალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა უახლოეს მდევარს 3.7 ქულით აჯობა, რაც საკმაოდ დიდ უპირატესობად ითვლება.

ჩინელს იმანაც გაუადვილა საქმე, რომ მოულოდნელად საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია ერთ-ერთმა ფავორიტმა, ფრანგმა **ფრანკ დუმულენმა**, რომელიც 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა. რაც შეეხება ამ დისციპლინაში ათენის თამაშების გამარჯვებულს, ჩინელ **ვან იფუს**, ის საერთოდ არ გამოდიოდა პეკინში. იფუ ოთხი წელია სწორედ პანგს ავარჯიშებს.

■ ■ ■

გუშინ სპორტის ამ სახეობაში მედლების კიდევ ორი კომპლექტი გათამაშდა. პნევმატური პისტოლეტით სროლაში **ნინო სალუქვაძის** გმირობის შესახებ ცალკე წაიკითხავთ. გარდა ამისა, კაცებმა სასტენდო სროლაში გაარკვიეს პირველი გამარჯვებული.

სასტენდო სროლის ერთ-ერთი სახეობაა - ტრაპი, რომელსაც ადრე სატრანშეო სტენდს ეძახდნენ. შეჯიბრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სპორტსმენი სპეციალური ავტომატიდან გამოშვებულ თიხის თეფშებს ესვრის. შესაბამისად, ვინც ყველაზე ბევრ თეფშს დაამსხვრევს, გამარჯვებულიც ის იქნება.

კაცები ამ დისციპლინაში ორი დღის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კვალიფიკაციის შემდეგ, ფინალში საუკეთესო მაჩვენებლით ათენის ოლიმპიური ჩემპიონი, რუსი **ალექსეი ალიპოვი** შევიდა. გადამწყვეტ რაუნდში მონაწილეებს 25-25 გასროლა უნდა შეესრულებინათ.

ფინალში თითქმის უშეცდომოდ ისროლა ჩეხმა **დავიდ კოსტელეცკიმ**, რომელმაც ვადაზე ადრე გაინაღდა ოქროს მედალი. ეს მცირე სენსაციად ჩაითვალა, რადგან აქამდე კოსტელეცკის არც ერთ დიდ ტურნირში არ ჰქონდა მოპოვებული გამარჯვება.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა მესამე ადგილისთვის (ვერცხლის მედალი იტალიელ **ჯოვანი პელიელოს** ერგო). ალიპოვმა და ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა (ატლანტასა და სიდნეიში), ავსტრალიელმა **მაიკლ დაიმონდმა** ერთნაირი ქულები დააგროვეს და მათ ცალკე გაარკვიეს ურთიერთობა. მეტოქეებმა პირველი ორი სროლა ზუსტად შეასრულეს, მესამეზე კი ავსტრალიელმა შეცდომა დაუშვა და რუსს ბრინჯაოს მედალი დაუთმო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## კრივი

### 64 კგ. 1/16 ფინალი

**გენადი კოვალიოვი (რუს)**-კიონგ მაიმაიტიტენრსუნი (ჩინ) 15:8; **რიჩარნო კოლინი (მაუ)**-მაიკ კარვალიო (ბრა) 15:11; **დრის მუსაიდი (მარ)**-ტოდ კიდი (ავსტრა) 23:2; **რიონიელ იგლესიასი (კუბ)**-მაჰამან სმაილა (კამ) 15:1; **ჯონი ჯოისი (ირლ)**-დიულა კატე (უნგ) 9:5; **ფელიქს დიასი (დომ)**-ედუარდ ამბარცუმიანი (სომ) 11:4; **მორტეზა სეპაჰვანდი (ირანი)**-ჰამზა ჰასინი (ტუნ) 16:4; **იონუტ გეორგე (რუმ)**-ჯონათან გონსალეს ორტისი (პ-რიკო) 21:4; **მუნხ-ერდენ ურანჩიმეგი (მონ)**-ჰასტინგს ბვალია (ზამ) 12:8; **ბორის გეორგიევი (ბულ)**-ხავიერ მოლინა (აშშ) 14:1; **ბრედლი საუნდერსი (ბრიტ)**-სამუელ ნეეკაიე (გან) ნოკაუტი; **ალექსის ვასტენი (საფ)**-ედიგიუს კავალიაუსკასი (ლიტ) 13:2.

### 75 კგ. 1/16 ფინალი

**მატვეი კორბოვი (რუს)**-ნაიმ ტერბუნია (შვედ) 18:6; **ბახტიარ არტაევი (ყაზ)**-საიდ რაშიდი (მარ) 8:2; **ჯეიმს დეგალი (ბრიტ)**-მოჰამედ ჰიკალი (ეგვ) 13:4; **შოუნ ესტრადა (აშშ)**-ესეკილ ოსვალდო მადერნა 10:2; **ანდრანიკ აკობიანი (სომ)**-აჰმედ საკარუ (გან) 14:8; **ელშოდ რასულოვი (უზბ)**-ჟან მიკაელ რეიმონდი (საფ) 8:2; **ემილიო კორეა ბეიო (კუბ)**-იაროდ ფლეტჩერი (ავსტრა) 17:4; **სერგეი დერევიანჩენკო (უკრ)**-ჟიანჟუნგ ვანგი (ჩინ) 15:6; **კარლოს გონგორა (ეკვ)**-კონსტანტინ ბუგა (გერ) 14:7; **გეორგიოს გაცისი (საბ)**-ჰერი სალიკუ ბიემბი (კდრ) 7:2; **ანგხან ჩომფუფუანგი (ტაილ)**-დეიოკი ჩო (კორ) 9:3; **ვიჯენდერ კუმარი (ინდოეთი)**-ბადუ ჯეკი (გამ) 13:2.

### 69 კგ. 1/16 ფინალი

**ბილი საუნდერსი (ბრიტ)**-ადემ კილიჩი (თურ) 14:3; **ტურეანო ჯონსონი (ბაჰ)**-როლანდ მოზესი (გრან) 18:3; **ოლექსანდრ სტრეტსკი (უკრ)**-გილბერტ კასტილიო (დომ) 9:6; **სილამუ ჰანატი (ჩინ)**-პრეციოუს მაკინა (ზამ) 21:4; **ჯოზეფ მულემა (კამ)**-ბრუნო ბანგონგო (ც.აფრ) 17:2; **ბახუტ სარსეკბაიესი (ყაზ)**-ადამ ტრუპიში (კან) 20:1; **ვიტალი გრუშაცი (მოლ)**-ჯერარდ ო'მაჰონი (ავსტრა) 7:2; **ჟაოიდ შიგერი (საფ)**-ალიასკერ ბაშიროში (თურ) 17:6; **დილშოდ მაჰმუდოვი (უზბ)**-მეჰდი ხალსი (მარ) 11:3; **დემეტრიუს ანდრადე (აშშ)**-კახაბერ ჟვანია (საქ) 11:9; **ანდრეი ბალანოვი (რუს)**-მუჯაჩჯე კასუტო (ნამ) 8:5; **ჯონ ჯექსონი (ვირჯ)**-მაჰამედ ნურუდზიანუ (ბლრ) 4:2; **იუნგჟოო კიმი (კორ)**-ჯეკ კულკეი (გერ) 11:11.

### 81 კგ. 1/16 ფინალი

**ვაშინგტონ სილვა (ბრა)**-აზეა აუგუსტამა (ჰაი) 6:2; **ბასტი სამირი (გან)**-დაუდა იზობო (ნიგ) მსაჯის გადაწყვეტილებით; **კენი იგანი (ირლ)**-ჯულიუს ჯექსონი (ვირჯ) 22:2; **ბაჰრამ მუზაფერი (თურ)**-აზიზ ალი (კენ) 8:3; **სიაოპინ ჟანგი (ჩინ)**-მურად შაჰრაუი (ტუნ) 3:1; **არტურ ბეტერიევი (რუს)**-კენედი კატენდე (შვედ) 15:3; **რამადან იასერი (ეგვ)**-რამაზან მაგამედო (ბლრ) +10:10; **აბდელჰაფიდ ბენჩაბლა (ალჟ)**-დინეშ კუმარი (ინდოეთი) მსაჯის გადაწყვეტილებით; **მარიო სივოლია-იელიცა (ხორ)**-ფარანი ტავუი (სამ) მსაჯის გადაწყვეტილებით; **ჯახონ ყურბანოვი (ტაჯ)**-აბოს ატოევი (უზბ) 11:3; **კარლოს ნეგრონ კოლონი (პ-რიკო)**-მეჰდი გორბანი (ირან) 13:4; **იერკებულან შინალიევი (ყაზ)**-დაუგირდას სემიოტასი (ლიტ) 11:3.

## სპორტული ტანვარჯიში

### მამაკაცები. კვალიფიკაცია

1. **ჩინეთი*** - 374.675; 2. **იაპონია*** - 369.550; 3 . **რუსეთი*** - 366.225; 4. **კორეა*** - 365.675; 5. **გერმანია*** - 365.675; 6. **აშშ*** - 365.200; 7. **საფრანგეთი*** - 361.200; 8. **რუმინეთი*** - 359.350; 9. **კანადა** - 358.975; 10. **ბელარუსი** - 357.950; 11. **ესპანეთი** - 357.925; 12. **იტალია** - 355.500.

### ქალები. კვალიფიკაცია

1. **ჩინეთი*** - 248.275; 2. **აშშ*** - 246.800; 3. **რუსეთი*** - 244.400; 4. **რუმინეთი*** - 238.425; 5. **ავსტრალია*** - 235.450; 6. **საფრანგეთი*** - 233.875; 7. **ბრაზილია*** - 233.800; 8. **იაპონია*** - 233.175; 9. **ბრიტანეთი** - 232.425; 10. **იტალია** - 231.275; 11. **უკრაინა** - 231.125; 12. **გერმანია** - 230.800.

## ფრენბურთი

### ქალები

#### A ჯგუფი

პოლონეთი-**კუბა** 1:3 (25:21, 17:25, 20:25, 17:25); ვენესუელა-**ჩინეთი** 0:3 (13:25, 13:25, 18:25); იაპონია-**აშშ** 1:3 (20:25, 25:20, 19:25, 21:25).

#### B ჯგუფი

**იტალია**-რუსეთი 3:1 (25:20, 17:25, 25:16, 25:23); **სერბეთი**-ყაზახეთი 3:1 (25:21, 25:17, 23:25, 25:21); ალჟირი-**ბრაზილია** 0:3 (11:25, 11:25, 10:25).

### კაცები

#### A ჯგუფი

**იტალია**-იაპონია 3:1 (25:19, 25:18, 23:25, 25:17); **აშშ**-ვენესუელა 3:2 (25:18, 25:18, 22:25, 21:25, 15:10); **ბულგარეთი**-ჩინეთი 3:1 (25:02, 25:21, 26:28, 25:19).

#### B ჯგუფი

სერბეთი-**რუსეთი** 1:3 (25:20, 21:25, 22:25, 14:25); **ბრაზილია**-ეგვიპტე 3:0 (25:15, 25:19, 25:18); **პოლონეთი**-გერმანია 3:0 (25:17, 33:31, 25:20).

## კალათბურთი

### ქალები

#### A ჯგუფი

**ავსტრალია-ბელარუსი** 83:64
19:12, 25:16, 21:22, 18:14

**ავსტრალია:** ჯექსონი (18+10 მოხსნა), ბატკოვიჩი (14+12 მოხსნა), ტეილორი (12+5 მოხსნა), სამერტონი (12).

**ბელარუსი:** ლეუჩანკა (13+10 მოხსნა), ტროინა (13), სნიცინა (11+5 მოხსნა), ვერამეიენკა (10+9 მოხსნა+3 დაფარება).

**კორეა-ბრაზილია** 68:62 (ო)
13:14, 13:14, 15:15, 14:12, 13:7

**კორეა:** ჩოი (19+7 მოხსნა), ბეონი (19), ჟუნგეუნ კიმი (12), იუნი (10+8 მოხსნა+5 პასი).

**ბრაზილია:** სანტოსი (13+6 მოხსნა), პინტუ (10+6 მოხსნა), ჟასინტუ (10+7 მოხსნა), ფერეირა (10).

**ლატვია-რუსეთი** 57:62
7:14, 24:15, 17:12, 9:21

**ლატვია:** იანსონე (24+5 მოხსნა), იეკაბსონე (7+6 პასი).

**რუსეთი:** შჩეგოლევა (13+12 მოხსნა), კორსტინი (13), ჰემონი (11).

#### B ჯგუფი

**ზელანდია-მალი** 76:72
18:18, 24:15, 18:21, 16:18

**ზელანდია:** მარინო (19), უოლბატონი (13), ჰერმონი (12+8 მოხსნა).

**მალი:** მაიგა (18+7 მოხსნა), სისოკო (15), კულიბალი (9+12 მოხსნა).

**ჩინეთი-ესპანეთი** 67:64
18:15, 19:9, 15:20, 15:20

**ჩინეთი:** ბიანი (15+12 მოხსნა), მიაო (12+6 მოხსნა), ჩენი (12+10 მოხსნა), სუი (9+5 მოხსნა).

**ესპანეთი:** ტორენსი (18), მონტანანა (13+7 მოხსნა), ლიმა (8+6 მოხსნა).

**ჩეხეთი-აშშ** 57:97
17:22, 14:27, 13:26, 13:22

**ჩეხეთი:** ვიტეჩკოვა (12), ვესელა (8+9 მოხსნა).

**აშშ:** ტაურასი (17), ფაულზი (16+14 მოხსნა), პონდექსტერი (12).




### კაცები

#### A ჯგუფი

**რუსეთი-ირანი** 71:49
24:5, 14:17, 8:14, 25:11

**რუსეთი:** ჰოლდენი (19+5 ჩაჭრა), კირილენკო (15+3 დაფარება), სავრასენკო (11).

**ირანი:** ნიკაჰი (16), ქარმანი (11), ეჰადიდი (9+8 მოხსნა).

**ლიტვა-არგენტინა** 79:75
14:11, 20:19, 17:15, 28:30

**ლიტვა:** კლეიზა (13), იაკტოკასი (12), შიშკაუსკასი (10), იასიკიავიჩუსი (10+8 პასი), პეტრავიჩუსი (10), კ. ლავრინოვიჩი (9+7 მოხსნა+4 დაფარება).

**არგენტინა:** ჯინობილი (19), ნოჩიონი (15+9 მოხსნა), დელფინო (13+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), სკოლა (10+6 მოხსნა), ობერტო (9+11 მოხსნა).

**ავსტრალია-ხორვატია** 82:97
14:21, 26:17, 26:22, 24:29

**ავსტრალია:** ნილსენი (13), ბარლოუ (12), ბოგუტი (10).

**ხორვატია:** პრკაჩინი (16), ბანიჩი (16), ტომაში (12), პლანინიჩი (12), ლონკარი (10+10 მოხსნა).

#### B ჯგუფი

**გერმანია-ანგოლა** 95:66
25:21, 29:13, 24:18, 17:14

**გერმანია:** კამანი (24), ნოვიცკი (23+6 მოხსნა), ჰამანი(13), იაგლა (10+11 მოხსნა).

**ანგოლა:** მინგასი (24+3 ჩაჭრა), მორაიში (14), ბაროში (10).

**ესპანეთი-საბერძნეთი** 81:66
20:16, 15:13, 27:17, 19:20

**ესპანეთი:** ფერნანდესი (16), კალდერონი (13), პ. გასოლი (11+7 მოხსნა).

**საბერძნეთი:** სპანულისი (15), დიამანტიდისი (14), ცისისი (10).

**აშშ-ჩინეთი** 101:70
20:16, 29:21, 25:11, 17:22

**აშშ:** უეიდი (19), ჯეიმსი (18+3 დაფარება), ბრაიანტი (13), ჰოვარდი (13), დ. უილიამსი (9), რედი (9), ბოში (9+8 მოხსნა).

**ჩინეთი:** მინი (13+10 მოხსნა), ჟუ (11+8 მოხსნა), იი იანლიანი (9).



## პლაჟის ფრენბურთი

### ქალები

#### A ჯგუფი

**მაასეიდი/გლესნესი (ნორ)**-ვან ბრიდამი/მოუჰა (ბელ) 2:0 (24:22, 21:18); **ტიან ჟია/ვანი (ჩინ)**-კუნი/შვერი (შვეიც) 2:0 (21:12, 21:18).

#### B ჯგუფი

**უოლში/მეი-ტრინორი (აშშ)**-ტერუ საიკი/კუსუჰარა (იაპ) 2:0 (21:12, 21:15); ნილა/ინგრიდი (ნორ)-**ფერნანდეს გრასეტი/ლარეა პერასა (კუბ)** 0:2 (20:22, 19:21).

#### C ჯგუფი

**ბარნეტი/კუკი (ავსტრა)**-ურიადოვა/შირიაევა (რუს) 2:1 (21:8, 19:21, 15:12); **ანა პაულა/ლარისა (ბრა)**- საქა/რთველო (საქ) 2:1 (23:25, 21:17, 15:5).

#### D ჯგუფი

**გოლერი/ლუდვიგი (გერ)**-აუგუსტიდესი/ნელი (ს. აფრ) 2:0; **სიუ/ჟანგ სი (ჩინ)**-კუტრუმანიდუ/ციარციანი (საბ) 2:1 (21:18, 19:21, 15:12).

#### E ჯგუფი

**ბრენა/იანგსი (აშშ)**-კადიიკი/მოორენი (პოლ) 2:0 (21:19, 27:25); **პოლ/რაუ (გერ)**-ესტევეს რიბალტა/კრესპო (კუბ) 2:0 (21:17, 21:19).

#### F ჯგუფი

კარანტასიუ/არვანიტი (საბ)-**შვაიგერი/შვაიგერი (ავსტრია)** 0:2 (18:21, 18:21); **ტალიტა/რენატა (ბრა)**-კანდელასი/გარსია (მექ) 2:1 (18:21, 21:16, 18:8).

### კაცები

#### A ჯგუფი

**სუ/ვუ (ჩინ)**-გოში/ჰორსტი (ავსტრია) 2:0 (21:16, 21:15); **ერერა/მესა (ესპ)**-კაისი/ვესიკი (ესტ) 21:18, 23:18.

#### B ჯგუფი

როჯერსი/დალჰაუზერი (აშშ)-**სამოილოვსი/პლავინსი (ლატ)** 0:2 (19:21, 18:21); **ჰეიერი/ჰიოშნერი (შვეიც)**-კონდე/ბარაკეტი (აოშ) 2:0 (21:13, 21:17).

#### C ჯგუფი

**რიკარდო/ემანუელი (ბრა)**-ფერნანდესი/მორაიში (ანგ) 2:0 (21:8, 21:13); **შახტი/სლეკი (ავსტრა)**-გეორ/გია (საქ) 2:0 (21:17, 21:19).

#### D ჯგუფი

**მარისო არაუჟო/ფაბიო ლუიში (ბრა)**-ლიონე/ამორე (იტა) 2:0 (21:18, 21:18); ბარსუკი/კოლოდინსკი (რუს)-**დოპლერი/გარტმაიერი (ავსტრია)** 1:2 (16:21, 21:18, 14:16).

#### E ჯგუფი

**ნუმერდორი/შუილი (ჰოლ)**-ლასიგა/შნიდერი (შვეიც) 2:0 (21:14, 21:15); **კლემპერერი/კორენგი (გერ)**-კიემპერუდი/სკარლუნდი (ნორ) 2:1 (19:21, 22:20, 15:7).

#### F ჯგუფი

**ბრინკი/დიკმანი (გერ)**-ასაჰი/შირატორი (იაპ) 2:0 (21:18, 21:18); **გიბი/როზენტალი (აშშ)**-ბოერსმა/რონი (ჰოლ) 2:0 (21:16, 21:15).

## ფეხბურთი

### ქალები

#### E ჯგუფი

**შვედეთი-არგენტინა** 1:0
გოლი: ფიშერი (58)

**კანადა-ჩინეთი** 1:1
გოლები: 1:0 სინკლერი (34), 1:1 სიუ (36)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 1. ჩინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. შვედეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. არგენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

#### F ჯგუფი

**ნიგერია-გერმანია** 0:1
გოლი: 0:1 შტეგემანი (64)

**ბრაზილია-ჩრ. კორეა** 2:1
გოლები: 1:0 დანიელა (14), 2:0 მარტა (22), 2:1 რი (90+3)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ჩრ. კორეა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. ნიგერია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

#### G ჯგუფი

**აშშ-იაპონია** 1:0
გოლი: 1:0 ლოიდი (27)

**ზელანდია-ნორვეგია** 0:1
გოლი: 0:1 ვიიკი (8)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | [illegible] |
| 2. აშშ | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | [illegible] |
| 3. ზელანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | [illegible] |
| 3. იაპონია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

# Beijing 2008

# ბრინჯაოს ქალი

გუშინ პეკინში საქართველოს სპორტსმენთაგან ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს მისი მესამე ოლიმპიური ჯილდოა. შეგახსენებთ, რომ სეულში 1988 წელს „ოქრო" და „ვერცხლი" დაიმსახურა. ქართველი ჩუბინი 39 წლისაა. პირად პირველობაში 1989 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა გუნდურში ამგვარ წარმატებას ექვსჯერ მიაღწია, თითოჯერ მეორე და მესამე ადგილები დაიკავა; მსოფლიოს სუპერთასის შვიდგზის მფლობელმა ევროპის ჩემპიონობა ხუთჯერ დაიმსახურა, ორჯერ მეორე იყო, სამჯერ მესამე ადგილზე გავიდა. დამყარებული აქვს ოცამდე მსოფლიო რეკორდი.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ნინო სალუქვაძეს ათენისა და პეკინის ოლიმპიადების საგზურები ჩინეთში მსოფლიოს თასების გათამაშებისას ერგო. ამიტომ არაერთხელ აღუნიშნავს, ამ ქვეყანაში ასპარეზობა ჩემთვის იღბლიანიაო. პეკინში წარმატებასაც ელოდა. აკი, აუხდა კიდეც. გუშინ საკვალიფიკაციო შეჯიბრებისას მეოთხე შედეგით (386 ქ) გავიდა ფინალში. იქ კი იყოჩალა და მესამე საფეხურზე გადაინაცვლა. ნინოს ჩინეთის დედაქალაქში დავურეკეთ და „ლელოს" სახელით გამარჯვება მივულოცეთ.

## ნინო სალუქვაძე:

## ეს ბრინჯაო ჩემთვის სეულის ოქროზე ძვირფასია





- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. საქართველოდან თითოეული ზარი მეც და აქ მყოფ ყველა ქართველ ოლიმპიელს ძალასა და ენერგიას გვმატებს. ვიცი, რომ ჩემი ქვეყანა განსაცდელშია. ამიტომ ამ გაჭირვების ჟამს პეკინში მილწეული წარმატებით მცირედი სიხარული მაინც თუ ვაჩუქე ქართველ ხალხს, თავს ბედნიერად ჩავთვლი. ეს „ბრინჯაო" ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე სეულში მოპოვებული „ოქრო-ვერცხლი", გამიგებთ, ალბათ, რატომაც.

**- ნინო, თქვენ „ჭირსა შიგან გამაგრება" სხვებზე უკეთ შეძელით...**

- მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი. ცეცხლის ხაზზე მდგარი მხოლოდ იმას ვცდილობდი, ემოციები მომეთოკა. განსაკუთრებით ფინალური პაექრობა იყო დაძაბული. ჩინელი და რუსი მსროლელები - ვენჟუნ გუო და ნატალია პადერინა იმდენად დაწინაურდნენ, რომ მათი გასწრება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, ამიტომ ბრინჯაოს მედლისთვის ექვსნი ვიბრძოდით, რადგან ჩვენ შორის ქულათა სხვაობა არ იყო დიდი. გადამწყვეტ ეტაპზე ზუსტად ვისროლე და მესამე ადგილზეც გავედი. შედეგები რომ გამოცხადდა, ემოციებს ვერ მოვერიე. თუმცა, მართალი გითხრათ, საქართველოში დატრიალებული ამბებით ისე ვარ დათრგუნული, რომ ეს წარმატება ბოლომდე ვერ აღვიქვი.

**- რუს სპორტსმენთან თქვენ მთელი მსოფლიოს დასანახად სურათი გადაიღეთ.**

- ოლიმპიური თამაშები თავისი პრინციპებით ყველაზე მეგობრული შეჯიბრებაა. მტრობასა და შურს სწორედ სიკეთემ და მეგობრობამ უნდა აჯობოს. ჩემი და ნატალიას ურთიერთობა ეს არის გზავნილი მთელი მსოფლიოს პოლიტიკოსებისადმი.

**- ჟურნალისტებმა რა გკითხეს?**

- ჯერ კიდევ დაჯილდოების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მასმედიის წარმომადგენელთა მთავარი სამიზნე მე ვიყავი. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა აინტერესებდათ. ყურადღების ცენტრში ვართ ოლიმპიურ სოფელშიც. მხარს გვიჭერენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, გვამხნევებენ.

**- რა სიტუაციაა ახლა ოლიმპიურ სოფელში?**

- რა მდგომარეობაში უნდა ვიყოთ, როცა ვიცით, რომ საქართველოში ომია, იღუპება ხალხი, ინგრევა სახლები. უნდა მოვერიოთ თავს, წინ მთავარი ორთაბრძოლებია და იქაც უნდა დავუმტკიცოთ მთელ მსოფლიოს, რომ იოლად ვერავინ დაგვაჩოქებს.

**- თუნდაც ამიტომ არ უნდა წამოსულიყავით ოლიმპიური თამაშებიდან.**

- რა თქმა უნდა. დიდი შეცდომა იქნებოდა პეკინის დატოვება. ეს მტერს მხოლოდ გაახარებდა. მედლების მოხვეჭით შევუმსუბუქებთ ქართველ ერს უმძიმეს ტკივილს.

**- ნინო, ორიოდ დღეში სპორტული პისტოლეტიდან სროლაშიც მოგიწევთ ქვეყნის ღირსების დაცვა. წარმატებას გისურვებთ.**

- დიდი მადლობა.











## სიკეთემ ბოროტებას უნდა სძლიოს



**გუშინ** გვიან ღამით, პეკინის ოლიმპიურ სოფელში საქართველოს მისიის ხელმძღვანელს, სახელოვან ფალავანს, ოლიმპიურ ჩემპიონს, სეოკ-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტ ლერი ხაბელოვს ტელეფონით შევეხმიანე.

- საქართველოში დატრიალებულმა ამბებმა ყველა შეგვაძრწუნა. იმდენად ვიყავით დაზაფრულები, რომ პეკინიდან გამომგზავრებაც გადავწყვიტეთ. რომ არა ქვეყნის პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** თხოვნა, ასეც მოხდებოდა. ორთაბრძოლებისთვის განწყობა მეტად რთული აღმოჩნდა. ეს ვერც **ნესტორ ხერგიანმა** შეძლო, რომელიც ქართველ სპორტსმენთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია. პირველ წრეში მსაჯის მიერ დაშვებულმა შეცდომამაც თავისებური დაღი დაასვა მის გამოსვლას. რაც შეეხება სამგზის ევროპის ჩემპიონ **ზაზა კედელაშვილს**, მოგეხსენებათ, ბოლო დროს მას ზედმეტი წონა აწუხებდა. ოლიმპიადისთვის, როგორც იქნა, შეძლო მისი დარეგულირება, მაგრამ დელეგაციის მიერ შინ დაბრუნების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ეტყობა, თავს ზედმეტის უფლება მისცა, რამაც კვლავ შეუქმნა წონის პრობლემა. ყოველივე ამან საერთო განწყობასთან ერთად უარყოფითად იმოქმედა მის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე.

სამწუხაროდ, დამარცხდა მოკრივე **კახა ჟვანია**. ვიმედოვნებდით, რომ იგი ამერიკელ **დიმიტრიუს ანდრადეს** სძლევდა და შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაგებისთვის რევანშს აიღებდა. თანაბარი პაექრობა იყო. მიკერძოებაში თუ არ ჩამეთვლება, შემიძლია გითხრათ, რომ არბიტრებმა კახას რამდენიმე ქულა დააკლეს. არადა, ქართველმა მოკრივემ სულ ორი ქულით დათმო შეხვედრა.

გაგვახარა ნინო სალუქვაძემ - ჩვენს სპორტულ დელეგაციას პირველი მედალი მოუტანა. ოცი წელიწადი ელოდა ქართველი ჩუბინი ამ წარმატებას. სეულის ოლიმპიადაზე მოპოვებული „ოქრო-ვერცხლის" შემდეგ მას ზაფხულის თამაშებზე რამდენჯერმე მოეცარა ხელი. ნინოს „ბრინჯაო" აუცილებლად შემატებს რწმენას ქართველ სპორტსმენებს. ის ჟესტი, რაც მან გააკეთა დაჯილდოების შემდეგ, ანუ რუს სპორტსმენთან სურათის გადაღება იმის მაჩვენებელია, რომ სიკეთე ბოროტებაზე ძლიერია, მეგობრობამ ომზე უნდა გაიმარჯვოს!

Beijing 2008

# ოლიმპიადა სარბიელს მიღმა

თენგიზ გაჩეჩილაძე,
პეკინიდან

## დავით გობეჯიშვილი და მონღოლები

წარსულში ცნობილ სპორტსმენებს ისეთ დიდ სპორტულ ფორუმზე, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები, ყველაზე უწინ ისევ ვეტერანი სახელოვანი სპორტსმენები, მწვრთნელები და გულშემატკივრები ცნობენ. **დავით გობეჯიშვილს** ბევრი იცნობს, განსაკუთრებით აფასებენ ფალავნებით განთქმულ ქვეყნებში.

ძიუდოს დარბაზში შევდივართ. ჩია, საშუალო და უფროსი ასაკის, აზიური იერსახის ადამიანებს შორის გოლიათი შევნიშნეთ - დათო გობეჯიშვილი. შორიახლოდან ვაკვირდებით. მონღოლების გარემოცვაშია. თბილად ესაუბრებიან. გვერდზე გავიხედეთ, კორესპონდენტი და ოპერატორი მორბიან. ჟურნალისტი რუსულად მიესალმა დათოს. დაიწყო ინტერვიუს ჩაწერა. მოდიან და მოდიან მონღოლები, მობილურით ატყობინებენ დარბაზში მყოფ თავისიანებს, თუ ვისთან დგანან და სად მიაკითხონ. რიგი დადგა ხელის ჩამორთმევაზე, ზოგს ბედმა გაუღიმა და გამოელაპარაკა კიდეც დათოს.

## 500 დოლარი ინტერნეტ ძსელში ჩართვაში

ასეთი რამ ადრე არსად გვინახავს. თუმცა ადრე არც ინტერნეტის და ნოუთბუკის ეპოქა იყო. თუ გინდა, პეკინის ოლიმპიადა ოპერატიულად გააშუქო, კეთილი ინებე და ერთბაშად 500 აშშ დოლარი გადაიხადე. ასეთია ოლიმპიადის როგორც მთავარი, ისე სხვა პრესცენტრების მოთხოვნა. ერთბაშადო, ვთქვით იმიტომ, რომ არავითარი შეღავათი, ერთი ან რამდენიმე დღე გამორიცხულია - გადაიხადე სრულად მთელი ოლიმპიადის მომსახურების საფასური. ვინც გვიან ჩამოდის, შეღავათი არც მათზე ვრცელდება. ერთადერთი ადგილი, სადაც ინტერნეტი უფასოა, მთავარი პრესცენტრის კაფეა, მაგრამ იქ მუშაობასთან ერთად, განუწყვეტლივ უნდა სვა და ჭამო, ანუ გვარიანად დაიხარჯო. თუ არა და, უცერემონიოდ მიგაბრძანებენ.

## შტურმი ავტობუსზე

უკვე ბუზღუნებენ ჟურნალისტები და თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ყოველდღიურ სხდომაზეც აღინიშნა, რომ ტრანსპორტი შეფერხებით მუშაობს. ამა თუ იმ სპორტულ ბაზაზე ტრანსპორტის გაუმართავი მუშაობის გამო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები მისვლას აგვიანებენ. არადა, ოლიმპიურ თამაშებზე უმთავრეს საზრუნავად სპეციალურად გამოყოფილი ტრანსპორტით შეუფერხებლად გადაადგილება ითვლება. იალღიში, თანაც ძალიან სერიოზული, თამაშების დაწყების პირველსავე დღეს მოუვიდათ ორგანიზატორებს - მთავარი პრესცენტრიდან ძიუდოს დარბაზში მიმავალი №017 ავტობუსი არა და არ გამოჩნდა. მთელი საათ-ნახევარი იდგნენ ჟურნალისტები ავტობუსის მოლოდინში. მოხალისეები, რომლებიც მრავლად არიან (მაგრამ არაფერი იციან), ხშირ-ხშირად თავს იმით იმართლებდნენ, რომ... სიცხეა და უნდა ეპატიოთ (?!), სიცხეში ამდენხანს მდგარი ხალხი კი არ ადარდებდათ. ბოლოს იქვე ჩამომდგარი, სხვა სპორტული ბაზისკენ მიმავალი ავტობუსის შტურმით აღება და „გატაცება“ სცადეს მასმედიის აღშფოთებულმა წარმომადგენლებმა. აი, მაშინ კი მოეგნენ გონს მასპინძლები და საიდანღაც სასწრაფოდ მოიყვანეს ზუსტად ის ავტობუსი, რომელსაც ამდენი ჟურნალისტი ელოდა.

მომლოდინეთა შორის ტელევიზიის წარმომადგენლებიც იყვნენ და ფოტოჟურნალისტებიც, ასე რომ, თუ ცისფერ ეკრანზე ან რომელიმე გამოცემაში თვალს მოჰკრავთ ზემოაღწერილ სცენას, არ გაგიკვირდეთ, ეს ნამდვილად მოხდა.

## მასმედიის მეორე ინტერესი

საქართველოში შექმნილმა ვითარებამ დამთრგუნველად იმოქმედა ჩვენს სპორტულ დელეგაციაზე. აქ მთელი მსოფლიო ზეიმობს დიდ სპორტულ დღესასწაულს და ერთადერთია საქართველო 205 ქვეყნიდან, ვისაც ნამდვილად არ ეზეიმება. ჩვენს დელეგაციაში ყველა დაზაფრულია - სპორტსმენიც და მწვრთნელიც, სპორტის ხელმძღვანელებიც და, ბუნებრივია, ჩვენც, ჟურნალისტებიც. ოლიმპიურ პეკინშიც ყველამ კარგად იცის, რაც მოხდა, წუხან, გვისამძიმრებენ, ცდილობენ, გაგვამხნევონ. მაგრამ როგორ გინდა გაამხნევო ისინი, ვისაც შინ დარჩენილების და სამშობლოს დარდი აქვს. ზოგმა უკვე შეიტყო, რომ ოჯახის წევრი დაჭრილი წევს გორში, ზოგიერთის ახლობელი მოვლენების ეპიცენტრშია...

ჩვენი დელეგაციის წევრებს მოსვენება არ აქვთ ჟურნალისტებისგან. ითხოვენ განმარტებას და შეფასებას მომხდართან დაკავშირებით; დაჟინებით მოითხოვენ პრესკონფერენციის მოწვევას. ოლიმპიადის დღეებში გარკვეული შეზღუდვებია პოლიტიკასთან დაკავშირებით. ჩვენებიდან, ცხადია, არავის უნდა, დაუფიქრებელი ნაბიჯი გადადგას. სოკ-ის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** თავიდანვე კატეგორიულად განაცხადა: სპორტულმა დელეგაციებმა და განსაკუთრებით სპორტსმენებმა არენებზე არ გააკეთონ პოლიტიკური განცხადება, არ გამოიყენონ პლაკატებიო და ა.შ.

რა არის დასაშვები და რა ფორმით? ამ საკითხის ზუსტად გადაჭრას საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელობა, ჩვენთან, ჟურნალისტებთან ერთად ცდილობდა. ვის არ მივაკითხეთ, მთავარ პრესცენტრში შეკრების ადგილი და დრო თითქოს შეათანხმეს, მაგრამ აი, ამ წუთში, როცა ეს სტრიქონები იწერება და ქართველი ჟურნალისტები საბოლოო პასუხის მოლოდინში ვართ, პრესცენტრის თანამშრომელი, რომელსაც კიდევ სადღაც უნდა შეეთანხმებინა ჩვენი თხოვნა, მოდის და გვეუბნება, რომ ჩვენთვის სასურველ დროს საკონფერენციო დარბაზები დაკავებულია. თავიდან თითქოს პრობლემა არ იყო, ახლა კი, უცებ... ხომ არ არის ეს დიპლომატიური უარი? ვნახოთ, ჩვენ კიდევ ვცდით.

თბილისს ტელეფონით ვერ ვუკავშირდებით. ამ საგაზეთო მასალას კი ვამზადებთ, მაგრამ შეიძლება არც ინტერნეტით და არც ფაქსით მოხერხდეს მისი მოწოდება რედაქციაში.

ძიუდოს დარბაზში **დავით ნამგალაური** და **ემზარ ზენაიშვილი** შეგვხვდნენ. მათ უცხოელი ჟურნალისტების მთელი ჯგუფი ადევნებიათ და გასაქანს არ აძლევდნენ, სასაუბროდ ვერ ითანხმებდნენ ჩვენებს. ჩამოგვაშორეთ, როგორმე თქვენ მაინც აუხსენით კოლეგებს, რომ ჩავატარებთ ბრიფინგს და ყველაფერი იქ ითქმება, იქ გაეცემა პასუხი შეკითხვებს, - გვეუბნება დავით ნამგალაური. კოლეგებმა ჩვენ უფრო დაგვიჯერეს. ახლა პეკინში მასმედიის წარმომადგენლებისთვის, გარდა ოლიმპიადისა, კიდევ ერთი თემა გახდა აქტუალური - საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსული აგრესია.

ეს ტექსტი რეპორტაჟივით გამოგვდის, გზადაგზა ვამატებთ ახალ ცნობებს. აი, ეს-ესაა **გიორგი ჭანიშვილი** - საქართველოს სპორტული დელეგაციის პრესატაშე გვეუბნება, რომ თამაშების ორგანიზატორებს საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი **ლერი ხაბელოვი** უნდა დაუკავშირდეს საკითხის გადასაწყვეტად.



რინგზეა კახაბერ ჟვანია (მარცხნივ)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ჩვენებმა რა ჰქნეს

ნიკოლოზ ნეფარიძე,
პეკინიდან

## ნარიმანიძის საიდუმლო

„ოლიმპიკ გრინის“ მშვილდოსანთა არენაზე ქართველებმა პირველი სიურპრიზი შევთავაზეთ რიგით XXIX ოლიმპიურ თამაშებს – დიდებულად იასპარეზა სარეიტინგო სროლებში **ხათუნა ნარიმანიძემ**. პირველი დღის შემდეგ სამი კორეელი დაწინაურდა, მათ კი კვალში ქართველი უდგას. შეგახსენებთ, რომ სულ 64 მონაწილეა. ხათუნას **სუნგ-ჰიუნ პარკმა** (673 ქულა), **ოკ-ჰე იუნმა** (667) და **ჰიუნ-იუნ იიომ** (664) გაუსწრეს. ნარიმანიძე იიოს მხოლოდ ქულით ჩამორჩა – პირველ ცდაზე ჩვენებურმა 330 ქულა, მეორეში კი 333 ქულა დააგროვა. სხვათა შორის, ნარიმანიძის მეორე ცდა - 64 მონაწილეს შორის მეორე - საუკეთესო შედეგი იყო. ხათუნას კარგი სროლის ფონზე დაიჩრდილა **ქრისტინე ესებუას** გამოსვლა, არადა, მანაც იყოჩაღა – 643 ქულით მე-17 ადგილი აილო. ესებუას მეორე ცდამ უმტყუნა, თორემ პირველის მერე მეხუთე ადგილზე მიდიოდა. სარეიტინგო სროლებმა ჩვენები პლეი-ოფის ბადეში განთესეს, პლეი-ოფი კი ხვალ გაიმართება.

პირველ წრეში ხათუნა ნარიმანიძე ბუტანელ **დორდი დემას** შეხვდება, რომელმაც 64 მონაწილეს შორის 61-ე შედეგი აჩვენა. რაც შეეხება ესებუას, მას არ გაუმართლა, იაპონელმა **იუკი ჰაიაშიმ**, მოულოდნელად, ძალზე ცუდად იასპარეზა პირველ დღეს 48-ე პოზიცია დაიკავა და ქრისტინეს მეტოქედ ერგო. თუკი ჩვენი თანამემამულეები იყოჩაღებენ, ხვალ ქართულ ნახევარფინალს უნდა ველოდოთ.

## ოცი წლის შემდეგ

გუშინ **ნინო სალუქვაძე** მხოლოდ დიდ სპორტსმენებს რომ შეეფერებათ, ისეთ მიღწევას შესწვდა – ოლიმპიურ მედალთა სრული კომპლექტისთვის დარჩენილი ბრინჯაო მოიპოვა. 18 წლის ქართველმა სეულში ოქროს და ვერცხლის მედლები მოიპოვა, ამის შემდეგ ნინომ ოთხ ოლიმპიადაზე იასპარეზა, თუმცა უშედეგოდ და აი, ზუსტად 20 წლის შემდეგ, სალუქვაძე კვლავ ოლიმპიურ პოდიუმზეა. მსროლელი საქართველოდან სამივე ხარისხის ოლიმპიური მედლის პირველი მფლობელია, მანამდე ეს ვერავინ შეძლო. მოკლედ, სალუქვაძისთვის აზიური კონტინენტი ფეხბედნიერია.

საკვალიფიკაციო წრეში რუსმა **ნატალია პადერინამ** 391 ქულით ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. ნინომ 386 ქულით მეოთხე ადგილი აჩვენა. ცდების მიხედვით ქულები ასე განაწილდა: 97, 96, 96 და 97. ფინალში ჩვენმა ვეტერანმა სპორტსმენმა ბრწყინვალედ ისროლა - 101,4 ქულა დააგროვა, რაც ფინალურ რვეულში მეორე შედეგი იყო. მასზე უკეთ მხოლოდ **ვენჟუნ გუომ** ისროლა ფინალში, რის წყალობითაც ჩინელი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ნინოს სულ ცოტა დააკლდა ვერცხლის მედლამდე, მან 487,4 ქულა დააგროვა, პადერინამ კი - 489,1.

პოდიუმზე რუსი და ქართველი მსროლელები ერთმანეთს გადაეხვივნენ და თავიანთ ქვეყნებს მშვიდობისკენ მოუწოდეს. *„ეს მედალი ძალიან სჭირდებოდა საქართველოს ამ გაჭირვებულ დღეებში. ჩვენ მეგობრები ვართ და პოლიტიკოსები ამ მეგობრობას ვერ დაანგრევენ. სპორტს პოლიტიკასთან არაფერი ესაქმება,* - განაცხადა ნინო სალუქვაძემ – *ჩვენ 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, სირცხვილია, სადმე კიდევ რომ ომობენ“.* პადერინამ განაცხადა, რომ ნინოს დიდი ხანია იცნობს და მეგობრობს მასთან და რომ პოლიტიკოსებს ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ მათგან.

## ძალიან მაგარი ბიჭი

**კახა ჟვანიას** სახით ძალიან მაგარი ბიჭი გვყოლია – რომ არა წილისყრის სიმუხთლე, ვინ იცის, სადამდე გაალწევდა ქართველი მოკრივე პეკინის უნივერსიტეტის ბრწყინვალე გიმნაზიუმში, რომელსაც ცირკის ფორმა აქვს. შარშან ჩიკაგოში მსოფლიოს ჩემპიონატზე 69 კგ წონითი კატეგორიის პირველ წრეში ჟვანია ამერიკელ **დემეტრიუს ანდრადეს** შეხვდა, მაშინ 19 წლის ანდრადემ დაძაბულ ბრძოლაში აჯობა ქართველს, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონი და ტურნირის საუკეთესო მოკრივე გახდა. მას შემდეგ კახა იმუქრებოდა, რომ შეძლებდა პეკინში შურისძიებას. ოღონდ მას სურდა, რომ მაინცდამაინც პირველ წრეში არ შეხვედროდა ამერიკელს (რათა სასტარტო მღელვარებას ჩაევლო). სამწუხაროდ, ჟვანია და ანდრადე ისევ პირველ წრეში დადგნენ ერთმანეთის პირისპირ.

პირველ წრეებში კუბელებს, ამერიკელებსა და რუსებს, როგორც წესი, არ უჭირთ მეტოქეთა განადგურება. ალბათ, ბევრმა წინასწარ შეიბრალა ქართველი მოკრივე, თუმცა დაიწყო ბრძოლა და... ჟვანია ტოლს არაფერში უდებდა მატჩის აშკარა ფავორიტს. პირველ რაუნდში მსაჯებმა მას ერთი დარტყმა აშკარად არ ჩაუთვალეს, რაუნდი ანდრადემ 2:0 მოიგო. როგორც აღმოჩნდა, ეს ერთადერთი რაუნდი იყო, რომელიც ამერიკელის გამარჯვებით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე სულ წინ იყო, ქართველი ყოველთვის ახერხებდა მიახლოებას. ბოლო წამებამდე მატჩის ბედი უცნობი იყო, საბოლოოდ ჟვანიამ 9:11 დათმო, თუმცა დარბაზისგან ოვაციები დაიმსახურა, ისევე როგორც – მეტოქისგან. დღეს გიმნაზიუმში კიდევ ერთი ჩვენი მოკრივე იასპარეზებს - **ნიკოლოზ იზორია** (57 კგ.) **ტატო ბატშეგის** შეხვდება. ამ დუელში უკვე ქართველი მოკრივეა ფავორიტი.

## ილიამ დაასრულა

ვეტერანმა ქართველმა ტანმოვარჯიშემ **ილია გიორგაძემ** უკვე იასპარეზა პეკინის ოლიმპიადაზე. მრავალჭიდში ძალები მას არ უცდია. ის თავისუფალ პროგრამაში და ორძელზე გამოვიდა. განსაკუთრებით ამ უკანასკნელის გვეიმედებოდა, რადგან ილიას ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი ჰქონდა. სამწუხაროდ, მის მიერ ორძელზე ნაჩვენები 15,150 ქულა ფინალისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა (25-ე ადგილი). თავისუფალ პროგრამაში მან უფრო უარესად იასპარეზა – 14,625 ქულა.

## მთავარია მონაწილეობა

გუშინ, ფანტასტიკურ „კუბში“, რომელიც გარედან თუ შიგნიდან ყველას თვალს ახარებს, ქართველმა მოცურავეებმა იასპარეზეს. ვერ გეტყვით, ნაგებობის სიდიადემ შებოჭა თუ არა **ირაკლი რევიშვილი** – მან საკუთარ რეკორდზე 10 წამით ნაკლები შედეგი აჩვენა. ირაკლიმ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველ ჰიტში ორ მაჩანჩალასთან ერთად გაცურა (1:53,60). მართალია, მან მეტოქეებს შესამჩნევად აჯობა, მაგრამ შედეგი საამაყო ნამდვილად არ არის. წარმოიდგინეთ, რომ ქართველის დრო **მაიკლ ფელპსის** რეკორდულ მაჩვენებელს 36 წამით ჩამორჩება. რევიშვილი 53-ე ადგილზე გავიდა - უკან ოთხი მოცურავე ჩამოიტოვა.

100 მეტრზე ბრასში **ანა სალნიკოვამ** თავის ჰიტში მალელ მოცურავეს გაასწრო - 1:21,68 წთ. ეს ყველაზე სუსტი ჰიტი იყო. ასე რომ, ანამ 49 სპორტსმენს შორის 48-ე ადგილი დაიკავა.

Beijing 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაჟბურთი

# მარცხი ქვიშაში

პეკინის ოლიმპიადაზე პლაჟბურთის ქართული წყვილების სასტარტო შეხვედრები წარუმატებელი გამოდგა. **საქართველომ** და **გეორ-გიამ**, რომლებიც კენჭისყრით C ჯგუფში მოხვდნენ, პირველ შეხვედრებში მარცხი განიცადეს.

ჩვენი წყვილებიდან მოედანზე პირველად გეორ-გია გამოვიდა. ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე საკმაოდ ძლიერი ავსტრალიური წყვილი **შახტი-სლეკი** იყო. მატჩის მიმდინარეობისას გეორ-გია ორივე სეტში ფლობდა საწყის უპირატესობას - ოთხი ქულით წინ იყო ანგარიშში, მაგრამ მათ მისი შენარჩუნება მაინც ვერ მოახერხეს და 17:21, 19:21 დამარცხდნენ.

ვაჟთა შორის ტურნირზე ერთი სენსაციური შედეგიც დაფიქსირდა. მსოფლიოს ჩემპიონები - ამერიკელები **როჯერსი** და **დალჰაუზერი** ოლიმპიადის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტები არიან. ეს წყვილი მეორე ნომრადაა განთესილი, მაგრამ 23-ე ნომრად განთესილ ლატვიურ წყვილთან - **სამოილოვსთან** და **პლავინისთან** წააგეს - 0:2 (19:21, 18:21).

გეორ-გიას მომდევნო მეტოქემ, ბრაზილიელებმა **რიკარდომ** და **ემანუელმა** თავიანთ პირველ შეხვედრაში იოლად დაამარცხეს ანგოლური დუეტი - **ფერნანდესი-მორაიში** - 21:8,21:13.

დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა საქა-რთველოს. ჩვენი გოგონების მეტოქე ჯგუფისა და ოლიმპიური თამაშების ფავორიტი ბრაზილიელები **ლარისა** და **ანა პაულა** იყვნენ. პირველ სეტში საქა-რთველომ თავდადებით იბრძოლა და შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა. სეტი ჩვენი ფრენბურთელების გამარჯვებით- 25:23 დასრულდა.

მაგრამ ლარისამ და ანა პაულამ, რომლებიც ერთად კარიერაში პირველად თამაშობდნენ, მაინც შეძლეს მატჩის ბედის სათავისოდ გადაწყვეტა 25:17, 15:5. ამავე ჯგუფში ავსტრალიურმა წყვილმა **ბარნეტი-კუკის** შემადგენლობით რუსები **ურიადოვა** და **შირიაევა** დაამარცხა - 2:1(21:18, 19:21, 15:12). მორიგ შეხვედრას საქა-რთველო სწორედ ავსტრალიელების წინააღმდეგ გამართავს.

**ბესიკ ჯანგავაძე**



# ამერიკელი ხათუნა სამშობლოზე დარდობს



**კრისტინ ბრენანი,**
US Today

ქართული წარმოშობის ამერიკელი მშვილდოსანი **ხათუნა ქვრივიშვილი,** იგივე **ხათუნა ლორიგი**, ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიიდან ოლიმპიურ სოფელში დაბრუნდა და ტელევიზორს მიუჯდა. ახალი ამბები აინტერესებდა. გაიგო ამბები და გაოგნდა. BBC-მ გამოშვების უმეტესი ნაწილი დაუთმო ხათუნას მშობლიური ქვეყნის, საქართველოს პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** გამოსვლას. *„გავშეშდი, გავიყინე“*, - აღნიშნა ლორიგმა.

მასთან ერთად ოთახში მცხოვრებმა ერთმა სპორტსმენმა შეხედა ხათუნას და ჰკითხა: *„საქართველოა“? „დიახ“*, - მიუგო ლორიგმა.

ხათუნამ დაინახა, რომ მის სამშობლოს უტევენ. ამერიკაში განათლებამიღებული საქართველოს პრეზიდენტი, ტელევიზიის მეშვეობით, ამერიკას მხარდაჭერას სთხოვდა სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული პროვინციის გამო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. 34 წლის ლორიგმა, რომელიც 2000 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა, თბილისში დედას დაურეკა. მას ადრეც ესაუბრა პეკინის ოლიმპიური სტადიონიდან, რომელსაც „ჩიტის ბუდე“ ჰქვია. დედამისს არ უხსენებია საქართველოს საჰაერო სივრცეში რუსეთის შემოჭრისა და დაბომბვის ამბები...

ამჯერად ლორიგის დედა ზარს არ პასუხობდა. 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, მშვილდოსან ქალთა ინდივიდუალური შეჯიბრების წინა კვალიფიკაციამდე დასვენების ნაცვლად, ხათუნა საკუთარ ოჯახზე ნერვიულობდა. მაგრამ შემდეგ მან ყველაფერი გაიაზრა. ლორიგი მიხვდა, რომ დედამისმა ძალიან კარგად იცოდა, რაც ხდებოდა და არ უნდოდა, ზედმეტად ენერვიულა, ოლიმპიადის გახსნის საუცხოო ცერემონიის დროს.

*„დავივიწყე ტელევიზორი და დავიძინე“*, - აღნიშნა მშვილდოსანმა. შაბათს, შეჯიბრების დღეს, დილიდანვე მისი გონება კვლავ საქართველოზე გადაერთო. მან ისევ დარეკა სახლში. ამჯერად დედამ უპასუხა.

*„ის მხნედაა, მაგრამ ძალიან ახლოსაა იმ ზონასთან, სადაც ყველაფერი ხდება. მგონი, დაბომბვის ხმაც ესმოდა, მაგრამ ამბობდა, რომ კარგად გრძნობს თავს. დილას ნერვიულობისგან გაოგნებული ვიყავი. როგორც კი გავიგე დედაჩემის ხმა, მაშინვე გამოვფხიზლდი“*, - ჰყვება ლორიგი.

შემდეგ ის წავიდა შეჯიბრებაზე და კვირის ყველაზე ცხელ დღეს კვალიფიკაციის გავლა მოახერხა: 64 მონაწილეს შორის 26-ე ადგილზე გავიდა. შედეგი დიდად არ მოეწონა, მაგრამ საქმე არც ისე ცუდად იყო. ყოფილი საბჭოეთის ნაკრების შემადგენლობაში ლორიგი ბარსელონის ოლიმპიადაზე (1992) ასპარეზობდა. იქ მან გუნდური ბრინჯაო მოიპოვა, სამშობლოს სახელით კი ატლანტასა (1996) და სიდნეიში (2000) გამოდიოდა. გამოტოვა ათენის ოლიმპიადა, რადგან ჯერ არ იყო აშშ-ის მოქალაქე, ახლა კი, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე, უკვე მესამე სახელმწიფოს სახელით ისვრის მშვილდს.

საქართველოს სახელით მოასპარეზე მისმა ორმა ყოფილმა თანამემამულემ სამშობლოში მიმდინარე მოვლენებზე საუბარი არ ისურვა. *„ჩვენ ტელეფონითაც კი არ გვისაუბრია“*, - აღნიშნა **ხათუნა ნარიმანიძემ**, რომელმაც კვალიფიკაციაში მეოთხე ადგილი დაიკავა.

*„ჩვენ სპორტსმენები ვართ, აქ საასპარეზოდ ვართ ჩამოსულები და იმედი გვაქვს, შინ ყველაფერი კარგად იქნება. იმედით ვცოცხლობთ“*, - განაცხადა **ქრისტინე ესებუამ**, რომელმაც მე-17 ადგილი დაიკავა.

ორივე გოგონამ შეჯიბრებებს შორის შესვენებისას ისაუბრა. საქართველოში დაბადებულმა სამივე მშვილდოსანმა რუს მეტოქეებს აგრძნობინა, რომ იოლი საასპარეზო დღე არ ექნებოდათ.

*„ჩვენ მეგობრები ვართ, - რუსულად თქვა ნარიმანიძემ, - სპორტი პოლიტიკა არაა. კარგი ურთიერთობა გვაქვს ყველა ეროვნების სპორტსმენთან. ჩვენ მშვიდობა და მეგობრობა გვსურს“*.

ლორიგისგან გამოგზავნილი ინგლისურენოვანი მესიჯიც ამ სულისკვეთებისა იყო: *„მსურს, რაც შეიძლება მალე მშვიდობა დამყარდეს“*.

მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**

# სპორტი და ხელოვნება: რუსეთო, ხელები შორს საქართველოსგან!

გუშინ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლისთვის არავის ეცალა - ხელოვნებისა და სპორტის მილეთი შეიკრიბა და დეკლარაციას მოაწერა ხელი – STOP RUSSIA!

დეკლარაცია გაიგზავნება იმდენ ადგილას, რამდენიც ეს შესაძლებელი იქნება. საინფორმაციო ომიც ხომ მოსაგებია და ცნობილი ხალხიც ამად შეიყარა რუსთაველის თეატრში.

**რომან რცხილაძე, ზუმბა, ლელა წურწუმია, გია როინიშვილი, გურამ სალარაძე, ლეილა მესხი, ელდარ კურტანიძე, მურთაზ ხურცილავა, სერგო კოტრიკაძე, ოთარ გაბელია, ვლადიმერ ბარქაია, თენგიზ სულაქველიძე, მაია აზარაშვილი...** ორასამდე ადამიანი იქ ჩართულ ტელევიზორს უყურებდა და საინფორმაციო გამოშვებით გული ეკუმშებოდა – კარგი ამბები ჯერ არ ისმის.

ღონისძიებაზე საქართველოს ფეხბურთის ფედრაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაციც** მოვიდა, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხორვატი თავკაცი **პეტარ სეგრტი** ახლდა. ახლა თბილისადან უცხოელები გარბიან, სეგრტი კი აქ დარჩა, რაც, რა თქმა უნდა, დასაფასებელია.

სიტყვით პირველად ლუკა კურტანიძე გამოვიდა, შემდეგ **მანუჩარ მაჩაიძე** და ცხადია, პროტესტი გამოთქვეს რუსეთის ფედერაციის აგრესიისადმი. დარბაზში ყველამ მოიწონა აზრი იმის თაობაზე, რომ თითოეულმა სპორტულმა ფედერაციამ სხვა ქვეყნის ფედერაციებს მიაწოდოს ინფორმაცია იმაზე, თუ სინამდვილეში რა ხდება საქართველოში.

დღეს ჩვენ კიდევ შევხვდებით ვარდების მოედანზე – ასე დაემშვიდობა თეატრში შეკრებილი საზოგადოება ერთმანეთს.

**დავით თავართქილაძე**



ავტორის ფოტო

## ოლიმპიადის მიღმა

კალათბურთი

**A დივიზიონი**

საბერძნეთი-საქართველო 97:67
22:15, 29:15, 21:16, 25:21

| საქართველო | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაშვილ. | 33 | 5 | 1 | 2 | 3 | 0 |
| შენგელია | 22 | 10 | 5 | 1 | 0 | 0 |
| პირველაშვილი | 11 | 2 | 2 | 0 | 1 | 0 |
| წიწიშაძე | 24 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 |
| შერმადინი | 37 | 31 | 9 | 1 | 0 | 0 |
| ჯგერენაია | 18 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 |
| მათიაშვილი | 18 | 11 | 7 | 1 | 1 | 0 |
| ფაცაცია | 32 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 |

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 2. სლოვენია | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 4. საქართველო | 3 | 0 | 3 | 3 |

# B დივიზიონში დავბრუნდით

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს A დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ბერძნების 29 ქულით დამარცხება აძლევდათ ხელს, მაგრამ 30 ქულით თვითონ წააგეს – 67:97. მეორე მატჩში ბულგარეთმა სლოვენიას 80:78 სძლია, მაგრამ ჯგუფში მეორე ადგილი მაინც ვერ დაიკავა. ბულგარეთს, საბერძნეთსა და სლოვენიას საბოლოოდ ერთნაირი ქულათა რაოდენობა მოუგროვდათ და ერთმანეთში ნაჩვენები შედეგის მიხედვით ჯგუფში პირველი ადგილი ბერძნებმა დაიკავეს, ხოლო მეორე – სლოვენიელებმა. მესამეადგილოსანი ბულგარეთი და მეოთხე, საქართველო მომავალ წელს B დივიზიონში ითამაშებენ.

ბერძნებთან ტურნირის პირადი რეკორდი დაამყარა **გიორგი შერმადინმა**. მან 31 ქულა ჩააგდო და 9 მოხსნა მოაგროვა.

**პაატა შალამბერიძე**

ჭადრაკი

# მეშვიდე და დასვენება

20-წლამდელთა მსოფლიო პირველობაზე შაბათს მეშვიდე ტური გაიმართა. დებულების თანახმად, მეშვიდე ტურის შემდეგ მონაწილეებს ერთი დღე დასვენება უწევთ. პაუზამ ბევრისთვის სასარგებლოდ შეიძლება იმუშაოს - როგორც გოგონებში, ისე ვაჟებში რამდენიმე ფავორიტია, რომლებმაც სათანადოდ ვერ იასპარეზეს პირველ ნახევარში. ერთ-ერთი ასეთი გერმანიის სახელით მოთამაშე **დავით ბარამიძეა** - რეიტინგით მეხუთეა (2593), მაგრამ მხოლოდ 4 ქულა აქვს და ლიდერებს თითქმის უიმედოდ ჩამორჩება - პირველადგილოსნებს 6 ქულა აქვთ. დაწევის შანსი ბარამიძეს და სხვებსაც ჯერ კიდევ აქვთ - ფინიშამდე 6 ტურია დარჩენილი.

მეშვიდე ტური წარმატებული გამოდგა **თორნიკე სანიკიძისთვის** - თეთრი ფერით მექსიკელი დიდოსტატი **მანუელ ლეონი** დაამარცხა. ლეონს ქართველზე მეტი რეიტინგი აქვს - 2543, სანიკიძეს კი - 2486. ამად უფრო გასახარია თორნიკეს წარმატება. ქულის შემატებით სანიკიძემ ლიდერთა ათეულში შეაღწია და მერვე ტურში მეხუთე დაფაზე შავი ფერით ფილიპინელ **ვესლი სოუს** დაუპირისპირდება. ფილიპინელის რეიტინგი კიდევ უფრო მეტია, ვიდრე მექსიკელი მანუელის - 2577. ამასთანავე, ვესლი სოუ ფილიპინელთა უმთავრესი მოჭადრაკეა და ეს, მიუხედავად მისი ასაკისა - 15 წლის გახლავთ.

სამწუხაროდ, სანიკიძეს გვერდი ვერ აუბეს **დავით ბენიძემ** და **ნოდარ ლორთქიფანიძემ**. ორივემ შავებით წააგო - ბენიძემ ავსტრიელ დიდოსტატ **მარკუს რაგერთან** (2527), ლორთქიფანიძემ კი ვენესუელელ **ედუარდო იტურიგასასთან** (2561) გააჩერეს საათი.

მერვე ტურში ბენიძეს კვლავ შავებით მოუწევს თამაში - მეტოქედ პოლონელი საერთაშორისო ოსტატი **დარიუს შვირცი** (2456) ჰყავს. ლორთქიფანიძე თეთრებით ითამაშებს ებრაელი **ისრაელ კასპის** (2412) წინააღმდეგ. ცხრილის სათავეში ორხელისუფლებიანობაა: ინგლისელ **დევიდ ჰოუელს** და გერმანელ **ერიკ ბრაუნს** 6-6 ქულა აქვთ. 5.5 ქულით ლიდერს კვალში უდგას სამი მოჭადრაკე: ჩინელი **ჩაო ლი** (2590), აზერბაიჯანელი **ელტაჯ საფარლი** (2527) და ჩინელი ქალბატონი **იფან ჰოუ** (2557). ჭადრაკის გულშემატკივარს ეს სახელი ეცნობა - 14 წლის გოგონას უნიკალური საჭადრაკო მონაცემები აქვს და საოცრად მაღალი რეიტინგის მფლობელიც გახლავთ - ამ ასაკში არც ერთ ქალბატონს მსგავსი სიმაღლეებისთვის არ მიუღწევია.

გოგონებში ქართველთა მონაგარი კვლავ მწირი იყო და თუკი ვინმეს შეიძლება არგოს დასვენებამ, ჩვენებურები არიან. **მირანდა მიქაძე** ლიდერებთან ახლოს არის - 5 ქულა მოაგროვა და პირველობის რეალური შანსი შერჩენია, მაგრამ **ქეთი წაწალაშვილსა** და **ნაზი პაიკიძეს** კი სხვა ამოცანების გადაჭრა მოუწევთ - რაც შეიძლება უკეთესი ადგილი დაიჭირონ და რეიტინგული კლება მაქსიმალურად აიცილონ თავიდან. მეშვიდე ტურში ნაზიმ კვლავ დაბალრეიტინგიან მეტოქესთან - ხორვატ **ანა ბერკესთან** (2100) გაიყო ქულა შავი ფერით, ქეთი წაწალაშვილმა კი თეთრებით იწვნია მარცხი უზბეკ საერთაშორისო ოსტატ **ულდუზ ჰამრაკულოვასგან** (2145).

მერვე ტურში მირანდა მიქაძე შავებით ინდოელ **რაჯკუმარ პრითის** (2183) ხვდება; ნაზი პაიკიძე თეთრებით ბერძენ **მარია იკონომოპულოს** (2074) შეუტევს, ქეთი წაწალაშვილის მეტოქე კი თურქი **ასლი ბაირაკი** (2013) იქნება. შავებით ქართველი მოჭადრაკეა.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ მიბომბავთ ქვეყანას, ასეთი რა დაგიშავეთ?

## კახა კალაძეს რუსეთი და ევროპა ერთნაირად აღიზიანებს



კახა კალაძე

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე პოლიტიკისა და რუსეთის თაობაზე ღიად საუბარს ყოველთვის ერიდებოდა და თუ საუბრობდა, ფრთხილად.

თუმცა ახლა ომია და „მილანისა“ და საქართველოს ნაკრების მცველმა განრისხება ვერ დამალა:

- ამას სხვა სახელი არ ჰქვია – ეს არის ომი რუსეთსა და საქართველოს შორის. ისეთი რა უნდა მომხდარიყო, რომ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ომი დაეწყოთ? რა არის ჩვენი დანაშაული, არავის მონობა რომ არ გვსურს? ის, რომ დემოკრატია მათზე მეტად გვენატრება? არ ვიცი, ეს რა საგიჟეა. რუსეთი დიდხანს მალავდა თავის დამოკიდებულებას, მაგრამ ახლა ნიღაბი აიხადა. შოკში ვარ!

**- ნაკრების ფეხბურთელები ქართული სახელმწიფოებრიობის მხარდამჭერი აქციის გამართვას ხომ არ აპირებთ?**

- შეიძლება, მოფიქრებაა საჭირო. თუმცა არა მგონია, რუსეთმა ასეთ აქციას ყურადღება მიაქციოს. საქმე რომ გვქონდეს დემოკრატიულ, ევროპულ ქვეყანასთან, მაშინ სხვაა.

**- მილანელმა თანაგუნდელებმა მომხდარზე რა იციან?**

- ევროპაში ყველამ ყველაფერი იცის. მთელი მსოფლიო შოკშია. დღეს, 21-ე საუკუნეში როგორ შეიძლება მეზობელ ქვეყანას ასეთი რამ გაუკეთო? ადამიანობაზეა საუბარი, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ. ომია და კიდევ შეიძლება იმის გაგება, რომ საომარ ზონაში ისროდნენ, მაგრამ გორი, ფოთი, სენაკი, ბოლნისი, მარნეული, კოპიტნარი და თბილისი რაღა შუაშია. ჩემი ტელეფონის ზარი არ წყდება, თანაგუნდელებმა იციან საქართველოს ამბები ტელევიზიითაც, ჩემგანაც და ვერ იჯერებენ. ასეთი რა დააშავა ჩემმა ქვეყანამ, რომ მიბომბავთ?

მითხრეს, რომ სილვიო ბერლუსკონი აპირებს ჩემთან დაკავშირებას, ყველა აღშფოთებულია.

**- ჩვენთვის ცნობილია ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის პოზიცია, იტალიისა კი უცნობია.**

- ჯერ არ ვიცი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მე უცხოეთის პოზიციით აღშფოთებული ვარ. მათ ყველაფერი იციან, რაც ხდება საქართველოში, რომ ადამიანებს რუსეთის ჯარი ხოცავს და მეზობელი ქვეყნის დაპყრობას ცდილობს. ისინი სიტყვიერ მხარდაჭერას გვიცხადებენ, მაგრამ ხალხსა და ქვეყანას მხოლოდ სიტყვით ვერ დავიცავთ, ჩვენ რეალური მხარდაჭერა გვჭირდება. მთელი საქართველო ფეხქვეშ გათელეს, ყველა, დაწერილ თუ დაუწერელ კანონს გვერდი აუარეს და ევროპიდან რეალური წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. აბა, ეს რა არის? რუსებმა მთელ ევროპას თავზე დააფურთხეს და ხმას არავინ იღებს. ეს ყველაზე შეურაცხმყოფელია.

**მერაბ მამულაშვილი**



შოთა არველაძე

# რატომ? რატომ?

## შოთას კითხვებს ვერ პასუხობენ

**საქართველოში დატრიალებულმა სისხლის ღვრამ და რუსეთის ინტერვენციამ მთელი მსოფლიოს ყურადღება კი მიიპყრო, მაგრამ ქმედითი დახმარება ჯერ არ ჩანს.**

**რას ფიქრობენ ჩვენზე ევროპაში, რა თვალით უყურებენ საქართველოში მომხდარს და რას ეუბნებიან იქაურებს იქ მცხოვრები ცნობილი ქართველები?**

**ამაზე სასაუბროდ გუშინ ჰოლანდიაში დავუკავშირდით „ალკმაარის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწეს შოთა არველაძეს.**

**- როგორია ჰოლანდიელების დამოკიდებულება საქართველოსადმი? პირადად შენ რას გეუბნებიან?**

- სხვადასხვა ქვეყნიდან ახლობლები და მეგობრები მირეკავენ ან მესიჯს მიგზავნიან. თურქულმა და ჰოლანდიურმა ტელეარხებმა კი ინტერვიუები ჩამომართვეს. მაგრამ ამით, ფაქტობრივად, არაფერი იცვლება, მთავარი ის არის, რომ საქართველოს რეალური მხარდაჭერა ჯერ არ აქვს ევროპაში.

**- გინდა თქვა, რომ ევროპას საქართველო ნაკლებად აინტერესებს?**

- საქართველოში მიმდინარე ამბები გაზეთების პირველ გვერდზეა და ტელევიზიების მთავარი თემაა, მაგრამ ამით ჩვენ რა? საქართველოს ელჩი იყო ჰოლანდიის მთავრობაში და იქიდან მხოლოდ რჩევით გამოვიდა - ცეცხლი შეწყვიტეთო.

**- ჰოლანდიაში მცხოვრებმა ქართველებმა რაიმე საპროტესტო აქცია ხომ არ მოაწყვეთ?**

- დენ ჰააგში მოეწყო აქცია, თუმცა, სამწუხაროდ, მე იქ ვერ წავედი. აქციაზე დაახლოებით სამოცი კაცი იყო. პროტესტის გამოხატვა კარგი და აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ ასე არაფერი გამოდის.

**- ტელეინტერვიუებში რა კითხვები დაგისვეს? როგორ დააფიქსირე საკუთარი პოზიცია?**

- მკითხეს, რას ელი ევროპისგანო. ვუპასუხე, რომ დიპლომატიურ დახმარებას - თუ რესეთმა საქართველოზე ვიზები აკრძალა, რატომ არ შეიძლება რომ ევროპამაც არ მისცეს ვიზები რუსებს-მეთქი. ყველაზე უფრო კარგად და ქმედითად ნატო იცავს ადამიანის უფლებებს და ჩვენ იმიტომ გვბომბავენ, რომ ნატოში გვინდა შესვლა და ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს-მეთქი; ადრე თუ ერაყში შეიძლებოდა შესვლა ადამიანების უფლებების დასაცავად, ახლა რატომ არ შეიძლება დიპლომატიური სანქციების დაწესება მაინც? სათქმელი კი ვთქვი, მაგრამ, ვატყობ, რომ ჩვენდამი მაინც ინდიფერენტული დამოკიდებულებაა...

**დავით თავართქილაძე**

# ალექსანდრე ამისულაშვილი:

# არ ვიცით, საქართველოს როგორ დავეხმაროთ

ომი და მშვიდობა – დღეს სხვა თემა არ არსებობს, გნებავთ, საკითხი ეხებოდეს ეკონომიკას, ხელოვნებასა თუ სპორტს.

საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა ქართველობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

მძიმე მდგომარეობაში არიან ჩვენი ფეხბურთელები, მათთვის სულერთი ნამდვილად არაა ის, რაც ქვეყანაში ხდება.

ვესაუბრებით ნალჩიკის „სპარტაკის“ მცველ **ალეკო ამისულაშვილს.**

**- რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომი წამოიწყო. ალბათ, ვინც რუსეთში თამაშობთ, თავს მაინცდამაინც კარგად არ უნდა გრძნობდეთ.**

- რუსეთში ბევრი ვართ და, რა თქმა უნდა, მომხდარმა შოკში ჩაგვაგდო. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ასეთ რამეს ვერაფრის დიდებით. დაბნეულები ვართ, საქართველოს არხები ერთს გადასცემენ, რუსეთის ტელევიზიები სულ სხვა რამეს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს, ჩვენებმა რუსეთთან ომი როგორ გარისკეს.

**- ჯერ ერთი, ომი რუსებმა დაიწყეს. მეორეც - ასეთ დროს ცნობილი ფეხბურთელებისგან, სპორტსმენებისგან, რიგითი ადამიანებისგან განსაკუთრებულ პოზიციას ველოდებოდით. შარშან სერბმა მოცურავემ მსოფლიოს ჩემპიონატი რომ მოიგო, მაისურა გამოაჩინა წარწერით – “კოსოვო სერბეთია!”**

**მეორე სერბმა, სავო მილოშევიჩმა სერბეთის დაბომბვისას, ინგლისში თამაშზე უარი იმიტომ თქვა, რომ ბრიტანეთი მისი სამშობლოს დაბომბვაში აქტიურად მონაწილეობდა.**

**აი, ასეთი ამბები ხდება და მიკვირს, როდესაც ქვეყანას უმძიმეს დღეში გვიგდებენ, ქართველი სპორტსმენები რატომ პასიურობთ?**

- სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, როგორ შეიძლებოდა ამ დროს საქართველოს მხარდაჭერა. ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებოდით და ვიცოდით, რომ ქვეყანას ყველანაირად უნდა დავხმარებოდით, მაგრამ რა ფორმით?

**- ამჟამად როგორ ხართ ქართველები ნალჩიკში? რუსები და ადგილობრივები როგორ გეპყრობიან?**

- არანაირი აგრესია არ გამოუჩენიათ. ჩვენდამი, როგორი დამოკიდებულებაც ჰქონდათ, ისეთივე აქვთ დღესაც. მერე რა იქნება, მაგას უკვე ველარ გეტყვით.

**- ფეხბურთელები ერთმანეთს ხშირად ესაუბრებით მომხდარზე?**

- რა თქმა უნდა, ომი არ გვსურს, რადგან ამხელა ქვეყანასთან დაპირისპირება არავის აძლევს ხელს. ჩვენ ყველას გვინდა, რომ ამ დალოცვილ მიწაზე მშვიდობა იყოს. დამწვარი ქალაქები და



ალექსანდრე ამისულაშვილი

გადაბუგული ქვეყანა ყველას გვახსოვს და ამის განმეორება არ გვინდა. ბოლოს და ბოლოს, ყველას გვყავს ოჯახი, მეგობრები, ნათესავები, ძმაკაცები...

**მერაბ მამულაშვილი**

# სათასო და ჩემპიონატის მატჩები გაურკვეველი დროით გადაიდო

რუსეთ-საქართველოს ომის გამო, საქართველოში საფეხბურთო ცხოვრებაც დაბრკოლდა. ეს პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა **პაატა ბურჯალიანმა** გვითხრა.

*„ქვეყანაში საომარი მდგომარეობაა გამოცხადებული, ამ დროს კი საზოგადოების თავშეყრა 15 დღის განმავლობაში აკრძალულია. ასე რომ, სათასო მატჩებიც გადაიდო და ჩემპიონატის დაწყებაც“,* - გვითხრა ბურჯალიანმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# დავით ოდიკაძე:

# ხალხი არ უნდა ჩაიხოცოს!

**თბილისის “დინამოს” ვიცე-კაპიტანი დავით ოდიკაძე მიიჩნევს, რომ არანაირი მიზანი არ ამართლებს იმას, რაც ყველაზე ძვირფასია – სიცოცხლე.**

- დათო, როგორია შენი დამოკიდებულება საქართველოში განვითარებული მოვლენებისადმი?

- როგორი უნდა იყოს? ეს არის საშინელება. ახლა, ჩემი აზრით, მთავარია, ყველაფერი გაკეთდეს საიმისოდ რომ მოსახლეობის მსხვერპლი თავიდან ავიცილოთ. არაფერი იმად არ ღირს, რომ ამდენი ხალხი მიწაში ჩაწვეს.

**- ახლა ისეთი ვითარებაა, არავის ეფეხბურთება. თბილისის “დინამოში” რა ხდება, ისევ ვარჯიშობთ?**

- სიმართლე გითხრათ, მოედნისკენ გული არ მიგვიწევს, მაგრამ დღეს ვივარჯიშეთ.

**- შენი აზრით, ასეთ ვითარებაში საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარება შეიძლება?**

- მე მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ ვითარება მალე შეიცვლება და ომიც შეწყდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟამი სიცოცხლისა და ჟამი ფეხბურთისა

## STOP RUSSIA! კუპერმა, არ მეშინიაო


გოგი ქავთარაძე

სიკვდილს რუსეთში სულ სხვა სუნი აქვს, ვიდრე აფრიკაში.

აფრიკა ჩვენგან შორია და **ერიხ მარია რემარკის** ამ სიტყვებშიც არ ყოფილა მთავარი აფრიკა, მთავარი იყო რუსეთი და მისი შედარება დანარჩენ სამყაროსთან.

საქართველო ომის ქარცეცხლშია, ცხედრები ბევრია და ფეხბურთისთვის ვილას სცალია. თუმცა ისეც მომხდარა, ომის დროს სპორტსმენებს თავიანთი საქმე არ შეუწყვეტიათ და მოსაგები მოედანზე მოუგიათ.

90-იანი წლების დასაწყისშიც ომი იყო და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი არ შეწყვეტილა.

მაშინ სულ სხვა ომი მძვინვარებდა. ახლა რუსეთი ლიად გვიტევს და დახმარებას დასავლეთისგან ველით. დაუდექ წუთისოფელსა! ასეა ჩვენი საქმე.

ამ ორომტრიალში საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩი მოახლოვდა უელსთან, ჩვენი ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი **ჰექტორ რაულ კუპერი** კი საქართველოში ვერ ჩამოდის. თამაში 20 აგვისტოს უელსშია და მწვრთნელ-ფეხბურთელებიც იქ ჩავლენ.

გუშინწინ კი რესპუბლიკის მოედანზე აქცია მოეწყო - ქვაფენილზე დაწყობილ გამჭვირვალე პლასტმასის ჭიქებში ჩადებული იყო სანთლები, რომლებითაც დიდად დაიწერა: STOP RUSSIA !

ვინ იქნება რუსეთის აგრესიის გამჩერებელი, ჯერ არ ჩანს. საქართველო თითქმის მარტოა.

რესპუბლიკის მოედანზე გამართულ აქციაში კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ - ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** და პრესსამსახურის ხელმძღვანელი **სანდრო ცნობილაძე**.

- ჰექტორ კუპერთან სატელეფონო კავშირი გვაქვს. მას არ აშინებს საქართველოში მიმდინარე პროცესები და გვითხრა, თუ აუცილებელია, ჩამოვალო. თბილისში საჰაერო მიმოსვლა შეფერხებულია. მიუნხენიდან, ფრანკფურტიდან და ვენიდან პირდაპირი რეისები არ სრულდება. მხოლოდ სტამბოლიდან იყო შესაძლებელი შეუფერხებელი საჰაერო მგზავრობა და თუ არ ვცდები, სტამბოლიდანაც აღარ სრულდება რეისები საქართველოს მიმართულებით. მხოლოდ საგანგებო რეისები დაფრინავენ. მოკლედ, კუპერი საქართველოში ჯერ ვერ ჩამოდის და არგენტინელიც საქართველოს ნაკრებს უელსში შეხვდება. კუპერი გაფართოებულ შემადგენლობას მოუყრის თავს, ნაკრებში გამოძახებულთა სია ორშაბათს გამომზეურდება – გვითხრა აქციაზე მყოფმა გოგი ქავთარაძემ.

ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა – დაახლოებით ასე შემოგვიტრიალდა ყველაფერი. ფეხბურთი კი მაინც ვერ გაჩერდება დიდი ხნით, თავის გზას იპოვის ამ ალიაქოთში, ისევე როგორც საქართველო.

რუსეთში კი სიკვდილი წებოვანი და მყრალია, – ასეთი იყო სიტყვა რემარკის.

**დავით თავართქილაძე**

# დინამოს მწვრთნელი და ლეგიონერები შინ ერევნიდან წავიდნენ

## ზესტაფონის ლეგიონი კი საქართველოში დარჩა

საქართველოში დასაქმებულ უცხოელებს სამშობლოში დაბრუნება ურჩიეს. საომარი მოქმედებების გამო საქართველოში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატებისა და მათი ოჯახის წევრების ევაკუაცია დაიწყო.

საერთოდ, საომარი მდგომარეობის დროს უცხო ქვეყნის საელჩოები თავიანთი ქვეყნის მოქალაქეებს საშიშროებაზე აფრთხილებენ.

როგორც შევიტყვეთ, ახლაც ასე მოხდა: საქართველოდან. წასვლა ურჩიეს ჩვენი უმაღლესი ლიგის კლუბებში მოთამაშე ყველა უცხოელ ფეხბურთელს.

ასე მაგალითად, თბილისის „დინამოდან“ ყველა უცხოელი წასულია – **დიდიე ოვონო, მილოშ კრშკო, ჯორჯ აკირემი, დონალდ ჯუისი, ილია სპასოევიჩი**. ეს უკანასკნელი წავლას არ აპირებდა, ქართველებს გვერდში უნდა დაგიდგეთო. თუმცა გუნდელებმა წასვლა ურჩიეს და გაემგზავრა. გერმანიაში გაფრინდა მთავარი მწვრთნელი **რაინერ ცობელიც**.

ეს ინფორმაცია თბილისის „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** დაგვიდასტურა: *“გუშინ მოვიდა სლოვაკეთის საპატიო კონსული და გვითხრა, თქვენთან სლოვაკი ფეხბურთელი თამაშობს და უნდა ვურჩიოთ, დროებით სამშობლოში დაბრუნდესო. მოვიდნენ გერმანიის საელჩოდან და რაინერ ცობელს იგივე გაუმეორეს. ასე რომ, დღეისათვის ყველა უცხოელი წასულია. როდის დაგვიბრუნდებიან, ეს საომარი მოქმედებების დასრულებაზეა დამოკიდებული.“*

სპორტული კოორდინატორი **გია ჯიშკარიანი**: *„ლეგიონერები და ჩვენი მთავარი მწვრთნელი საელჩოებიდან გააფრთხილეს, რომ ვითარების გარკვევამდე სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ისინი გუშინ დღის ოთხ საათზე ერევანში გაფრინდნენ, იქიდან კი - სამშობლოში. რაინერ ცობელის არყოფნაში გუნდს მისი ასისტენტი კახა კაჭარავა ავარჯიშებს“.*

ლეგიონერები თავს შედარებით უსაფრთხოდ ზესტაფონში გრძნობენ და როგორც შევიტყვეთ, სამშობლოში არ გაბრუნებულან. “ზესტაფონის” პრესატაშე **სერგო ფუტკარაძის** თქმით, ბრაზილიელმა ლეგიონერებმა - **ჟილვან ვიერამ, ედსონ სანტოსმა** და **ჟონატას ტორესმა** იკითხეს, რა ხდებოდა და წასვლაზე სიტყვა არ დაუძრავთო.

ზესტაფონში არიან კამერუნელები **ერიკ რომეო ჩასემი** და **ფრიდოლინ ბოიომო**. გაბონელები, **პოლ კესანისა** და **ეტიენ ბიტოოს** კვალი კი ისედაც დაკარგული იყო და ფუტკარაძის თქმით, მის ასავალ-დასავალს დღემდე ვერ მიაკვლიეს.


რაინერ ცობელი ომს გაეცალა

**მერაბ მამულაშვილი**

## უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. ვიტ ჯორჯია-აუსტრია

# ვიტ ჯორჯია აუსტრიას ბაქოში ან აბოვიანში უმასპინძლებს


კარლ დაქსბახერს ბაქოში ან ერევანში მოუწევს ჩასვლა

ხუთშაბათს, 14 აგვისტოს, უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯიას“ ვენის „აუსტრიისთვის“ თბილისში უნდა ემასპინძლა. ეს შეხვედრა თბილისში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 14 აგვისტოს, თბილისის დროით 19:30 სთ-ზე უნდა დაწყებულიყო. თუმცა საომარმა მოქმედებებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

გასულ უქმეებზე „აუსტრიამ“ უეფას წერილი მისწერა, რომელშიც ავსტრიელები „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის ჩატარებას ნეიტრალურ სტადიონზე ითხოვენ. უეფამ გადაწყვიტა: „ვიტ ჯორჯია“-“აუსტრიის“ მატჩი საქართველოს მეზობელ ქვეყანაში, ნეიტრალურ სტადიონზე ჩატარდეს. წერილში, რომელსაც უეფადან **დევიდ ტეილორი** აწერს ხელს, მითითებულია, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ უეფასა და „აუსტრიას“ 10 აგვისტოს 18 საათამდე უნდა აცნობოს ის ნეიტრალური სტადიონი, რომელზეც 14 აგვისტოს ეს შეხვედრა გაიმართება.

*„ჩვენ არც იმის წინააღმდეგნი ვიყავით, რომ პირველი მატჩი ვენაში ჩაგვეტარებინა, თუმცა საპასუხო შეხვედრის გამართვა მაინც საქართველოში მოგვიწევდა და ალბათ შეუძლებელია იმის თქმა, რომ ამ დრომდე საქართველოში უსაფრთხოების გარანტიებს მივიღებდით. საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამო ყველანი დაზაფრულები ვართ და იმედს ვიტოვებთ, რომ მალე მშვიდობა დაისადგურებს,“* - განაცხადა ვენის „აუსტრიის“ მთავარმა მწვრთნელმა **კარლ დაქსბახერმა**.

„აუსტრიასთან“ მატჩის გამართვის ორი ვარიანტი განიხილება - ერევანი ან ბაქო..

*„აუსტრიას“ აზერბაიჯანში ან სომხეთში ვუმასპინძლებთ. ამ საკითხზე აზერბაიჯანულ და სომხურ მხარეებთან მოლაპარაკებები ახლაც მიმდინარეობს. ყველაფერი მალე გადაწყდება. უეფას ხვალ, ორშაბათ დილით უნდა ვაცნობოთ თუ სად ჩატარდება „ვიტ ჯორჯია“-“აუსტრიის“ მატჩი“*, - აღნიშნა „ლელოსთან“ საუბარში „ვიტ ჯორჯიის“ პრესატაშე **დავით ერაძემ**.

აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ვიტელები პასუხს დღეს ელიან და საბოლოო არჩევანსაც გააკეთებენ.

„აუსტრიამ“ კი გუშინ ავსტრიის ჩემპიონატში „ზალცბურგი“ 3:2 დაამარცხა. გოლები ბაზინამ, ოკოტიმ და დიაბანგმა გაიტანეს. „აუსტრია“: **ალმერი, სუმი (55. სულიმანი), მაისტოროვიჩი, ბაკი, ჰატენბერგერი, დიაბანგი, ბაზინა, შიემერი, კრამერი (55. ოკოტი), აჩიმოვიჩი, შტანდფესტი.**

**დავით ცაბაძე**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა: ფიფას, უეფას, მსოფლიოს ყველა ეროვნულ ასოციაციას და ფედერაციას, კლუბებს, საფეხბურთო ოჯახის ყველა წევრს!

ძვირფასო კოლეგებო და მეგობრებო, როგორც მოგეხსენებათ, უკვე რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ინტერვენცია და მათი მხრიდან ჩვენი სახელმწიფოს დაუფარავი ოკუპაციის მცდელობა. მთელი მსოფლიო იყო მოწმე, თუ როგორ შეიჭრა რუსეთის არმია 1956 წელს უნგრეთში, 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში, 1979 წელს ავღანეთში, მას შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთმა აშკარად დაარღვია დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტი და საფრთხე შეუქმნა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

მშვიდობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის მებრძოლ ქართველ ერს 24 საათის განმავლობაში ბომბავენ რუსული არმიის ბომბდამშენები. სამწუხაროდ, რუსეთის ვანდალურ აგრესიას დიდი რაოდენობით მსხვერპლი მოჰყვა მშვიდობიან მოსახლეობაში, დაიღუპნენ ბავშვები და მოხუცები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არაერთხელ გამოვიდა ცეცხლის დაუყოვნებელი შეწყვეტის ინიციატივით, რუსეთის არაადამიანური ქმედება არ წყდება, ჰუმანიტარული კატასტროფის მიუხედავად, აგრესორი უკან არ იხევს და გაათმაგებული ენერგიით უტევს მშვიდობისმოყვარე ქართველ ხალხს.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ ყველას, ხმა აღიმაღლოთ რუსეთის ბარბაროსული მოქმედების წინააღმდეგ, გამოთქვათ პროტესტი და მოუწოდოთ მსოფლიო საზოგადოებრიობას ქმედითი ზომები მიიღოს საქართველოში მშვიდობის აღსადგენად.

დიდი პატივისცემით და თქვენი მხარდაჭერის იმედით:
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველები ევროპის სტადიონებზე


დიმიტრი ტატანაშვილის გოლი სიგმას კარში

**გასულ** უქმეებზე ევროპის სტადიონებზე გამართულ სათასო და ჩემპიონატის მატჩებში რამდენიმე ქართველმა წარმატებით იასპარეზა. მათგან ოთხი გოლით გამოირჩა - ალექსანდრე იაშვილი, დავით სირაძე, დიმიტრი ტატანაშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი. ორი ქართული გოლი კი აზერბაიჯანში გავიდა. უფრო კონკრეტულად ჩვენებურთა გარჯის შესახებ ქვემოთ შეიტყობთ.

## იაშვილის გოლი და ყველა ქართველი მომდევნო ეტაპზეა

გერმანიის თასის გათამაშების პირველ რაუნდში ერთი ქართული გოლი გავიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ქართველის გუნდმა მოიგო და თასის


ალექსანდრე იაშვილმა საგოლედ მოიქნია

გათამაშებაზე მომდევნო ეტაპზე გავიდა. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ“ ქვედალიგოსანი „ანშბახი“ სტუმრად 5:0 გაანადგურა. იაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო. მან 61 წუთი დაჰყო მოედანზე და 37-ე წუთზე ანგარიში სამამდე გაზარდა.

ორი ლევანის, **კობიაშვილისა** და **ყენიას** „შალკემ“ ობერლიგაში მოასპარეზე „ჰომბურგი“ სტუმრად 3:0 დაამარცხა. კობიაშვილი 78-ე წუთზე **ენგელაარის** ნაცვლად ჩაერთო თამაშში. თუმცა ტაბლოზე უკვე მატჩის საბოლოო ანგარიში იყო დაფიქსირებული. ყენია კი „ხუმარების“ განაცხადში არ ყოფილა.

მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე ჩვენებურთაგან გუშინ მხოლოდ სათასო შეხვედრებში მხოლოდ ერთმა, **მათე ლვინიანიძემ** იასპარეზა. „მიუნხენ1860“-მა ქვედალიგოსან „ნოისტერლიცს“ სტუმრად 2:0 სძლია. ლვინიანიძემ 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

ოთარ ხიზანეიშვილის „აუგსბურმა“ **დათო სირაძის** ყოფილ გუნდ „პადერბორნს“ სტუმრად 3:1 სძლია. **ოთარ ხიზანეიშვილი** სათადარიგოთა შორის კი იყო, მაგრამ თამაშმა არ მოუწია. „ფრაიბურგმა“ „უნტერჰაჰინგი“ სტუმრად 2:0 **დავით თარგამაძის** გარეშე დაამარცხა.

## ქართული დუეტი პირველზეა

**გიორგი შაშიაშვილისა** და **ილია კანდელაკის** „შტურმმა“ „სუპერფუნდი“ სტუმრად 3:1 დაამარცხა. ორივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 90 წუთი დაჰყო მოედანზე. ამ მოგებით „შტურმს“ 13 ქულა დაუგროვდა და ვენის „რაპიდთან“ ერთად ავსტრიული ბუნდესლიგის ცხრილს ლიდერობს.

## ხიზანა ბრედასთან გახიზნეს

სანამ ევროპის აღმოსავლეთით გადავინაცვლებდეთ, მანამდე უძველესი კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთში მოასპარეზე ერთ ჩვენებურზე გეტყვით. ახალი სეზონისთვის სამზადისში მყოფმა „ბლექბერნმა“ მორიგი ამხანაგური მატჩი ჰოლანდიურ „ბრედასთან“ გამართა. შეხვედრა 1:1 დასრულდა. **ზურაბ ხიზანიშვილი** სათადარიგოთა შორის იყო და თამაშმა არ მოუწია.

## მხოლოდ მჟავანაძის 90

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, უკრაინაში მოასპარეზე ქართველთაგან გუშინ მხოლოდ **კახა მჟავანაძემ** ითამაშა. მჟავანაძის ოდესურმა „ჩერნომორეცმა“ „კრივბასი“ 2:0 დაამარცხა. ქართველმა მცველმა მოედანზე 90 წუთი დაჰყო. „დნეპრმა“ „შახტიორთან“ **სანდრო კობახიძისა** და **ჯაბა კანკავას** გარეშე უგოლო ფრე ითამაშა. „არსენალს“ კი **გიორგი დემეტრაძე** არ ჰყოლია და შინ „ზარიასთან“ 1:1 ითამაშა. სტუმართა სათადარიგოებში **გიორგი ციმაკურიძე** კი იყო, მაგრამ თამაშმა არ მოუწია. სიმფეროპოლის „ტავრიამ“ **ვასილ გიგიაძის** გარეშე ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ სტუმრად 0:1 დაამარცხა.

## ტატანაშვილმა გაიტანა, მაგრამ...

პლზენის „ვიქტორია“ **დიმიტრი ტატანაშვილის** მიერ 21-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით ოლომოუცის „სიგმას“ სტუმრად უგებდა, მაგრამ 1:2 დამარცხდა.

„მლადა ბოლესლავმა“ „ტესკომა ზლინი“ შინ 1:0 კი დაამარცხა, მაგრამ მასპინძელთა რიგებში **გიორგი განუგრავა** არ გამოჩენილა.

## სირაძემ გაიტანა, კვირკველია კვლავ სასტარტოშია

ჩრდილოკავკასიურ დერბიში ნალჩიკის „სპარტაკმა“ გროზნოს „ტერეკი“ შინ 2:0 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ მე-18 წუთზე ანგარიში **დავით სირაძემ** გახსნა.

**მალხაზ ასათიანისა** და **დავით მუჯირის** მოსკოვური „ლოკომოტივი“ სამარაში „კრილიასთან“ 0:2 დამარცხდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ორივე გოლი არბიტრის მიერ დამატებულ სამ წუთში გავიდა. მუჯირი 91-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე. ასათიანს არ უთამაშია.

„რუბინმა“ ზენიტი შინ 4:1 დაამარცხა. **ლაშა სალუქვაძესა** და **ნუკრი რევიშვილს** არ უთამაშიათ. გარკვეული პაუზის შემდეგ **დავით კვირკველია** კვლავაც სასტარტო შემადგენლობაში იყო და 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

## მენთეშაშვილის გოლი შვიდეულის სათავეშია

ლატვიაშიც ერთი ქართული გოლი გავიდა. „ვენტსპილსმა“ „ვინდავა“ სტუმრად 7:0 გაანადგურა. მასპინძელთა რბევას **ზურაბ მენთეშაშვილმა** დაუდო სათავე. მან ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა.

**დავით გამეზარდაშვილისა** და **ლადო დვალიშვილის** „სკონტომ“ „ბლაზმა“ სტუმრად 2:0 დაამარცხა. სტუმართა რიგებში ორივე ქართველმა ითამაშა.

**თამაზ პერტიას** მიერ გაწვრთნილმა „დინაბურგმა“ ლიეპაიას „მეტალურგსთან“ შინ უგოლო ფრე ითამაშა. დინაბურგელთა რიგებში **პაატა დათუნაიშვილმა** იასპარეზა.

## ცხადაძის სენსაცია

აზერბაიჯანში ახალი სეზონი დაიწყო. **კახა ცხადაძემ** და მისმა „სტანდარდმა“ სასტარტო **ტურშივე** სენსაცია გამოაცხო. კახა ცხადაძის, **ბაჩანა ცხადაძისა** და **დავით ჭიჭველიშვილის** გუნდმა, არც მეტი, არც ნაკლები, **გიორგი ადამიასა** და **გიორგი ჭელიძის** ბაქოს „ნეფთჩი“ შინ 1:0 დაამარცხა.

დებიუტანტი „ბაკილი“ „ყარაბაღთან“ 1:2 დამარცხდა. მასპინძელთაგან ის ერთადერთი გოლი **დავით ქოქიაშვილმა** გაიტანა.

„განძასარმა“ „შირაქს“ 3:0 სძლია. მეორე გოლი **გიგა თიბილაშვილის** ანგარიშზეა.

**ალექსანდრე გოგობერიშვილისა** და **ამირან მუჯირის** „ბაკიმ“ „მოიკს“ შინ 1:0 აჯობა.

**დავით ბოლქვაძის, გრიგოლ დოლიძისა** და **კახა ჩხეტიანის** „სიმურგმა“ „თურანს“ 3:1 სძლია.

ვერცხლის პრიზიორი, **მიხეილ ხუციშვილისა** და **რომან ახალკაცის** „ოლიმპიკი“ და მოქმედი ჩემპიონი „ინტერი“ 1:1 ფრეზე გაიყარნენ.

## თარხნიშვილი ისევ სრულად

მოლდოვის ჩემპიონატში **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფმა“ „ოლიმპია“ შინ 1:0 დაამარცხა. თარხნიშვილმა სრულად ითამაშა.

**ჯაბა დვალის, ოთარ კორღალიძისა** და **სერგი ორბელაძის** „დაჩიამ“ სტუმრად „აკადემიას“ 2:0 სძლია. ქართველთა ტრიოს არ უთამაშია.

**დავით ცაბაძე**
**გია ტუხაშვილი**


კახა ცხადაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

### ინგლისი
#### ჩემპიონატი
I ტური
ბირმინგემი-შეფილდი 1:0
ბლეკპული-ბრისტოლი 0:1
კარდიფი-საუთჰემპტონი 2:1
ჩარლტონი-სუონსი 2:0
ქოვენთრი-ნორვიჩი 2:0
კრ. პალასი-უოტფორდი 0:0
დერბი-დონკასტერი 0:1
იფსვიჩი-პრესტონი 1:2
პლიმუტი-ვულვზი 2:2
ქუინზ პარკი-ბარნსლი 2:1
უენსდი-ბარნლი 4:1
ნოტინგემი-რედინგი 0:0

#### I ლიგა
I ტური
სკანთორპი-ლიდსი 1:2
როვერსი-კარლაილი 2:3
კრიუ-ბრაიტონი 1:2
ჰარტლპული-კოლჩესტერი 4:2
ჰადერსფილდი-სტოკპორტი 1:1
ლესტერი-მილტონი 2:0
ლორიანი-ჰერეფორდი 2:1
ნორთჰემპტონი-ჩელტენჰემი 4:2
ოლდჰემი-მილუოლი 4:3
საუთენდი-პიტერბრო 1:0
სუინდონი-ტრანმერი 3:1
იეოვილი-უოლსოლი 1:1

#### II ლიგა
I ტური
აკრინგტონი-ალდერშოტი 0:1
ბარნეტი-ჩესტერფილდი 1:3
ბორნმუთი-ჯილინგემი 1:1
ბრედფორდი-ნოტსი 2:1
ბერი-ბრენტფორდი 1:0
დაგენჰემი-ჩესტერი 6:0
დარლინგტონი-ექსეტერი 1:1
გრიმსბი-როჩდეილი 0:0
ლუტონი-პორტ ვეილი 1:3
როტერჰემი-ლინკოლნი 1:0
შრიუსბერი-მაკლსფილდი 4:0
უიკომბი-მორეკამბი 1:1

#### კონფერენსი
I ტური
ბაროუ-ოქსფორდი 3:0
ქროული-იორკი 0:1
ისტბურნი-რაშდენი 0:1
ებსფლიტი-მენსფილდი 2:2
ჰისტონი-ტორკი 1:1
კეტერინგი-ფორესტ გრინი 1:1
კიდერმინსტერი-ლიუისი 1:1
ნორთვიჩი-კემბრიჯი 0:1
სალისბერი-ბარტონი 0:1
უეიმაუთი-გრეისი 3:1
უოკინგი-ალტრინჩემი 1:2
რექსემი-სტივენიჯი 5:0

### გერმანია
#### III ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
ვერდერი II-ზანდჰაუზენი 4:3

### გერმანიის თასი
#### 1/32 ფინალი
ტრირი-ჰერტა 1:3
ეუე-სტ. პაული 0:0 პენ. 5:4
ფრანკფურტი-ოსნაბრიუკი 2:0
ოფენბახი-ფიურტი 1:0
მუნსტერი-ბოხუმი 0:0 პენ. 5:6
უნტერჰახინგი-ფრაიბურგი 0:2
ბაბელსბერგი-მაინცი 1:2 დ. დ.
აინტრახტი (ტ)-ვერდერი 3:9
ვეგბერგი-ალემანია 1:4
ჰალესტერი-ჰანოვერი 0:5
კილი-ჰანზა 0:2
ინგოლშტადტი-ჰამბურგი 1:3
ესენი-დორტმუნდი 1:3
ფიხტე-ბორუსია (მ) 1:8

კარლ ცაისი-კაიზერი 2:1
ჰომბურგი-შალკე 0:3
პადერბორნი-აუგსბურგი 1:1, პენ. 1:3
პფულენდორფი-აინტრახტი (ფ) 0:3
ბერლინის ბორუსია-კოტბუსი 0:3
ანსბახი-კარლსრუე 0:5
ბერგედორფი-დუისბურგი 1:5
ჰაიდენჰაიმი-ვოლფსბურგი 0:3
ნოიშტრელიცი-მიუნხენი 0:2
დურლახი-არმინია 1:2
დარმშტადტი-ვეენი 0:2
ობერნოილანდი-კობლენცი 1:1, პენ. 5:4
ალენი-ნიურნბერგი 0:0, პენ. 3:4
ხემნიცი-ჰოფენჰაიმი 0:1
ლუნებურგერი-შტუტგარტი 0:5
ობერჰაუზენი-ლევერკუზენი 2:3
ერფურტი-ბაიერნი 3:4

### საფრანგეთი
I ტური
ოსერი-ნანტი 2:1
ბორდო-კაენი 2:1
ჰავრი-ნიცა 1:0
ლე მანი-ლორიანი 0:1
მონაკო-პსჟ 1:0
ნანსი-ლილი 0:0
რენი-მარსელი 4:4
სოშო-გრენობლი 1:2
ვალანსიენი-სტ. ეტიენი 1:0
ლიონი-ტულუზა 3:0

### ბელგია
#### სუპერთასი
სტანდარდი-ანდერლეხტი 3:1

### შოტლანდია
I ტური
ფალკირკი-რეინჯერსი 0:1
აბერდინი-ინვერნესი 0:2
ჰარტსი-მოზერველი 3:2
კილმარნოკი-ჰიბერნიანი 1:0
სელტიკი-სტ. მირენი 1:0
ჰამილტონი-დანდი იუნ დღეს

#### I დივიზიონი
II ტური
ეირდრი-პარტიკი 0:1
დანფერმლაინი-ქუინი 2:1
დანდი-კლაიდი 1:0
მორტონი-სტ. ჯონსტონი 2:2
ლივინგსტონი-როსი 2:0

#### II დივიზიონი
II ტური
ალოა-ეირი 0:2
პიტერჰედი-არბროთი 1:1
რეითი-ქუინზ პარკი 2:0
სტირლინგი-ისტ ფაიფი 1:1
სტრანრაერი-ბრეჩინი 1:2

#### III დივიზიონი
II ტური
ანენი-სტენჰაუზმუირი 1:1
ისტ სტირლინგი-ალბიონი 1:0
ელჯინი-დამბარტონი 1:1
ფორფარი-კოუდენბითი 0:1
მონროუზი-ბერვიკი 1:1

### ავსტრია
VI ტური
ლინცერი-რიდი 2:1
ალტახი-რაპიდი 2:7
კაპფენბერგი-შტურმი 1:3
ავსტრია (კ)-მატერსბურგი 2:0
ავსტრია (ვ)-ზალცბურგი 3:2

#### II დივიზიონი
V ტური
ავსტრია (ლ)-ტიროლი 2:3
ავსტრია A-ფოკლაბრუკი 1:1
ზალცბურგი A-ადმირა 2:1
სტ. პოლტენი-ლუსტენაუ 3:0
გრიოდიგი-ლეობენი 2:2
ვინერი-გრატკორნი 0:1

### დანია
IV ტური
ჰორსენსი-ბრონდბიუ 0:1
ოლბორგი-ესბერგი 1:1
მიდტიულანდი-ოდენსე 4:0
კოპენჰაგენი-აგფ ორჰუსი 1:0
ნორდსილანდი-რანდერსი 1:1
ვეილე-სიონდერილი დღეს

#### II დივიზიონი
I ტური
ფრემადი-ლუნგბიუ 4:2
სკივე-ჰერფიოლგე 1:1
ფრემი-ტისტედი 1:3
კიოგე-ფრედერისია 0:3
კიოლდინგი-აკადემისკი 0:4
ნაესტვედი-ვიბორგი 0:1
ნიკიობინგი-როსკილდე 2:2
სილკებორგი-ჰვიდოვრე 1:1

### ფინეთი
XVI ტური
ტურკუ-ტამპერე 1:0
ჰაკა-ინტერი 0:4
კოტკა-მარიეჰამნი 1:0
იარო-მიუპა 2:1
როვანიემი-ჰონკა 0:2
ლაჰტი-კუოპიო დღეს
ჰიკ-ვაასა დღეს

#### II დივიზიონი
XV ტური
ჰკ35-იიპო 1:2
ტპ47-ჰამეენლინა 0:1
გრანკულა-კაპა 4:0
იუვიასკილა-კპვ 2:0
კემი-ტპვ 0:0
ვიფკ-ოულუ 1:1

### ისლანდია
XV ტური
რეიკიავიკი-ჰაფნარი 1:2
ტროტური-ფრამი 0:0
აკრანესი-კეფლავიკი დღეს
ჰკ-ფილკირი დღეს
გრინდავიკი-ბრეიდაბლიკი დღეს
ფიოლნირი-ვალური დღეს

### ირლანდია
XXII ტური
ბრეი-სლიგო 0:0
შემროკი-ფინ ჰარპსი 0:2
გალვეი-უნივერსიტი 1:2
კორკი-ბოჰემიანსი 0:1
კობ რამბლერსი-დერი 0:3
სტ. პატსი-დროგედა 0:1

### ნორვეგია
XVII ტური
ლინი-ლილესტრიომი 1:0
ჰამარი-ვოლერენგა 1:1
ოლესუნდი-სტაბეკი 1:2
ბოდო გლიმტი-ვიკინგი 3:2
სტრომსგოდსეტი-ბრანი 2:0
როზენბორგი-მოლდე 3:1
ფრედრიქსტადი-ტრომსიო დღეს

#### II დივიზიონი
XVIII ტური
ოდ გრენლანდი-ჰაუგესუნდი 1:1
ალტა-სტარტი 1:2
ჰიოდი-სანდეფიორდი 0:2
ჰიონეფოსი-ნილ ტრისილი 6:1
კონგსვინგერი-მოსი 0:3
სპარტა-ლოვ ჰამი 2:1
ნოტოდენი-ბრინი 7:0
სოგნდალი-სანდნესი 1:1

### შვედეთი
XVIII ტური
ერებრუ-გიოტებორგი 4:2
მალმიო-იურგორდენი 1:2
აიკ-ელფსბორგი 0:2
ლიუნგსკილე-კალმარი 2:4
გაის-ტრელებორგი 0:0
სუნდსვალი-ჰამარბიუ დღეს
ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი დღეს

#### II დივიზიონი
XVIII ტური
ჰაკენი-კვიდინგი 1:1
დეგერფორსი-იონჩოპინგი 2:3
ფალკენბერგი-ვასბი 1:0
ლანდსკრონა-ბრომაპოიკარნა 1:1
იორგრიტე-ანგელჰოლმი 2:1
მიალბიუ-სირიუსი 1:0
ასირისკა-ენჩოპინგი 4:3

### შვეიცარია
V ტური
სიონი-ბელინცონა 0:2
ბაზელი-ვადუცი 4:0
არაუ-ლუცერნი 1:0
იანგ ბოიზი-ქსამაქსი 2:1
გრასჰოპერსი-ციურიხი 2:2

#### ჩელენჯლიგა
III ტური
ივერდონი-სტ. გალენი 0:4
შო დე ფონი-ვინტერტური 0:2
ვილი-ვოლენი 3:0
ტუნი-ლუგანო 4:4
სერვეტი-შაფჰაუზენი 1:2
ლოკარნო-სტად ნიონე 3:0
გოსაუ-ლოზანა 0:0
ბილ ბიენი-კონკორდია დღეს

### ბულგარეთი
I ტური
მინიორი-ლოკომოტივი (ს) 0:1
პირინი-ჩერნო მორე 1:2
სლავია-ლიტექსი 0:3
სლივენი-ლოკომოტივი (პ) 1:1
სპარტაკი-ლოკომოტივი (მ) 2:0
ვიხრენი-ლევსკი 1:0
ბოტევი-ჩერნომორეცი 0:1
ცსკა-ბელასიცა 1:0

### ხორვატია
III ტური
კროაცია-დინამო 0:1
ინკერი-რიეკა 2:2
სიბალია-შიბენიკი 2:0
ზადარი-ოსიეკი 2:2
ვარტექსი-სლავენი 2:3
ზაგრები-ჰაიდუკი 3:0

### ჩეხეთი
II ტური
სლავია-პრშიბრამი 1:0
ბუდეიოვიცე-ბოჰემიანსი 0:0
ვიქტორია-ტეპლიცე 3:0
სიგმა-პლზენი 2:1
კლადნო-სპარტა 0:2
ბოლესლავი-ზლინი 1:0
ბრნო-ლიბერეცი 4:1
იაბლონეცი-ბანიკი დღეს

### უნგრეთი
III ტური
რეაკ-ზალაეგერსეგი 2:3
ვაშაში-მტკ 0:4
კაპოშვარი-პაკსი 3:5
შიოფოკი-უიპეშტი 0:1
ჰონვედი-დიოსდიორი 3:1
ჰალადაში-ნირედიჰაზა 3:0
დებრეცენი-ფეჰერვარი 1:0

### პოლონეთი
III ტური
გურნიკი-რუხი 0:0
არკა-იაგელონია 1:1
პიასტი-კრაკოვია 2:0
შლიონსკი-ლეხია 1:1
ლკს-ოდრა 0:0
ლეგია-პოლონია 2:2
ვისლა-პოლონია 1:0
ლეხი-ბელხატოვი 2:3

### რუმინეთი
III ტური
გაზ მეთანი-პოლიტეხნიკა (ტ) 5:1
პანდური-უნირეა 1:5
პოლიტეხნიკა (ი)-სტიაუა 0:2
ვასლუი-გლორია (ბის) 1:0
გლორია (ბუზ)-ოცელული 0:2
უნივერსიტატეა-ფარული 3:2
ოტოპენი-დინამო 2:3
რაპიდი-კლუჟი 1:0
არჯეში-ბრაშოვი 1:0

### რუსეთი
XVII ტური
კრილია-ლოკომოტივი 2:0
შინიკი-ლუჩი 1:2
მოსკოვი-ტომი 2:1
სპარტაკი-ხიმკი 1:1
დინამო-ამკარი 1:0
ნალჩიკი-ტერეკი 2:0
სატურნი-ცსკა 0:4
რუბინი-ზენიტი 4:1

### სლოვაკეთი
IV ტური
დ. სტრედა-კოშიცე 1:3
ჟილინა-ნიტრა 5:0
დუბნიცა-რუჟომბეროკი 2:0
მორავცე-სლოვანი 1:0
ტატრანი-ბისტრიცა 2:0
არტმედია-ტრნავა გადაიდო

### სლოვენია
IV ტური
რუდარი-ინტერბლოკი 2:0
პრიმორიე-კოპერი 2:0
ნაფტა-ჰუბლიკუმი 1:0
დომჟალე-მარიბორი 1:0
დრავა-გორიცა 5:1

### უკრაინა
IV ტური
მეტალურგი (ზ)-ტავრია 1:0
არსენალი-ზორია 1:1
კარპატი-ილიჩივეცი 1:0
ჩერნომორეცი-კრივბასი 2:0
დნეპრი-შახტარი 0:0
მეტალურგი (დ)-ხარკოვი 3:0
მეტალისტი-ლვოვი 0:0
ვორსკლა-დინამო 2:2

### არგენტინა
I ტური
სან მარტინი-ურაკანი 2:0
ხიმნასია (ლ)-ნიუელსი 0:1
არსენალი-არგ. ხუნიორსი 3:0
ბანფილდი-გოდოი 1:2
როსარიო-ესტუდიანტესი 3:2
ველესი-ინდეპენდიენტე 0:0
კოლონი-რივერი 1:1
ბოკა-ხიმნასია (ხ) 4:0
რასინგი-ლანუსი გვ. დასრულდა
სან ლორენსო-ტიგრე გვ. დასრულდა

### ბრაზილია
XIX ტური
ატ. მინეირო-გრემიო 0:4
ფლამენგო-ატ. პარანაენსე 1:0
სან პაულუ-გოიაში 2:1
ბოტაფოგო-პალმეირასი 1:0
კურიტიბა-სპორტ რესიფე 3:0
პორტუგეზა-კრუზეირო 2:1
ვიტორია-ვასკო 5:0
ინტერნასიონ-ფიგუერენ გვ. დასრულდა
იპატინგა-ფლუმინენსე გვ. დასრულდა
ნაუტიკო-სანტოსი გვ. დასრულდა

### აშშ
კოლორადო-ტორონტო 0:1
ნიუ ინგლენდი-ჩიკაგო 1:2
კანზასი-ჩივასი 3:2
ნ. იორკი-დი სი იუნაიტ. გვ. დასრულდა

### ჩილე
VIII ტური
უნ. კონსეპსიონი-ს. მორნინგი 2:2
კოლო კოლო-აუდაქსი 1:1
ოსორნო-ანტოფაგასტა 0:1
ლა სერენა-უნ. ჩილე 2:2
ევერტონი-მელიპილია 2:1
დეპ. ნუბლენსე-პალესტინო 2:1
ო'ჰიგინსი-უნ. კატოლიკა 1:1

### კოლუმბია
III ტური
დეპ. პასტო-ონსე კალდასი 0:0
მილიონარიოსი-ტოლიმა 3:1
ატ. უილა-დეპ. კინდიო 2:2

### ეკვადორი
VII ტური
დეპ. კუენსა-უნ. კატოლიკა 2:2
დეპ. ასოგესი-ოლმედო 0:2
დეპ. მაკარა-ესპოლი 2:3
ლიგა დე კიტო-ტექ. უნივერს 0:0
ელ ნასიონალი-ემელესი 1:0

### პერუ
ბოლონეზი-ხოსე გალვესი 3:1
სპ. კრისტალი-ხუან აურიჩი 2:0
ალ. ატლეტიკო-ს. ვალეხო 1:1

### მექსიკა
III ტური
ინდიოსი-ნეკაქსა 2:3
ტიგრესი-ატლასი 3:0
ჩივასი-მონტერეი 1:1
ატლანტე-პაჩუკა 2:1
სან ლუისი-ხაგუარესი 2:0
კრუს ასული-ტეკოსი 2:0
პუმასი-ტოლუკა 2:1
პუებლა-ს. ლაგუნა 0:0
ამერიკა-მორელია გვ. დასრულდა

### იაპონია
XX ტური
იოკოჰამა-გამბა 2:1
ვერდი-ნიიგატა 4:0
ოიტა-შიმიცუ 2:2
ჯეფ იუნაიტედი-კაშიმა 3:1
კიოტო-კავასაკი 1:2
ურავა-კაშივა 2:2
ნაგოია-ტოკიო 0:1
საპორო-ომიია 1:2
ივატა-კობე 0:1

### ამხანაგური მატჩები
დინამო (დრ)-ვილემი 0:2
ფულჰემი-ტორინო 2:2
ბლეკბერნი-ბრედა 1:1
გრონინგენი-დენდერი 0:1
ჰალი-ოსასუნა 0:1
ვესტ ბრომვიჩი-მალიორკა 1:1
ვესტ ჰემი-ვილიარეალი 1:1
სერკლი-ვალიადოლიდი 0:0
ასტერასი-ბრიუგე 0:0
ბელენენსეში-ესპანიოლი 0:2
ბეერსჰოტი-როდა 0:1
ნიუკასლი-ვალენსია 2:1
სტ. ტრუიდენი-ვესტერლო 0:0
ვარეგემი-ბარი 0:2
ევერტონი-ეინდჰოვენი 1:1
მანჩესტერ სიტი-მილანი 1:0
არსენალი-სევილია 1:1
ალკმაარი-ირაკლისი 3:0
ნუმანსია-რ. ვალეკანო 1:0
სარაგოსა-სპორტინგი (ს) 2:0
ალიკანტე-ალმერია 1:1
ინტერი-აიაქსი 1:0
ბენფიკა-ფეიენოორდი 1:0
დენ ჰააგი-ვალიადოლიდი 0:3
უტრეხტი-ვიგანი 0:2
გენკი-ჰერენვეენი 2:2
ტოტენჰემი-რომა 5:0
მარიტიმუ-სელტა 1:1
პორტუ-ლაციო 2:1
ტენერიფე-ბილბაო 3:1

## TV სპორტი

### 11 აგვისტო. ორშაბათი

#### I არხი
08:00 პეკინი 2008 (LIVE).
11:00 პეკინი 2008. სპორტული გადაცემა.
11:30 პეკინი 2008 (LIVE).
12:15 პეკინი 2008 (LIVE).
15:15 პეკინი 2008 (LIVE).
16:00 პეკინი 2008. სპორტული გადაცემა.
16:30 პეკინი 2008 (LIVE).
18:15 პეკინი 2008 (LIVE).
21:00 პეკინი 2008. სპორტული თოქ-შოუ

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)
06:50 პეკინი 2008.
07:15 პეკინი 2008. ბადმინტონი. II რაუნდი (LIVE).
09:30 პეკინი 2008.
10:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
10:25 პეკინი 2008. კალათბურთი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. კორეა-რუსეთი (LIVE).
12:15 პეკინი 2008. ძალოსნობა. ქალები. 58 კგ (LIVE).
13:10 პეკინი 2008.
13:25 პეკინი 2008. მშვილდოსნობა. კაცები. გუნდური პირველობა. ფინალი (LIVE).
13:50 პეკინი 2008. წყალბურთი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. აშშ-ჩინეთი.
14:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:00 პეკინი 2008. ძალოსნობა. კაცები. 62 კგ (LIVE).
16:40 პეკინი 2008. ფეხბურთი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-რუსეთი (LIVE).
18:15 პეკინი 2008. კალათბურთი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ავსტრალია-ბრაზილია (LIVE).
20:05 პეკინი 2008. კალათბურთი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი-აშშ.
21:40 პეკინი 2008. ფრენბურთი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-რუსეთი.
23:35 პეკინი 2008. წყალბურთი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-იტალია.
00:35 პეკინი 2008. წყალში ხტომა. კაცები. 10 მ. სინქრონული ხტომები. ფინალი.
01:35 პეკინი 2008. ძიუდო. ქალები - 57 კგ. კაცები - 73 კგ. მე-3 ადგილისთვის. ფინალები.
03:05 პეკინი 2008. ფარიკაობა. ქალები. რაპირა. ფინალი.
03:35 პეკინი 2008. კრივი. 57 კგ. 60 კგ. წინასწარი ბრძოლები.
05:25 პეკინი 2008.
05:55 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ფინალი (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)
08:05 პეკინი 2008. ტყვიის სროლა (LIVE).
09:00 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
09:25 პეკინი 2008.
10:25 პეკინი 2008. წყალში ხტომა. კაცები. 10 მ. სინქრონული ხტომები. (LIVE).
11:55 პეკინი 2008. მშვილდოსნობა. კაცები. გუნდური პირველობა. ფინალი (LIVE).
14:25 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
16:15 პეკინი 2008.
17:05 პეკინი 2008. ნიჩბოსნობა.
19:45 პეკინი 2008. ფრენბურთი. ჯგუფური ეტაპი. ქალები.
21:15 პეკინი 2008.
22:20 პეკინი 2008. ჩოგბურთი. I წრე.
04:20 პეკინი 2008. ფრენბურთი. ჯგუფური ეტაპი. ქალები.
05:55 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები (LIVE).

#### EUROSPORT
08:00 ოლიმპიური ამბები.
08:15 პეკინი 2008. წყალში ხტომა. ქალები. 3 მ. სინქრონული ხტომები. ფინალი.
09:00 ოლიმპიური ამბები.
09:15 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
10:15 ოლიმპიური ამბები.
10:30 პეკინი 2008. წყალში ხტომა. კაცები. 10 მ. სინქრონული ხტომები. ფინალი (LIVE).
11:30 პეკინი 2008. ძალოსნობა. ქალები. 58 კგ (LIVE).
13:15 პეკინი 2008. აკადემიური ნიჩბოსნობა. წინასწარი ეტაპები (LIVE).
14:00 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
14:30 პეკინი 2008. ცურვა. წინასწარი ეტაპები (LIVE).
16:00 პეკინი 2008. ძალოსნობა. კაცები. 62 კგ (LIVE).
17:00 პეკინი 2008. კრივი. 60 კგ. წინასწარი ბრძოლები.
18:00 პეკინი 2008. ფრენბურთი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-ვენესუელა (LIVE).
19:00 მისია - პეკინი.
19:15 პეკინი 2008. ფრენბურთი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-ვენესუელა (LIVE).
20:00 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
20:45 პეკინი 2008. წყალში ხტომა. კაცები. 10 მ. სინქრონული ხტომები. ფინალი.
21:30 პეკინური ექსპრესი
22:30 მისია - პეკინი.
22:45 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
00:00 პეკინი 2008. წყალში ხტომა. კაცები. 10 მ. სინქრონული ხტომები. ფინალი.
01:00 პეკინური ექსპრესი
02:00 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
03:15 პეკინი 2008. აკადემიური ნიჩბოსნობა. წინასწარი ეტაპები.
03:45 პეკინი 2008. აკადემიური ნიჩბოსნობა. წინასწარი ეტაპები (LIVE).
04:00 პეკინი 2008. ცურვა. წინასწარი ეტაპები.
04:45 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

# ანჩელოტი: ცოტა გამოვსწორდით



"მილანმა" კიდევ ერთი მარცხი იწვნია, ამჯერად "მანჩესტერ სიტისთან". "ჩელსის" კოშმარი (0:5) ალარ განმეორებულა და ეტყობა, ამაზე თქვა **კარლო ანჩელოტიმ**, ცოტა გამოვსწორდითო. ისე, რომელ გამოსწორებაზეა საუბარი, როცა ზედიზედ მესამე შეხვედრაა, გუნდს გოლი არ გაუტანია?! თუ გამოსწორებაა, ეს უფრო მეკარეს ეხება. "მილანის" თავკაცი როტაციის პრინციპს იყენებს. მანჩესტერულ მატჩში კარს ერთ დროს მყარი პირველი მეკარე **ნელსონ დიდა** იცავდა. ბოლო ხუთი თვეა, დიდას ეს პატივი არ ლირსებია. ტრავმების გამო, ანჩელოტიმ ვერ დააყენა **კახა კალაძე, კაკა, ბორიელო** და **ინძაგი**, რომ ალარაფერი ვთქვათ ნესტაზე. აქედან გამომდინარე, დაცვის ცენტრი **ბონერამ** და **მალდინიმ** დააკომპლექტეს. კონტრაქტის გაფორმებიდან ერთ დღეში დებიუტი ჰქონდა ახალშეძენილ ურუგვაელ ფორვარდ **ტაბარე ვუიდესს**, თუმც ვერ ვიტყვით, რომ სამხრეთამერიკელმა რაიმეთი გამოიჩინა თავი.

ბოლო მატჩებში დამკვიდრებული ტრადიციიდან გამომდინარე, სასტარტო შემადგენლობაში ერთი გამოკვეთილი ფორვარდი იყო **პალოსკის** სახით და სწორედ მას ჰქონდა პირველი საგოლე შანსი. მე-5 წუთზე, 17 წლის თავდამსხმელი ახლო კუთხეში ურტყამდა და მეკარე **ჰარტს** დიდი ძალისხმევა დასჭირდა ბურთის მოსაგერიებლად. სულ მალე "სიტის" მეკარეს კიდევ ერთხელ მოუხდა თამაშში ჩართვა. ამჯერად მან **ზეედორფის** რთული დარტყმა მოიგერია.

"მოქალაქეებს" მხოლოდ 25-ე წუთზე მიეცათ ანგარიშის შეცვლის შანსი. დიდამ **ელანოს** დარტყმული უკუაგდო, მერე, დამატებაზე, **ბოჟინოვი** ცდილობდა გატანას, მაგრამ **ფლამინიმ** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. სამაგიეროდ, ბულგარელს სამ წუთში გაუმართლა: მან შორეული დარტყმით "ცხრიანი" დალაშქრა. არადა, ერთი წუთით ადრე ზეედორფს ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდა, როცა **გატუზოს** ფლანგური პასის შემდეგ ახლო მანძილიდან ურტყამდა... მოკლედ, ბოჟინოვი და 1:0. ეს იყო ნიჭიერი ფორვარდის პირველი გოლი ერთწლიანი პაუზის შემდეგ, რაც ჯვარედინი მყესების განყვეტით იყო გამოწვეული.

მეორე ტაიმში არბიტრს "სიტის" სასარგებლოდ პენალტი უნდა დაენიშნა. **ძამბროტამ** აშკარად ხელით ითამაშა, მაგრამ, ეტყობა, რეფერიმ ჩათვალა, რომ "მილანის" მარჯვენა მცველს ეს უნებლიეთ მოუვიდა. თამაში გაგრძელდა, მაგრამ იტალიური გრანდის მოქმედებაში არაფერი შეცვლილა. "როსონერის" ძალიან უჭირდა შეტევის ორგანიზება და მით უმეტეს, მისი დაგვირგვინება.

"მანჩესტერ სიტის" ახალ მწვრთნელს **მარკ ჰიუზს** ერთი მხრივ სასიხარულოდ აქვს საქმე, რაკი იტალიური გიგანტი (თუმც შესუსტებული შემადგენლობით) დაამარცხა, მაგრამ უელსელ სპეციალისტს გული დასწყდებოდა იმაზე, რომ ბოჟინოვმა, **რიჩარდსმა** და **ვასელმა** ტრავმები მიიღეს. რაც შეეხება **აირლენდს**, "სანდერლენდში" გადასვლამდე მან "სიტიში", ალბათ, ბოლო მატჩი ჩაატარა.

ანჩელოტიმ კი, როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, "მილანის" თამაშში მცირე პროგრესი დაინახა: *"იყო რალაც წინსვლა, შეიძლება ითქვას, ცოტა გამოვსწორდით, მაგრამ სასურველი ფორმისგან ჯერ შორს ვართ. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ "მანჩესტერ სიტი" უკეთ გამოიყურებოდა. ერთ კვირაში მათ ჩემპიონატი ეწყებათ და ცხადია, უკეთაც არიან მომზადებულები. ბევრი დანაკლისი გვქონდა და იძულებულნი გავხდით, ამბროზინი წინ წაგვეწია. მას კარგად ეხერხება მაღალი ბურთებისთვის ბრძოლა და ვცდილობდით, ეს კოზირი გამოგვეყენებინა. რაც შეეხება ურუგვაელ ვუიდესს, მისი თამაში მომეწონა, მთელ რიგ ეპიზოდებში მან აჩვენა თავისი ტალანტი... ვფიქრობ, მომავალში მისი იმედი უნდა გვქონდეს".*

**მანჩესტერ სიტი–მილანი 1:0**

**მანჩესტერ სიტი:** ჰარტი, რიჩარდსი (69. ჰამანი), ბოლი (65. დანი), ონუა, ბენ ჰაიმი, ელანო (87. აირლენდი), ფერნანდესი, ჯონსონი, გარიდო (65. ეტუჰუ), ბოჟინოვი (46. სტარიჯი), ვასელი (75. ევანსი).

**მილანი:** დიდა, ძამბროტა, ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი (46. ოდო), გატუზო (70. ბროკი), ფლამინი, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, პალოსკი (46. ვუიდესი).

**გოლი:** 1:0 ბოჟინოვი (28)

# ადრიანოც კარგი იყო და იბრაც...

ამსტერდამის ტურნირში, რომელიც პარასკევსა და შაბათს ჩატარდა, ადგილობრივი "აიაქსის" გარდა, "ინტერი", "სევილია" და "არსენალი" მონაწილეობდნენ. გაიმარჯვეს "მეთოფეებმა", რომლებმაც პირველ დღეს მასპინძელი დაამარცხეს 3:2 (**სუარესისა** და **ჰუნტელაარის** გოლებით ჰოლანდიელები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ **ადებაიორის** დუბლითა და **ბენდტნერის** გოლით გატყდნენ), შაბათს კი "სევილიასთან" ფრეც (1:1) იკმარეს. სხვათა შორის, "არსენალი" რეგულარულად მონაწილეობს ამ ტურნირში და ბოლო ოთხ წელიწადში ის მესამედ მოიგო.

გადამწყვეტ მატჩში **არსენ ვენგერის** შეგირდები ახალგაზრდა მექსიკელმა ფორვარდმა **კარლოს ველამ** დააწინაურა. ის მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში და ანგარიში მახვილი კუთხიდან გახსნა. უპირატესობა "არსენალის" მხარეს იყო. ანდალუსიელებს ბურთის კონტროლი უჭირდათ, არადა, ლონდონური გრანდი შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა. "აიაქსთან" მატჩის დასრულებისთანავე, ვენგერმა თქვა, რომ "სევილიასთან" წამყვან მოთამაშეებს დაასვენებდა. გასაგებია, რატომაც - ამ კვირაში "არსენალს" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი ელის, მომდევნო უიქენდზე კი პრემიერლიგაც იწყება და რისკის გაწევა არ ლირდა. "სევილიამ" კი მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მეკარე **ფაბიანსკიმ** ვერაფერი მოუხერხა **ჩევანტონის** დარტყმულს, რაც **ხესუს ნავასის** პასს მოჰყვა - 1:1.

ბოლო მატჩში "ინტერმა", რომელმაც პარასკევს "სევილიასთან" უგოლო ფრე ითამაშა, "აიაქსი" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. რაკი "არსენალმა" და ესპანურმა კლუბმა ქულები გაიყვეს, ტურნირის მოგების შანსი "ინტერსაც" ჰქონდა და "აიაქსსაც". მართალია, იტალიელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ 1:0 საკმარისი არ ალმოჩნდა. ასეა თუ ისე, **ჟოზე მოურინიო** მაინც კმაყოფილი უნდა იყოს, რომ **ადრიანომ** თამაშიდან გაიტანა გოლი, **იბრაჰიმოვიჩმა** კი თავის ყოფილ გუნდთან მატჩში მოედანზე საათზე მეტი დაჰყო.

**ფიგუს** პირველივე წუთზე შეეძლო გატანა. მან ჰოლანდიური დაცვის შეცდომით ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და უკეთესი იქნებოდა, ადრიანოსთვის გადაეწოდებინა, მაგრამ შეტევის დაგვირგვინება საკუთარ თავზე აილო და ბურთი კარს გარედან მოხვდა. სამაგიეროდ, თავისი შანსი არ გაუშვა ბრაზილიელმა, რომელმაც თამაშგარის ხაფანგს დააღწია თავი, დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და ცაციათი დასცხო. **სტეკელენბურგი** თითქოს კი შესწვდა ბურთს, მაგრამ ეს იყო და ეს. თუმც იმავე სტეკელენბურგმა, მოგვიანებით, იბრას ორი დარტყმა გაანეიტრალა.

სადლაც პირველი ტაიმის შუაში მცველ **რივასის** შეცდომა "ინტერს" კინალამ გოლად დაუჯდა. **ცვიტანიჩმა** ამ საჩუქრით ვერ ისარგებლა და ბურთი ხარიხას ზემოდან გადასცდა. მეორე ტაიმში, ვიდრე მოედანს დატოვებდა, ზლატანმა კიდევ ორჯერ შეანუხა "აიაქსის" დაცვა, ხოლო შემდეგ ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი გაანიავა **ჰუნტელაარმა**, ერთ წუთში კი **ტოლდომ** **გაბრის** სახიფათო დარტყმული აილო. იმავე ტოლდომ, უკვე მატჩის მიწურულს, "ინტერი" კიდევ ერთხელ გადაარჩინა, როცა **სულეიმანის** მძლავრ გასროლას არ დანებდა. უკანასკნელ წამებზე კი ველარც გამოცდილი მეკარე უშველიდა "ნერაძურის", **ბურდისოს** ბურთი კარის ხაზიდან რომ არ გამოეტანა.



ნამატჩევს მოურინიომ ცამდე აიყვანა იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო და განსაკუთრებით ბურდისო, რომლის საზაფხულო გარჯა პორტუგალიელი სპეციალისტისთვის ნამდვილ სიურპრიზად იქცა:

*"ოდნავადაც არ ვაჭარბებ, გუნდის თამაშით ბედნიერი ვარ. ბოლო ერთ კვირაში "ბაიერნს", "აიაქსსა" და "სევილიას" შევხვდით. აქედან მოვიგეთ ორი მატჩი და ერთი გოლიც არ გაგვიშვია. დამეთანხმებით, კმაყოფილების საბაბი ნამდვილად მაქვს. ბიჭები საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით უდგებიან. ისინი კომპლიმენტებს იმსახურებენ, მაგრამ აქვე დავამატებ, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. ყველა კომპონენტში რალაც გვაკლია და ამ პერიოდში ეს ასეც უნდა იყოს. მთავარია, ჩვენ ვხედავთ ნაკლს და მისი გამოსწორება მომდევნო დღეების მთავარი ამოცანა იქნება. ჩემპიონატს საუკეთესო ფორმაში უნდა შევხვდეთ".*

შემდეგ მოურინიოს ჰკითხეს, თუ რომელი ფეხბურთელითაა კმაყოფილი ყველაზე მეტად: *"ვიტყოდი, რომ ბურდისომ ალმაფრთოვანა. მან სამი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა და ერთი უბრალო შეცდომაც კი არ დაუშვია. კმაყოფილი ვარ იბრაჰიმოვიჩითაც. ვფიქრობ, "რომასთან" სუპერთასის მატჩისთვის (24 აგვისტო) ის გაცილებით უკეთეს ფორმაში იქნება. ადრიანო? მან მიუნხენშიც კარგად ითამაშა და ამსტერდამშიც. იბრაჰიმოვიჩის დარად, ფიზიკურად ისიც ძალიან ძლიერია, აქვს შესანიშნავი ტექნიკაც. როცა ის მოედანზეა, ძალიან ადვილია, ისეთი ფეხბურთის თამაში, როგორიც ჩემს ფილოსოფიას შეეფერება".*

**სევილია–არსენალი 1:1**

**სევილია:** ხავი ვარასი, კონკო, მოსკერა, პრიეტო, კრესპო, ხესუს ნავასი, მარესკა, რენატო, კაპელი, კონე, ლუიშ ფაბიანო.

*შეცვლაზე შევიდნენ:* რომარიკი, სკილაჩი, ჩევანტონი, კალა, დრაგუტინოვიჩი.

**არსენალი:** ფაბიანსკი, ჰოიტი, სენდერონი, ჯურუ, თომასი, ჯიბსი, რემსი, რენდელი, უილშირი, ბენდტნერი, ველა.

**შეცვლაზე შევიდნენ:** სანია, დენილსონი, უოლკოტი.

**გოლები:** 0:1 ველა (4), 1:1 ჩევანტონი (79)

**აიაქსი–ინტერი 0:1**

**აიაქსი:** სტეკელენბურგი, ვან დერ ვილი, ოგარარუ, რომედალი (61. ჰუნტელაარი), დე იონგი, სანტიაგო, დონალდი (49. გაბრი), სლინგარდი, მარტინა (75. აისატი), ალდერვეირელდი, ცვიტანიჩი (46. სულეიმანი).

**ინტერი:** ტოლდო, მაიკონი, რივასი, ბურდისო, ხ. ძანეტი (46. მაქსველი), ხიმენესი (67. სანტონი), სტანკოვიჩი (46. კამბიასო), მუნტარი, ფიგუ (61. მანსინი), ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი (67. სუასო).

**გოლი:** 0:1 ადრიანო (5)

# ვალენსიამ ნიუკასლს ვერ გაუძლო



"ნიუკასლმა" 2:1 მოუგო "ვალენსიას" და პრობლემებზე მიუთითა. გამარჯვების გოლი **მილნერის** ანგარიშზეა. "სენტ ჯეიმს პარკი", ალბათ, ძალზე გააკვირვა სასტარტოში **მარტინსის** გამოჩენამ, რაკი ნათქვამი იყო, რომ ნიგერიელს ტრავმა ჰქონდა და ამას კი არა, ბარე ჩემპიონატის სტარტსაც გამოტოვებდა. სწორედ მარტინსი იყო ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, მიუხედავად იმისა, რომ გოლი არ გაუტანია. დიახ, "ჯორდებმა" აჯობეს **უნაი ემერის** გუნდს, რომლის ძირითადში თერთმეტიდან 10 ფეხბურთელს სერიოზული სანაკრებო გამოცდილება აქვს...

მატჩს 30 ათასი მაყურებელი დაესწრო. დასაწყისშივე მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა მაგრამ ანგარიში "ვალენსიამ" გახსნა. 37-ე წუთზე **მორეტიმ** გრძელი გადაცემა გააკეთა **მორიენტესის** მიმართულებით, რომელმაც კარგად ჩამოილო ბურთი და საჯარიმოში შეჭრილ **ხოაკინს** საგოლედ დაუგორა.

მიუხედავად ნიუკასლელთა აქტიურობისა, "ლამურებმა" პირველი ტაიმი გამარჯვებამდე მიიყვანეს. მეორე ნახევარშიც ესპანური კლუბი დიდხანს ინარჩუნებდა სათავისო ანგარიშს. მეტად სახიფათოდ მუშაობდა **მილნერი-მარტინსის** კავშირი. თუმც ამ უკანასკნელის დარტყმები **ჰილდებრანდისთვის** თავსატეხად ვერ იქცა.

"ვალენსიამ" მაინც ვერ გაძლო ბოლომდე. უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **დაფმა** მძლავრი თავური დასცხო და გერმანელი კიპერი ადგილზე გააშეშა. გამარჯვების გოლი კი შეაგდო ფეხბურთელმა, რომელმაც ეს ყველაზე მეტად დაიმსახურა. **ტეილორმა** კარგად დაუგდო ბურთი **მილნერს**, რომელმაც ექვსიშვიდი მეტრიდან ზუსტად დაჰკრა.

**ნიუკასლი–ვალენსია 2:1**

**ნიუკასლი:** გივენი, კასაპა, ტეილორი, ბეიე, ნ'ზოგბია, ბატი, მილნერი, ჟონასი, გუტრი, დაფი, მარტინსი.

***შეცვლაზე შევიდნენ:*** *სმიტი, ბასონგი, ედგარი.*

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, მიგელი, ივან ელგერა, ალბიოლი, მორეტი, ალბელდა, ბარახა, ხოაკინი, ვისენტე, სილვა, მორიენტესი.

***შეცვლაზე შევიდნენ:*** *ვილა, ანგულო, პაბლო, მანუელ ფერნანდესი, ალექსისი, ნავარო, ედუ, მატა.*

**გოლები:** 0:1 ხოაკინი (37), 1:1 დაფი (76), 2:1 მილნერი (90)

გვერდი მოამზადა
გიორგი გელაშვილმა